

გადაწყვეტილება მიღებულია A2



გასული წლის ბიზნესმენი B3



ჰელსინკიდან ტამპერემდე C1

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — სამშაბათი, 23 მაისი, 2006 წელი. №112 (1264) — ფასი 50 თეთრი

## ამბები

### კონდოლიზა რაისი ირანს უსაფრთხოების გარანტიას არ აძლევს

აშშ ირანს ბირთვული სამუშაოების შეწყვეტის პირობის სანაცვლოდ უსაფრთხოების გარანტიას არ სთავაზობს, ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა. მისივე თქმით, უსაფრთხოების შესახებ დაპირება არც კი განიხილება.

A2

## სამართალი

### სახალხო დამცველი პოლიციელების დასჯას მოითხოვს

სოზარ სუბარი იმ პოლიციელების დასჯას მოითხოვს, რომლებმაც 19 წლის ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის მტკიცებულებები გააყალბეს.

A4





ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 23/05 | 24/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | 28 |
| ყაზბეგი | 25 | 27 |
| სოხუმი | 26 | 26 |
| გორი | 24 | 25 |
| ზუგდიდი | 27 | 29 |
| სამტრედია | 27 | 28 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8010 |
| ევრო | 2.2970 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3729 |
| რუბლი | 0.0665 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| პროექტი | A 8 |

# სუამ-ის "პირველი ნაბიჯები" საერთაშორისო ასპარეზზე

კობა ლიკლიკაძე
*სპეციალურად "24 საათისთვის" კიევიდან*

*10-წლიანი "მოთელვის" შემდეგ, 23 მაისს უკრაინის დედაქალაქში სუამ-ის რეგიონული გაერთიანება საერთაშორისო სტატუსს შეიძენს, ხოლო მისი შტაბ-ბინა კიევში განთავსდება. ცნობილია თანამშრომლობის ზოგადი მიმართულებები - ეკონომიკა, ენერგეტიკა და შეთანხმებული პოლიტიკის გატარება გაყინული კონფლიქტების მოსაგვარებლად.*

კიევში სუამ-ის საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნის სამიტზე დასასწრებად სტუმართაგან პირველად აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ჩამოფრინდა და აეროპორტშივე განაცხადა, რომ უპირატესობას "ენერგეტიკულ შემადგენელს" ანიჭებს.

გაგრძელება A3 გვერდზე



*საქართველოს პრეზიდენტი უკრაინელებს ქართული ღვინით თავად გაუმასპინძლდა.*

# "ახალი ევროპა" - საფრთხე რუსეთისათვის

თეა მაისურაძე

ევროკავშირში რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩიჟოვმა, ამ კვირაში დაგეგმილი რუსეთისა და ევროკავშირის შეხვედრასთან დაკავშირებით წინასწარ კომენტირებისას განაცხადა: **"დიდი გაფართოების პოლიტიკის შედეგად ევროკავშირთან რუსეთის პარტნიორობა უფრო და უფრო რთულდება"**.

კრემლი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის ახალმა წევრებმა, რომლებიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან 2004 წელს შეუერთდნენ ევროპულ კლუბს, მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნეს რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში. რუსეთს ისედაც დაძაბული ურთიერთობები აქვს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან, ხოლო ლატვია-ლიტვა-ესტონეთთან დაუსრულებელმა კამათმა, სასაზღვრო შეთანხმებებსა და ბალტიისპირეთში მცხოვრები რუსი ეროვნების უმცირესობათა ჯგუფების უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, კრემლის ურთიერთობა ამ ქვეყნებთან კიდევ უფრო დაძაბა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა გასულ კვირას აღნიშნა, რომ რუსეთი გააგრძელებს ეროვნული უმცირესობების საკითხის გადაწყვეტას ევროკავშირის დონეზე და, ამავდროულად, მოლაპარაკებას აწარმოებს ლატვიასა და ესტონეთთან: **"ჩვენ საერთაშორისო სამართლის ისეთი პრინციპიდან გამოვდივართ, როგორიც არის ადამიანის უფლებების დაცვა, აქედან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევის საკითხი არ არის მხოლოდ ქვეყნის საშინაო პრობლემა."**

ოფიციალური მოსკოვის მიერ შემოთავაზებულ ჩამონათვალში, სადაც მითითებულია ის ქვეყნები, რომლებიც რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობას პრობლემებს უქმნის, პოლონეთიც მოხვდა, რომელიც ევროპის სახელმწიფოთა კლუბს 2004 წლის დიდი გაფართოების შედეგად შეუერთდა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი ხელს უწყობს ოპოზიციური ძალების გააქტიურებას უკრაინასა და ბელორუსში, ოფიციალური ვარშავა, ამავდროულად, მწვავედ აკრიტიკებს რუსეთს ენერგოპოლიტიკასთან დაკავშირებით და კრემლს ბრალს სდებს გაზის რეზერვების გამოყენებით დასავლეთელი მეზობლების შანტაჟში.

პოლონეთისათვის სადავო საკითხს წარმოადგენს, ასევე, გაზსადენის პროექტი, რომელმაც უნდა დააკავშიროს რუსეთი და გერმანია. ახალი "ჩრდილოევროპული გაზსადენი" ბალტიის ზღვის ქვეშ გაჰყავთ და მომავალში მის ამოქმედებასთან ერთად სერიოზული საფრთხე შეექმნება პოლონეთის ენერგომომარაგებას (ისევე როგორც უკრაინის - ამჟამად რუსეთიდან დასავლეთ ევროპაში მიწოდებული ენერგორესურსები სწორედ ამ ორი ქვეყნის ტერიტორიაზე გადის.).

გაგრძელება A3 გვერდზე

# ალმოდოვარმა დააბრუნა გარდაცვლილი დედა და კიდევ ერთხელ სიყვარული აუხსნა ქალებს

**ალმოდოვარის ახალი ფილმი "დაბრუნება" კანის 59-ე კინოფესტივალზე**





*პენელოპა კრუზი (მარჯვნივ) ალმოდოვარის "დაბრუნებაში".*

# სამიტი დაიწყო

**სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრამდე, მინისტრები მართავენ კონსულტაციებს**

გუშინ კიევში ოფიციალურად გაიხსნა სუამ-ის სამიტი, რომელიც ორ დღეს გასტანს. სუამ-ის წევრი ქვეყნების ლიდერთა შეხვედრა დღეისთვისაა დაგეგმილი. გუშინ კი ერთმანეთს საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდნენ. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, მინისტრებმა მიიღეს რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტებს საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაციის ახალი სახელწოდება - ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისთვის - სუამ-ი წარედგინებათ.

შეხვედრის ფარგლებში დამტკიცდა შემდეგი დოკუმენტები: კიევის დეკლარაცია ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისთვის - სუამ-ის შექმნის შესახებ; ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისთვის - სუამ-ის სახელმწიფო მეთაურთა ერთობლივი დეკლარაცია კონფლიქტის გადაწყვეტის საკითხების შესახებ; ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისთვის - სუამ-ის წესდება; სუამ-ის სამიტის კომუნიკე; სუამ-ი - ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი განცხადება; ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისთვის - სუამ-ის საპროცედურო წესები; ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისთვის - სუამ-ის ფინანსური დებულება; ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისთვის - სუამ-ის სამდივნოს დებულება.

მინისტრებმა ასევე ხელი მოაწერეს ოქმს სუამ-ის მონაწილე სახელმწიფოების საქონლის წარმოშობის დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სუამ-ის მონაწილე სახელმწიფოთა შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შეთანხმების შემდგომ იმპლემენტაციას. როგორც ქართული საგარეო უწყების ინფორმაციაშია აღნიშნული, ეს ხელმოწერა ზემოაღნიშნული შეთანხმების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა და, შესაბამისად, ხელს უწყობს ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარლამენტის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და... სპორტული ფუნქციები

გიორგი ასანიშვილი

როგორც "24 საათი" წერდა, აფხაზეთში "ოფიციალური ვიზიტით" იმყოფება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ ოზეროვი. იგი უკვე შეხვდა დე-ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს და სხვა ოფიციალურ პირებს. საუბრის ძირითადი თემა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი და საქართველოსთან ურთიერთობა იყო. აფხაზი სეპარატისტების "საპატიო სტუმარმა" განაცხადა, რომ დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შემთხვევაში, აუცილებელი არ არის, თანამეგობრობა აფხაზეთმაც დატოვოს.

აღნიშნულმა ფაქტმა ქართველი პოლიტიკოსების უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე, მომხდართან დაკავშირებით, არაერთი მწვავე განცხადება გაკეთდა.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის თქმით, რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს ის, რომ ოზეროვი აფხაზეთში ყოველგვარი ვიზისა და საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე ჩავიდა.

**"მხოლოდ საპროტესტო ნოტის გაგზავნით არ უნდა შემოვიფარგლოთ",** - მკაცრი ზომების მიღების მომხრეა გაბაშვილი.

თავის მხრივ, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე მოითხოვს, რომ რუსი პარლამენტარი პერსონა ნონ-გრატად გამოცხადდეს. მისივე თქმით, ვიქტორ ოზეროვი ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელია და მისი ქცევის საკითხს ქართული დელეგაცია ამ ორგანიზაციაში აუცილებლად დააყენებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საპყრობილე ვიდეოთვალის ობიექტივში

**მინისტრის ვიზიტი ციხეში**

*იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ მოადგილეების - გივი მიქანაძისა და მამუკა გველესიანის თანხლებით, ქუთაისის N2 საპყრობილე მოინახულა. მინისტრის საპყრობილეში მეგზურობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბაჩო ახალაიამ გასწია. ქუთაისის ციხეში მინისტრი N2 საპყრობილის, ზუგდიდისა და ბათუმის ციხეების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის წევრებს შეხვდა და მათგან ხუთთვიანი მუშაობის ანგარიში მოისმინა. კომისიის წევრებმა, ძირითადად, ციხეებში არსებულ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე ისაუბრეს.*

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

**"პატიმრები უკმაყოფილონი არიან საკვებით. ასევე, პრეტენზიებს გამოთქვამენ ლეიბებთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, არადამაკმაყოფილებელია ციხის ტექნიკური პირობები: დაზიანებულია სააბაზანოები, საცხოვრებლად უვარგისია არასრულწლოვანთა განყოფილების საკნები,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ქუთაისის ციხის საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიის თავმჯდომარემ მანანა მანაგაძემ.

ქუთაისის საპყრობილეში საყოფაცხოვრებო პრობლემები საკმაოდ მწვავედ დგას. თვალის ერთი შევლებითაც კი შესამჩნევია ციხის კედლებზე არსებული ბზარები. არადა, ქუთაისის საპყრობილის მშენებლობა ხუთი თვის წინ დასრულდა და მასზე 11 მილიონი ლარი დაიხარჯა.

საპყრობილეებში არსებული საყოფაცხოვრებო პრობლემების თაობაზე მწვავედ ისაუბრეს ზუგდიდისა და ბათუმის ციხეების მონიტორინგის კომისიის წევრებმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ნოღაიდელი ბრიტანეთის მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლებს შეხვდა

გუშინ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ბრიტანეთის მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლებს შეხვდა, კერძოდ კი - დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, პირველ სახელმწიფო მდივანს ჯონ პრესკოტს და პრემიერ-მინისტრის მრჩეველს საგარეო პოლიტიკის საკითხებში ნაიჯელ შინვალდს.

ბრიტანეთის პარლამენტში პრემიერ-მინისტრმა გამართა შეხვედრები თავდაცვის და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებში, შეხვდა ოპოზიციის წარმომადგენლებსაც - ჩრდილოვანი კაბინეტის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ვილიამ ჰეიგს.

ზურაბ ნოღაიდელი შეხვდა ასევე ბრიტანეთის მსხვილ ბიზნესმენებს, მათ შორის ბრიტანეთის მრეწველთა კონფედერაციის გენერალურ დირექტორს სერ დიგბი ჯონსს. დღის ბოლოს პრემიერ-მინისტრმა ლონდონში ქართული მინანქრის გამოფენა გახსნა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## კონდოლიზა რაისი ირანს უსაფრთხოების გარანტიას არ აძლევს

აშშ ირანს ბირთვული სამუშაოების შეწყვეტის პირობის სანაცვლოდ უსაფრთხოების გარანტიას არ სთავაზობს, ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა. მისივე თქმით, უსაფრთხოების შესახებ დაპირება არც კი განიხილება.

"ბირთვული პროგრამის გარდა ირანთან სხვა გადაუჭრელი საკითხებიც გვაქვს. ირანის სახით საქმე გვაქვს სახელმწიფოსთან, რომელიც ისრაელის განადგურებაზეა ორიენტირებული. ეს არის სახელმწიფო, რომელიც ხელს უშლის სამშვიდობო პროცესებს", - განაცხადა რაისმა.

სახელმწიფო მდივანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ირანთან მოლაპარაკების პროცესში ჩართულ ევროპის ქვეყნებს, აშშ-ისგან ამ მუსულმანური სახელმწიფოსთვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემა არ უთხოვიათ, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რას გადაწყვეტდა აშშ ამგვარი თხოვნის შემთხვევაში.

სხვათა შორის, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი აცხადებს, რომ ირანმა ბირთვულ იარაღზე მუშაობა, შესაძლოა, უახლოეს თვეებში დაასრულოს. პრემიერი პირობას დებს, რომ ისრაელი თავიდან აიცილებს მის დარტყმას.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## რუსმა სამშვიდობოებმა ყველაზე სახიფათო მონაკვეთის პატრულირება დაიწყეს

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებული დსთ-ს სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა დღეიდან კრიმინოგენული ვითარების თვალსაზრისით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონის ყველაზე სახიფათო მონაკვეთის პატრულირება დაიწყეს. აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებული დსთ-ს სამშვიდობო ძალების სარდლის გენერალ-მაიორ სერგეი ჩაბანის განცხადებით, პატრულირების დაწყება ზაფხულის პერიოდში კრიმინალური სამყაროს გააქტიურებას უკავშირდება და ძირითადად გალის რაიონის ქვედა და ზედა ზონებში ღამის საათებში განხორციელდება.

მისივე თქმით, სამშვიდობოების მიერ გამკაცრებული პატრულირების დაწყების შესახებ ინფორმირებულია ქართული მხარე და დსთ-ს სამშვიდობოები. ქართველ სამართალდამცავებთან კრიმინალებთან ბრძოლის წინააღმდეგ თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გასულ კვირას ჭუბურხინჯსა და გაერო-ს სამხედრო დამკვირებელთა ზუგდიდის ოფისში გამართულ შეხვედრებზე მიაღწიეს, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთში გაერო-ს სამხედრო დამკვირებელთა მთავარმა სამხედრო დამკვირვებელმა გენერალმა ხატაკმა.

*ინტერპრესნიუსი*

## თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუსაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ თამარ ჩიქოვანს. სტუდიის სტუმარია რესპუბლიკური პარტიის თავჯდომარე დავით უსუფაშვილი.*

**თამარ ჩიქოვანი:** ნორმალურ ქვეყანაში რა როლი და ფუნქცია ეკისრება ოპოზიციის?

**დავით უსუფაშვილი:** ნორმალურ, დემოკრატიულ ქვეყანაში ოპოზიცია არის აუცილებელი კომპონენტი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. ოპოზიციის მთავარი ფუნქცია არის ის, რომ ხელისუფლება იყოს კიდევ უფრო უკეთესი. ამასობაში თუკი ოპოზიცია მოახერხებს და ხალხს დაანახებს, რომ ის ჯობია მმართველ პარტიას, მაშინ შანსი აქვს, რომ თავად მოვიდეს სათავეში.

**თ.ჩ.:** ბოლო 15 წლის განმავლობაში ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბება ოპოზიციასთან, თუ უბრალოდ ოპოზიცია იყო ძალიან რადიკალური? ყველაფერ ამაში ვისი წილი დანაშაული უფრო მეტია, ხელისუფლების თუ ოპოზიციის?

**დ.უ.:** ცხადია ხელისუფლების. ხელისუფლებას ყველაფერთან ერთად აქვს მართვის ბერკეტები. იგი სახელმწიფო პოლიტიკაზე არა მარტო ფიქრობს, როგორც ოპოზიცია, არამედ აკეთებს კიდეც. მას აქვს სახელმწიფო ბიუჯეტი, მას აქვს საკანონმდებლო ძალაუფლება, ტრიბუნა და ა.შ. ცხადია, ეს ხელისუფლების პრობლემაა. ძველი და ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ის არის, რომ მათ ვერ შეძლეს პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა. ამ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოსა და პარლამენტის როლზე ვსაუბრობთ, რომ ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, ამის მიზეზი არის ის, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო მათი როლის განსაზღვრა. პრობლემის სათავე იწყება იმ ადამიანების ოპოზიციაში ყოფნის დროიდან, რომლებიც შემდეგ ხელისუფლებაში აღმოჩნდნებოდნენ ხოლმე. ანუ, პოლიტიკოსები, რომლებიც ოპოზიციაში ყოფნის დროს ვერ ამჟღავნებენ ამ საკითხებში სათანადო უნარ-ჩვევებსა და განათლებას, შემდეგ ვერც ხელისუფლებაში მოსვლის დროს უძლვებიან საქმეს. ჩვენმა პრეზიდენტმა საჯაროდ აღნიშნა, როცა საკრებულოს თავმჯდომარე ვიყავი, ვთვლიდი, რომ მნიშვნელოვანი ორგანო იყო და ბევრი რამის გაკეთება შემეძლო, მაგრამ ახლა როცა პრეზიდენტი გავხდი, ვფიქრობ, საკრებულო რისი გამკეთებელია და რა საჭიროა მისი არსებობაო... ასეა, როცა მეტ ძალაუფლებას მოიპოვებენ, თვლიან, რომ სხვა აღარაფერია მნიშვნელოვანი. ამაში ყველაფერში შეიძლება დამნაშავე იყოს ჩვენი კომუნისტური, უფრო სწორად, ბოლშევიკური მენტალიტეტიც. ანუ ბევრმა ადამიანმა დაგვიჭირა მხარი და სიმართლეც ჩვენს მხარესაა, ე.ი სხვა ყველა მტერია. როდესაც საააკაშვილმა როგორც იქნა, ბრიუსელში თქვა, რომ სასამართლოში მართლაც ცუდადაა საქმე და უნდა შექმნილიყო კომისია, მან ამ კომისიაში მიიწვია ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის, ოპოზიციაც. როდესაც ეს თქვა, ჩვენი პარტია მაშინვე გამოეხმაურა. თუმცა, მოხდა ისე, რომ ორი კვირის შემდეგ მართლაც შეიქმნა სახელმწიფო კომისია, მაგრამ მასში ოპოზიცია არ შეუყვანიათ. კომისია მთავრობის წევრებით დაკომპლექტდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ხელი მაინც არ ჩაგვიქნევია. ვთვლი, რომ პოლიტიკოსს არა აქვს გაბუტვის უფლება.

**თ.ჩ.:** ფაქტია, რომ სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, ხალხის ხელისუფლებისადმი ნდობის მაჩვენებელი თანდათან დაბლა იწევს. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ეს ხმები ემატება ოპოზიციას. რატომ ვერ შეძლო ოპოზიციამ მეტი მხარდაჭერის მოპოვება? დღეს ხალხი არც ერთ მხარეს აღარ ენდობა.

**დ.უ.:** ერთიანობაში ნუ შევხედავთ ოპოზიციას. ჩვენი დაკვირვების თანახმად, საქართველოში ოპოზიციურ ჯგუფებს ბოლო მომენტამდე სერიოზული მხარდაჭერა არ ჰქონიათ. მიხეილ სააკაშვილმა 2003 წლის ნოემბერში მიიღო 22 ან 23 პროცენტი. ანუ იმ პირობებში სააკაშვილის ჯგუფმა ვერ მიიღო მაღალი მაჩვენებელი, თუმცა ორ თვეში მან საკმაოდ მაღალი პროცენტი მიიღო. საქართველოში ამომრჩევლები გადაწყვეტილებას ბოლო მომენტში იღებენ. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური ჯგუფების ბრალია.

# პარლამენტის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და... სპორტული ფუნქციები

პირველი გვერდიდან



სპიკერის განცხადებით, აუცილებელია, რომ რუსი დეპუტატის ქმედება სერიოზული მსჯელობის საგნად იქცეს.

დაახლოებით იგივეს გაკეთებას აპირებს ელენე თევდორაძე. **"ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს ამჟამად რუსეთი თავმჯდომარეობს და მის სამხილებლად ეს ტრიბუნაც უნდა გამოვიყენოთ"**, - აცხადებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.

ოფიციალურ მოსკოვზე საერთაშორისო ზეწოლის გაძლიერების მომხრეა ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანიც. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მიმართოს გაერო-ს, რათა ამ უკანასკნელმა რუსეთზე სათანადო ზემოქმედება მოახდინოს.

ვიქტორ ოზეროვის ზემოთ ნახსენებ განცხადებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის გამოხატულებად აფასებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. სპიკერის განცხადებით, აუცილებელია, რომ რუსი დეპუტატის ქმედება სერიოზული მსჯელობის საგნად იქცეს და მას საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვეს.

ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან ასეთი მწვავე რეაქციის მიუხედავად, მიმდინარე კვირის პლენარული სხდომებზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ნამდვილად არ იქნება წამყვანი თემა. ეს ცოტა მოგვიანებით, ივნისის დასაწყისში მოხდება, როდესაც პარლამენტი მოისმენს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის ირაკლი ალასანიას ინფორმაციას აფხაზეთში არსებული პოლიტიკური მდგომარეობისა და რუსი სამშვიდობოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

რაც შეეხება მიმდინარე კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგს, ის, ძირითადად, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის საკითხებისა და კანონპროექტებისგან შედგება: 23-25 მაისს დეპუტატები მიიღებენ შრომის კოდექსს (მესამე მოსმენით), მოისმენენ 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშს და დაამტკიცებენ მიმდინარე წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, იმსჯელებენ საბაჟო კოდექსის სადავო მუხლებზე...

თავდაპირველად, ნავარაუდევი იყო სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენაც, მაგრამ ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ ეს საკითხი იმ დროისთვის გადაიდოს, როდესაც "ინფორმაციული შიმშილი" იქნება (?).

დღეს კი პარლამენტი, დროებით, ფუნქციას შეიცვლის და სპორტულ არენას დაემსგავსება, - დეპუტატები აპირებენ, თბილისის "დინამოს" ფეხბურთელების მიერ ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვების 25 წლისთავი საკანონმდებლო ორგანოში საზეიმოდ აღნიშნონ. სხდომათა დარბაზის წინ უკვე მოწყობილია ქართველი ფეხბურთელების ტრიუმფის ამსახველი ფოტოგამოფენა. დღევანდელ სხდომაზე კი, "დი-ნა-მო, დი-ნა-მო"-ს ჰანგების თანხლებით, სხდომათა დარბაზში ქართული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდები გამოცხადდებიან...

# აშშ-ს ელჩი აფხაზეთში

აფხაზეთს საქართველოს დსთ-დან გასვლის პერსპექტივა აშფოთებს.

ამის შესახებ, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა აფხაზეთში ვიზიტად მყოფ საქართველოში ამერიკის ელჩთან ჯონ ტეფტთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

ბაგაფშის თქმით, აფხაზური მხარის მიერ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად შემუშავებული წინადადებები ძალაში რჩება, მაგრამ "კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესებულმა ყველა მხარემ კარგად უნდა გაიაზროს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ქართული მხარის ინიციატივების რეალიზაციას".

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამთავრობო ინფორმაციის სამმართველოს უფროსის ქრისტიან ბჟანიას განმარტებით, სერგეი ბაგაფშმა და ამერიკელმა დიპლომატმა ჯონ ტეფტმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრზე და ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

საქართველოში აშშ-ს ელჩი ჯონ ტეფტი აფხაზეთში მეუღლესთან მარიელა ტეფტთან და პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში საელჩოს მრჩეველთან ბრიჯ ბრიმკთან ერთად 20 მაისს ჩავიდა და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით აფხაზეთის ღირსშესანიშნაობები მოინახულა. აშშ-ს საელჩოს ინიციატივით, დღეს სოხუმში ამერიკულმა ანსამბლმა "ბლიუზ გრასს ბენდმა" კონცერტი გამართა.

*ინტერპრესნიუსი*

# გადაწყვეტილება მიღებულია

## მონტენეგროელებმა დამოუკიდებლობას დაუჭირეს მხარი

დიმიტრი ავალიანი

*მონტენეგრო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება. რეფერენდუმის შედეგები, რომელიც დამოუკიდებლობის მომხრეთა გამარჯვებით დასრულდა, ევროკავშირმა და ეუთო-მ აღიარეს. ერთიანი იუგოსლავიის დაშლის დაგვირგვინებას ექსპერტები სხვადასხვაგვარად აფასებენ. პოსტსაბჭოთა სეპარატისტები ამ ფაქტს დადებითად აღიქვამენ და "ახალი სახელმწიფოების აღიარების" პროცესის გაგრძელებას ელიან.*



ევროპაში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო ყალიბდება.

გუშინ მონტენეგროს სახელმწიფო საარჩევნო კომისიამ კვირას ჩატარებული რეფერენდუმის წინასწარი შედეგები გამოაცხადა. ქვეყნის სერბეთ-მონტენეგროს ფედერაციიდან გასვლას ამომრჩეველთა 55,4 პროცენტმა დაუჭირა მხარი, ანუ ზუსტა 0,4 პროცენტით მეტმა, ვიდრე ევროკავშირის მიერ მონტენეგროს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის იყო საჭირო.

დაძაბულ ბრძოლასა და თითქოსდა ბოლო მომენტამდე გაურკვეველ შედეგებს ხელი არ შეუშლია მონტენეგროს პრემიერ-მინისტრის, მილო ჯუკანოვიჩისთვის უბნების დახურვისთანავე დამოუკიდებლობის მომხრეებისათვის გამარჯვება მიელოცა. დამოუკიდებლობის მოპოვების საზეიმოდ აღნიშვნა ქვეყნის დედაქალაქ პოდგორიცას ქუჩებში კვირას საღამოსვე დაიწყეს.

ეს პატარა რესპუბლიკა, რომლის მოსახლეობის რიცხოვნობა სულ 700 ათასია, 2003 წელს შექმნილ სერბეთისა და მონტენეგროს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. მონტენეგრო ყოფილი იუგოსლავიის ერთადერთი სუბიექტია, რომელიც იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობიდან არ გასულა.

სერბეთსა და მონტენეგროს საკავშირო სახელმწიფოს შექმნას ბას სამოქმედოდ ხელ-ფეხი გაეხსნა.

ჯუკანოვიჩის მთავრობას არასდროს დაუმალავს, რომ საერთო სახელმწიფო სერბეთთან მხოლოდ შუალედური ეტაპი იყო სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

**"ევროკავშირი სრულად პატივს სცემს მონტენეგროში გამართული რეფერენდუმის შედეგებს"**, - განაცხადა გუშინ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანამ და რეფერენდუმს "წარმატებული" უწოდა.

რეფერენდუმის შედეგები გუშინ ეუთო-მაც აღიარა. ეუთო-ს დამკვირვებელთა აზრით, რეფერენდუმი "პატიოსნად და ღიად" ჩატარდა და საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდა. ეუთოს განცხადებით, დარღვევები ხმის მიცემის პროცესში არ გამოვლენილა.

ამავე დროს, სერბეთთან კავშირის შენარჩუნების მომხრეები დამარცხებას ბოლო მომანტამდე არ აღიარებდნენ. დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა ლიდერმა პრედრაგ ბულატოვიჩმა განაცხადა, რომ ოფიციალური შედეგების გამოცხადებამდე დამოუკიდებლობის მომხრეთა გამარჯვებას არ ცნობს. სერბეთის ხელისუფლებამაც მონტენეგროელებს ურჩია სიმშვიდე შეინარჩუნონ და საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე საზეიმო ღონისძიებებისაგან თავი შეიკავონ.

ოფიციალური ბელგრადი სერბეთ-მონტენეგროს ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებას ემხრობა. მათ შორის იმის გამოც, რომ მონტენეგროს დამოუკიდებლობამ შესაძლოა, აღიარებისკენ გზა გაუხსნას სერბეთის ალბანელებით დასახლებულ რეგიონს - კოსოვოს, რომლის სტატუსის თაობაზე მოლაპარაკებები ამჟამად მიმდინარეობს.

**"ნათელია, რომ ამ რეფერენდუმის შედეგები დამატებით პოლიტიკურ ენერგიას შესძენს იმ ერებს, ვინც დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, კერძოდ, კოსოვოს, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს, დნესტრისპირეთს. კატალონიასა და ბასკეთშიც ამ პროცესებს ყურადღებით აკვირდებიან,"** - აცხადებს რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი.

თუმცა, მისი თქმით, **"რეფერენდუმის შედეგებს ამ პროცესებზე უშუალო ზეგავლენა მაინც არ ექნება, ვინაიდან მონტენეგრო მაღალი სტატუსით სარგებლობდა. ეს რესპუბლიკა იყო, და არა ოლქი ან ავტონომიური წარმონაქმნი". "მონტენეგროს უკვე მრავალი წელია სახელმწიფო ხელისუფლების საკუთარი ინსტიტუტები აქვს"**, - დასძენს მარკოვი.

**"მონტენეგროს დამოუკიდებლობით ბალკანეთში დაშლის პროცესი არ დასრულდება, ის გაგრძელდება, კრიზისი ჯერ არ დასრულებულა,"** - აცხადებს ბალკანური კრიზისის შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელი ელენა გუსკოვა. მან აღნიშნა, რომ წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს. **"შემდეგ დღის წესრიგში სერბეთის ვოევოდინას მხარის საკითხი დადგება. ამის შემდეგ კი ალბანელები ჯერ თავიანთი უფლებების გაფართოების, შემდეგ კი ტერიტორიების გაერთიანების საკითხს დასვამენ"**, - მიიჩნევს ექსპერტი. კერძოდ, მისი აზრით, საფრთხე პორველ რიგში მაკედონიას ემუქრება, სადაც შესაძლოა, ალბანელებმა ავტონომიის სტატუსის ამაღლება მოითხოვონ.

**"ახალი სახელმწიფოების შექმნის პროცესი ძალას იკრებს, და აფხაზეთის აღიარება რეალური ხდება"**, - განაცხადა გუშინ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ. მისი თქმით, **"საქართველო გაცილებით სავალალო მდგომარეობაშია, ვიდრე სერბეთი. მაგრამ მას საერთაშორისო თანამეგობრობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ დახმარებას უწევს". "ალბათ საჭიროა, საქართველო სერბეთის როლში იყოს, და მაშინ საერთაშორისო თანამეგობრობა აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს"**, - განაცხადა ლაკობამ.

რეაქცია მონტენეგროს მოვლენებს დნესტრისპირეთის არაღიარებულ რესპუბლიკაში მოჰყვა. **"ჩვენ დღეს გარკვეულწილად დღესასწაული გვაქვს - მონტენეგროელებმა დამოუკიდებლობას დაუჭირეს მხარი,"** - აღფრთოვანებას ვერ მალავს დნესტრისპირეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალერი ლიცკაი.

### მოკლედ

## მეგობარი ქვეყნების მაღალი რანგის წარმომადგენლები საქართველოში

საქართველოში გუშინ გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების მაღალი რანგის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გერმანიის ელჩი ნორბერტ ბაასი, ბრიტანელი ელჩი ბრაიან ფოლი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი მიხეილ ბაჩარნიკოვი და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მრჩეველი მეთიუ ბრაიზა, ხელმძღვანელობდა ჯგუფის კოორდინატორი, ფრანგი დიპლომატი ფრედერიკ ბადენ დუ ლორენი. ვიზიტის ფარგლებში გაერო-ს გენმდივნის მეგობარი ქვეყნების მაღალი რანგის დიპლომატებმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობას გაეცნენ და თბილისსა და სოხუმში დაგეგმილ შეხვედრებზე, მხარეებთან სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის პერსპექტივები განიხილეს. გუშინ გაერო-ს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები თბილისში კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას შეხვდნენ. დღეს დელეგაციის წევრები აფხაზეთში გაემგზავრებიან და 23-25 მაისს შეხვედრებს გამართავენ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხემძღვანელობასთან. სოხუმიდან დაბრუნების შემდეგ გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების მაღალი რანგის წარმომადგენლები თბილისში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს, საგარეო საქმეთა მინისტრ გელა ბეჟუაშვილს, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას, კონფლიქტის მოგვარების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს ირაკლი ალასანიას შეხვდებიან. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველო ერაყის ახალი მთავრობის ფორმირებას მიესალმება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება ერაყის ახალი მთავრობის ფორმირებას, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ნური კამილ ალ-მალიკი უხელმძღვანელებს.

"ამ ფაქტს ჩვენ განვიხილავთ, როგორც გადამწყვეტ ნაბიჯს თავისუფალი და ერთიანი ერაყის შექმნისკენ. ეს არის ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაციის და საერთაშორისო საზოგადოების სრულფასოვან და წარმატებულ წევრად ჩამოყალიბების საწინდარი", - ნათქვამია სამინისტროს მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში. როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება მიიჩნევს, ახალი, ეროვნული ერთიანობის მთავრობა მილიონობით ერაყელის თავისუფალი ნების გამოხატულებაა, რომლებმაც საბოლოოდ ჩამოიშორეს დიქტატურისა და რეპრესიების წარსული და მშვიდობისა და კეთილდღეობისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს.

"საქართველო მზადაა, ითანამშრომლოს ერაყის ეროვნული ერთიანობის მთავრობასთან და მხარი დაუჭიროს მის ძალისხმევას ერაყში უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დამკვიდრების საქმეში", - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. **ინტერპრესნიუსი**

## ეკონომიკური ფორუმი პრაღაში

2006 წლის 22-24 მაისს ქალაქ პრაღაში, ეუთოს ინიციატივის ფარგლებში, გაიმართება ეკონომიკური ფორუმი სახელწოდებით "ტრანსპორტი ეუთოს სივრცეში: უსაფრთხო სატრანსპორტო ქსელები და ტრანსპორტის განვითარება რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობისა და სტაბილურობის გაძლიერების მიზნით".

ფორუმზე სიტყვით გამოვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე. იგი ისაუბრებს საქართველოს გადაწყვეტილებებსა და გეგმებზე ტრანპორტირების და ენერგეტიკული ქსელების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოსა და მთლიანად რეგიონში. **საგარეო საქმეთა სამინისტრო**

„საქართველო – ღვინის სამშობლო!"

11-12 მაისს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ეროვნული მუზეუმის თაოსნობით ჩატარდა ქართული ღვინის ეროვნული კონკურსი „საქართველო – ღვინის სამშობლო", რომლის ოქროს ნიშნითაც „ასა ჯგუფი" გახლდათ.

გამარჯვებული ღვინოები სპეციალურად შექმნილი პრიზებით და მედლებით დაჯილდოვდნენ.

მსგავსი ღონისძიებები ქვეყანაში ღვინის მოხმარების კულტურას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ჯანსაღ კონკურენციას უწყობს ხელს. ქართული ღვინო ხომ ქართული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია;

ამიტომ „ასა ჯგუფი" მომავალშიც ყოველთვის იქნება ეროვნული პრიორიტეტების, ქართული ბრენდის განვითარების მხარდამჭერი.

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# სუამ-ის "პირველი ნაბიჯები" საერთაშორისო ასპარეზზე

პირველი გვერდიდან

სხვათა შორის, ენერგეტიკული უსაფრთხოება და საუკუნის პროექტის დაცვა იყო ერთ-ერთი და უმთავრესი ფასეულობა, რის საფუძველზეც 9 წლის წინ სუამ-ის რეგიონული ორგანიზაცია შეიქმნა, თუმცა 9 წლის შემდეგ პრიორიტეტების ნუსხა გაიზარდა. უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს თქმით, სუამ-ის წინაშე სამი მთავარი ამოცანა დგას: რეგიონული საკითხების ირგვლივ დიალოგი, უფრო შეთანხმებული პოლიტიკის გატარება გაყინული კონფლიქტების მიმართ და ევროპული და ევროატლანტიკური მიმართულება. ამასთან, უკრაინის ლიდერს არ დაუკონკრეტებია, რას ნიშნავს, ვთქვათ, შეთანხმებული პოლიტიკის გატარება გაყინული კონფლიქტების მოსაგვარებლად და ვინ ვისთან უნდა შეთანხმდეს. სუამ-ის წევრ ქვეყნებს ერთმანეთთან სადავო არაფერი აქვთ, რუსეთი კი, ვინც კონფლიქტების ჯერ გაღვივებას შეუწყო ხელი, ხოლო შემდეგ მათ გაყინვას, სუამ-ის წევრი არ არის და საერთოდ უპერსპექტივოდ მიიჩნევს ამგვარ გაერთიანებას.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სუამ-ის წევრი ქვეყნების პრეზიდენტებს, რომლებიც კიევში სხვადასხვა დროს ჩამოვიდნენ, სუამ-ის მომავალზე ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებიათ საკუთარი შეხედულება. გარდა ამისა, ძალიან საინტერესოა, თუ რა უპირატესობა აქვს სუამ-ის რეგიონულიდან საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნას. აი, რა განაცხადა ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც კიევში ქართული ღვინოების საერთაშორისო ფესტივალს დაესწრო: **"მაგალითად, ჩვენ ვაპირებთ ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, დსთ-ში იყო ხელმოწერილი ასეთი ხელშეკრულება, მაგრამ არ მოქმედებდა. სუამ-ის შემთხვევაში კი იმოქმედებს. ეს არის კონკრეტული მიღწევა ჩვენი მეღვინეებისთვის, მეთამბაქოებისთვის და ყველა დარგის წარმომადგენელისთვის, მაღალი ტექნოლოგიებით დაწყებული და სოფლის მეურნეობის პროდუქციით დამთავრებული. ასე რომ, საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნას დიდი მნიშვნელობა აქვს. გარკვეულწილად ეს ნიშნავს ალტერნატივის ძიებას, თუმცა ეს არ არის ვინმეს ჩანაცვლება და ვინმეს წინააღმდეგ სანიტარიული კორდონის აღმართვა. უბრალოდ, ყველა ქვეყანამ ვისწავლეთ ჭკუა (საქართველო კი ერთ-ერთი პირველი მიხვდა ამას) და ვაწარმოებთ ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებულ საგარეო პოლიტიკას. და თუ ვინმე ამაში შემოგვიერთდება, მხოლოდ მივესალმებით."**

სუამი-ს რეგიონულიდან საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნა სწორედ ახალი პარტნიორების მისაზიდადაც არის ჩაფიქრებული. "ბორჯომის დეკლარაცია", ვილნიუსის შეხვედრა და კიევის სამიტი ამ მცდელობის დასტურია.

**"ბორჯომის დეკლარაცია გარდაიქმნა ვილნიუსის ფორუმად, რომელიც იყო ისტორიული ფორუმი, იმ გამოსვლებიდან და რეაგირებიდან გამომდინარე, რაც მას მოჰყვა. ჩვენ უნდა გავძლიერდეთ ეკონომიკურად და პოლიტიკურად და ყველა მაშინ გვცმეს პატივს, როცა ძლიერი ვიქნებით,"** - განაცხადა საქართველო პრეზიდენტმა.

23 მაისს სუამ-ის საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნას ნატო-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების - ლიტვის, რუმინეთის, ბულგარეთისა და პოლონეთის სახელმწიფოთა მეთაურებიც დაესწრებიან. ამიერიდან მას ერქმევა **"სუამი - ორგანიზაცია დემოკრატიისა და განვითარებისათვის"**.

# სამიტი დაიწყო

პირველი გვერდიდან

"ამ ნაბიჯით ახლად შექმნილმა ორგანიზაციამ უკვე დაამტკიცა თავისი ქმედუნარიანობა, რამდენადაც სამეზობლო ინიციატივების ან ორგანიზაციების ფარგლებში, მათი შექმნის დღიდან, ასეთი შეთანხმებების იმპლემენტაცია ვერ მოხერხდა," - წერია პრესისთვის გავრცელებულ ინფორმაციაში. გუშინვე მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას დიპლომატიური პერსონალის მომზადების სფეროში დახმარების გაწევის შესახებ და ასევე მთელ რიგ დოკუმენტებს, რომლებშიც განსაზღვრულია თანამშრომლობის პერსპექტივები ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისთვის - სუამ-ის ფარგლებში. მინისტრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სუამ-ის საქმიანობა მიმართული იქნება დემოკრატიის გაძლიერების, კანონის უზენაესობის დაცვის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის, სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისკენ. მათ დაადასტურეს სუამ-ის სახელმწიფოთა სურვილი კიდევ უფრო გააღრმავონ პარტნიორული ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ასევე სხვა სახელმწიფოებთან ან ორგანიზაციებთან, კერძოდ, ერთობლივი პროექტების განხორციელების სფეროში. მინისტრებმა განაცხადეს, რომ ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისთვის - სუამ-ში გაწევრიანება შეუძლიათ ასევე სხვა სახელმწიფოებსაც, რომლებიც იზიარებენ მის მიზნებსა და პრინციპებს.

*24 საათი*



*სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრამდე, მინისტრები მართავენ კონსულტაციებს.*

# "ახალი ევროპა" - საფრთხე რუსეთისათვის

პირველი გვერდიდან

პოლონეთის თავდაცვის მინისტრი რადეკ სიკორსკი მილსადენის გაყვანის პროექტს მეორე მსოფლიო ომამდე გერმანიასა და რუსეთს შორის დადებულ პაქტს ადარებს, რომელიც 1938 წელს გაფორმდა და პოლონეთის გაყოფას ითვალისწინებდა (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრ მიმომხილველს შრიოდერსა და პუტინს შორის გასულ წელს გაფორმებული შეთანხმების შედარება მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტთან ზედმეტად გადაჭარბებულად ეჩვენება.).

პოლონეთის რუსეთისადმი უკმაყოფილების კიდევ ერთი მიზეზი მდგომარეობს ამ უკანასკნელის მიერ პოლონური წარმოების საკვები პროდუქტების იმპორტის აკრძალვაში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

ევროკავშირში რუსეთის ელჩის განცხადებით, გაერთიანებისა და რუსეთის ურთიერთობები ჯერჯერობით "არ არის კრიზისში", თუმცა, ბოლო ხანებში აშშ-ს მიერ რუსეთზე "სიტყვიერი თავდასხმების" ფონზე, შესაძლოა, უფრო გაუარესდეს. რუსი დიპლომატი აშშ-ს ვიცე პრეზიდენტის, დიკ ჩეინის განცხადებასაც შეეხო, რომელმაც რუსეთი დასავლეთის გაზით მანიპულირებაში დაადანაშაულა. ჩიჟოვის კომენტარი აღნიშნულ საკითხზე ასეთია: **"ამგვარი განცხადებები უარყოფით ეფექტს ახდენს ევროპის სახელმწიფოთა აზროვნებაზე."**

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი რუსეთს სთხოვს, მილსადენების ოპერირებაში ჩართვის საშუალება მისცეს საერთაშორისო კომპანიებს და მოახდინოს "ევროპის ენერგეტიკული ქარტიის" რატიფიცირება, რაც კასპიის რეგიონის ნავთობის მფლობელ ქვეყნებს მისცემს თავისი ენერგორესურსების ევროპაში დაუბრკოლებლად ექსპორტირების უფლებას. თუმცა, ჩიჟოვის განცხადებით, დიდი რვიანის შეხვედრამდე ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ იქნება გადადგმული. შეგახსენებთ, რომ წამყვანი ინდუსტრიული დემოკრატიული ქვეყნების მეთაურთა შეხვედრა 15-17 ივლისს, პეტერბურგშია დაგეგმილი.

სავარაუდოდ, აშშ ემზადება იმისათვის, რომ დიდი რვიანის სამიტზე მოსკოვს მოსთხოვოს გარკვეული საკითხების მოგვარება ენერგეტიკის სექტორთან დაკავშირებით, მანამდე კი ოფიციალური ვაშინგტონი გეგმავს, აღნიშნული საკითხი განიხილოს თავის ევროპელ პარტნიორებთან ივნისში დაგეგმილ ევროკავშირისა და აშშ-ს სამიტზე ვენაში.

რუსეთს მეტად მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ევროკავშირთან უსაფრთხოების, ვაჭრობის, ინვესტიციებისა და ენერგეტიკის სფეროში. მხარეებს შორის კარგი ურთიერთობები კი ორივეს ინტერესებში შედის. ჯერ კიდევ 1994 წელს ევროგაერთიანებასა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 1 დეკემბერს და არეგულირებს მხარეებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს. მნიშვნელოვანია ერთიანი ეკონომიკური სივრცის პროექტი (საფუძველი ჩაეყარა 2001 წლის მაისში ევროგაერთიანებისა და რუსეთის სამიტზე), რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის მიერ ახალი ეკონომიკური რეფორმების გატარებას, რაც მას ევროპულ სტანდარტებთან უფრო დააახლოვებს და შესაბამისად უფრო მიმზიდველს გახდის ევროპელი ინვესტორებისა და იმპორტიორებისათვის.

ევროგაერთიანება არის რუსეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორი, ხოლო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის სავაჭრო პარტნიორებს შორის რუსეთს მეხუთე ადგილი უკავია ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის, ჩინეთისა და იაპონიის შემდეგ. ევროკავშირის ქვეყნებში იმპორტირებული ნავთობის 16 პროცენტი, ხოლო ბუნებრივი აირის 20 პროცენტი რუსეთზე მოდის, ხოლო ამ უკანასკნელისათვის ევროპა წარმოადგენს ტექნოლოგიისა და ინვესტიციების მთავარ წყაროს. დღეისათვის ევროპული კომპანიები გვევლინებიან მთავარ უცხოელ ინვესტორებად რუსეთში, თუმცა ინვესტიციების საერთო მაჩვენებელი აქ ჯერ კიდევ დაბალია (2002 წლის მონაცემებით 2.2 ბილიონ ევროს შეადგენდა).


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge


ეკა კვესიტაძის სვეტი

## გაყალბებული სტატისტიკა დასავლური ინვესტიციების სანაცვლოდ

რამდენიმე დღის წინ ეკონომიკის მინისტრმა, ერთ-ერთ საკომიტეტო მოსმენაზე, ომახიანად და წარბშეუხრელად განაცხადა, რომ უმუშევრობა საქართველოში არათუ გაიზარდა, არამედ მნიშვნელოვნად შემცირდა. არსებულ ფონზე ეს, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ უცნაური განაცხადი იყო. საინტერესოა, რის საფუძველზე ტყუოდა ასე ეკონომიკის მინისტრი?

ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მიამბო, თუ როგორ დაურეკეს სტატისტიკის დეპარტამენტიდან და სთხოვეს, რომ მის საწარმოში გაფორმებული სამი მუშის ნაცვლად, ათი დაეფიქსირებინა. სავარაუდოა, ის ერთადერთი არ ყოფილა, ვისაც ამ დეპარტამენტიდან მსგავსი თხოვნით მიმართეს - გაესამმაგებინა, გაეოთხმაგებინა თუ გაეხუთმაგებინა მის მიერ დასაქმებულთა რაოდენობა. ანუ მიზეზი, თუ რატომ გამოიყურებოდა ასე თავდაჯერებულად ეკონომიკის მინისტრი ჩოგოვაძე, ახლა ნათელია.

ვირტუალური დასაქმებულებით გაბერილ სტატისტიკურ მონაცემებს ხელისუფლება სულ მალე მოიყვანს იმის საბუთად, რომ გარღვევა დასაქმების სფეროში მიღწეულია. ამ მონაცემებს არჩევნების წინაც თავზე დაგვაყრიან და დაგვიმტკიცებენ, რომ თუ მილიონიანი არა, ნახევარმილიონიანი დასაქმებულთა ჯარი მაინც შეემატა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. ჰიმნსაც დავუკრავთ, დროშებსაც აღვმართავთ და უკან ფონად ათობით ტრაქტორს, პირდაპირ სამუშაო ადგილებიდან მოხსნილ ასფალტის დასასხამ მანქანებს და კიდევ ათასგვარ რამეს მოვიყვანთ "მსუყე" ფონის შესაქმნელად.

თუ ფოთში პრეზიდენტის დასახვედრად სახელდახელოდ შეღებილი ფასადებიდან საღებავის ჩამოცვენა მხოლოდ წარსულის გაკვრით გახსენებაა, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ "გეგმის შესრულება" უკვე სოციალისტურ მარაზმთან ბადებს პირდაპირ ასოციაციებს.

ვისთვის ან რისთვის აშენებს ხელისუფლება გარდამავალი დროშების ვირტუალურ სამყაროს, რომელიც ერთ დღეს ყველას თავზე დაგვემხობა?!

თუ ფონად დროშებიანი ტრაქტორების და სხვა ათასგვარი მოძრავ- მექანიზებული მანქანების ჩამწკრივება სუფთა გემოვნების საკითხია, გემოვნების საქმე ნამდვილად აღარ არის სტატისტიკური მონაცემების გაყალბება.

არავინ ამტკიცებს იმას, რომ უმუშევრობის თუ სხვა ეკონომიკური პრობლემები ადვილად მოგვარებადია, მით უმეტეს - დანგრეული ეკონომიკის ფონზე და მით უმეტეს მაშინ, როდესაც საჯარო სამსახურის რეფორმის შედეგად კიდევ ათასობით ადამიანი დარჩა დაუსაქმებელი.

მაგრამ ამ პრობლემის "მოგვარების" ყველაზე ცუდი და ამორალური გზა სტატისტიკური მონაცემების საჭიროებისამებრ შეთხზვაა.

მეგობრული ბიზნესგარემოს შექმნაზე ხელისუფლება დიდი ხანია ლაპარაკობს. ამტკიცებს, რომ ყველა მისი ნაბიჯი ამ მიმართულებით არის გადადგმული, მათ შორის ახალი შრომის კოდექსიც, რომელიც მხოლოდ დამსაქმებლის ინტერესებზეა ორიენტირებული.

მაგრამ, მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა, ამ ბიზნესგარემოთი დაინტერესებული ინვესტორები ცივილიზებული დასავლეთიდან ჯერ კიდევ არ ჩანან. სამაგიეროდ უხვად არის წარმოდგენილი პოსტ-სოციალისტური კაპიტალისტების ინტერესები, რადგან ბიზნესურთიერთობების კულტურა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება სთავაზობს ინვესტორებს, ამ ეტაპზე მისაღები მხოლოდ რუსების, ყაზახებისა და ფრიად საეჭვო რეპუტაციის მქონე დანიური კომპანიისათვის აღმოჩნდა, რომელსაც ურთიერთობა ასლან აბაშიძესთანაც კი არ უჭირდა.

ხორცის მწარმოებელი ავსტრიულ ფირმა "შინჰოფერისათვის" კი ქართული ბიზნესსივრცე სრულიად უცხო აღმოჩნდა. მიზეზი ამ შემთხვევაში, ისევ ქართული თუ ზოგადად საბჭოური კულტურა გახდა. უფრო კონკრეტული მიზეზი რამდენიმე კვირის წინ მემარჯვენე ოპოზიციამ დაასახელა - ეს ფინანსური პოლიციის შეფი კეზერაშვილია, რომლის მამას თავად შემოაქვს ინდური ხორცი საქართველოში და, ბუნებივია, "შინჰოფერის" კონკურენცია არანაირად არ აძლევდა ხელს. ამ ინფორმაციის ერთადერთი წყარო ოპოზიცია ნამდვილად არ არის. იგივეს ამტკიცებენ სხვადასხვა დამოუკიდებელი წყაროები. მათ შორის - ხელისუფლების წარმომადგენლებიც, ოღონდ, რა თქმა უნდა, მხოლოდ პირად საუბრებში. ასე რომ, პრეზიდენტმა, რომელმაც ყველაფერი იცის და ყველაფერს ხედავს, წესით და კანონით, ეს არცთუ ისე არაზუსტი ინფორმაციაც უნდა იცოდეს.

რამდენიმე ხნის წინ ავსტრიაში მყოფი პრემიერ-მინისტრი თავად შეჰპირდა ავსტრიული კომპანიის ხელმძღვანელს, რომ ამ საქმეს პირად კონტროლზე აიყვანდა. უფრო მოგვიანებით იგივე განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმაც. ამ განცხადებების შემდეგ საკმარისი დრო გავიდა, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს მაშინ, როცა ეს ავსტრიული კომპანია ქართული ბიზნესგარემოს "მეგობრულობის" კატალიზატორი უნდა გახდეს.

თუ აღმოჩნდება, რომ ეს გარემო ნამდვილად არ არის თბილი ცივილიზებული კაპიტალის მიმართ, მაშინ ხელისუფლებას ისღა დარჩენია, რომ დასაქმების შესახებ სტატისტიკური მონაცემები გააყალბოს, თუმცა საეჭვოა, რომ ამ სიყალბით ვინმეს მოტყუება შეძლოს.


PSP ჯგუფისა და საქართველოს წამყვან კარდიოლოგთა ერთობლივი საქველმოქმედო პროექტის II ეტაპი

შედგება 27 და 28 მაისს

აჭარის, შიდა ქართლის, ლიახვისა და დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობისთვის

ბათუმი აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი
რესპუბლიკური საავადმყოფო
მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი
აღდგენითი მკურნალობის საავადმყოფო

მაღალმთიანი აჭარა აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტი
ხულოს რაიონული საავადმყოფო

გორი აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტი
გორის ქალაქის საავადმყოფო
ქალაქის პოლიკლინიკა

ქარელის გადასახვევიდან და ტყვიავის საავადმყოფოს ეზოდან უფასო ავტობუსებით ჩამოყვანილ მსურველებს კონსულტაციას გაუწევს აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტი
გორის კომბინატის პოლიკლინიკა

დიდი ლიახვის ხეობა
აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტი
ქურთის საავადმყოფო

წამყვან კარდიოლოგებთან ერთად პროექტში მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი სპეციალისტები

პროექტს ქართული ფარმაცევტული საწარმო GMP-ის მედიკამენტებით უზრუნველყოფს PSP ჯგუფი

27-28 მაისი, 10-15 სთ.

## სოლიდარობა გირგვლიანის ოჯახს

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

გუშინ ქუთაისში, ოთხი წლის წინათ მოკლული რეზო კახიანის დედის, მიმოზა კახიანის სახლში ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ და სოლიდარობა გამოუცხადეს სანდრო გირგვლიანის ოჯახს.

მიმოზა კახიანის თქმით, მისი შვილის მკვლელობის საქმის ობიექტურად გამოძიებას, სანდრო გირგვლიანის შემთხვევის მსგავსად, პოლიციის მაღალჩინოსნები უშლიან ხელს. კერძოდ, საუბარია, იმერეთის სამხარეო პოლიციის ყოფილ უფროსზე რუბენ ასანიძესა და ასევე, ყოფილ პროკურორზე შალვა ფხაკაძეზე.

**"მოვითხოვ ჩემი შვილის მკვლელს - დავით მიქაბერიძეს სამუდამო პატიმრობა მიესაჯოს,"** - აცხადებს მიმოზა კახიანი.

საქმე ისაა, რომ დავით მიქაბერიძეს ქუთაისის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ეს განაჩენი კი საოლქო სასამართლომ მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალა. ამჟამად, გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული.

მიმოზა კახიანმა მისი შვილის მკვლელობის საქმის მასალები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლებს გადასცა, რის შემდეგაც "ახალგაზრდა იურისტები" კახიანის საქმეში ოფიციალურად ჩართვნენ.

## ოსმა ძალოვანებმა მოთხოვნა შეასრულეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ოსურ სოფელ ხელჩუაში გუშინწინ მომხდარი ინციდენტის დროს გარდაცვლილი ორი ქართველის - ილია საბაშვილისა და ალექსანდრე ელიაშვილის ცხედრები ოსურმა მხარემ გუშინ შიდა ქართლის პოლიციის წარმომადგენლებს გადასცა.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლები სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შსს-გან ორი დღის განმავლობაში ითხოვდნენ ცხედრების გადმოცემას, ოსურმა მხარემ ჭირისუფლებს ცხედრების ოჯახებში გადასვენების უფლება გუშინ მისცა.

ოსური მხარე ცხედრების სანაცვლოდ იმ ორი ქართველის დაკავებას ითხოვდა, რომლებიც, მათი თქმით, ხელჩუაში მომხდარ თავდასხმაში მონაწილეობდნენ და შემთხვევის ადგილიდან გაქცევა შეძლეს, თუმცა, გუშინ ოსმა ძალოვანებმა გადაწყვეტილება შეცვალეს და ცხედრების გადაცემა უპირობოდ მოხდა.

როგორც ცნობილია, სოფელ ხელჩუაში, რომელშიც ძირითადად ოსი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს, გორის რაიონის სოფელ მერეთში მცხოვრები ილია საბაშვილი და ალექსანდრე ელიაშვილი მოკლეს. ორივე მათგანი ადრე ყაჩაღობისა და სხვა მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის იძებნებოდა.

პირველადი მონაცემებით, ქართველი ეროვნების ორი მოქალაქე ოსურ სოფელში, ერთ-ერთ ოჯახში დაყაჩაღების მიზნით შეიჭრა. ისინი ფულის გამოძალვას ცდილობდნენ, ოჯახში მყოფ ოსი ეროვნების ქალბატონს სხვადასხვა სახის დაზიანებები მიაყენეს, რა დროსაც მისმა ვაჟიშვილმა რამდენიმე გასროლით ორივე თავდამსხმელი შემთხვევის ადგილზე მოკლა.

*24 საათი*

## ლაგოდეხის პოლიციამ ძებნილი დააკავა

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ლაგოდეხის პოლიციამ ძებნაში მყოფი, 1975 წელს დაბადებული, ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენში მცხოვრები დავით ჭილლაძე დააკავა. ჭილლაძემ 2003 წელს საკუთარი ავტომანქანით ავტოავარია მოახდინა, დაეჯახა ფეხით მოსიარულე მამაშვილს - გივი და ანზორ კუპატაძეებს, რომლის დროსაც ანზორ კუპატაძე ადგილზე გარდაიცვალა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 276 მუხლის 5-ე ნაწილითაა აღძრული.

*24 საათი*


განვითარებისა და რეფორმების ფონდი

## საქართველოს პრეზიდენტის ახალი ინიციატივა

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა ეკონომისტებს (MBA), სახელმწიფო მართვის სპეციალისტებს და ჟურნალისტებს (მედია მენეჯმენტი), რომლებიც 2006-2007 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში.

სამაგისტრო პროგრამების დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!**

სამაგისტრო პროგრამის გრანტი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც წარმოადგენს ოფიციალური მოწვევის წერილს ევროპის ან აშშ-ის რომელიმე უნივერსიტეტიდან, რაც ადასტურებს, რომ კანდიდატს გავლილი აქვს უნივერსიტეტში სწავლის ან სამეცნიერო მუშაობის დასაწყებად აუცილებელი ყველა წინასწარი გასაუბრება, კონკურსი, გამოცდა და ა.შ.

დეტალური ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე:
www.drf.org.ge
www.jobs.ge

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723**


## საპყრობილე ვიდეოთვალის ობიექტივში

პირველი გვერდიდან

**"ზუგდიდის ციხეში უფროსსაც კი თავზე აწვიმს ოთახში,"** - აღნიშნეს მათ. ციხის საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიის წევრებს ციხეებში პატიმრების ცემისა და წამების ფაქტებზე არ უსაუბრიათ, რამაც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლების პროტესტი გამოიწვია. "ახალგაზრდა იურისტებმა" მინისტრს პრეტენზია იმის გამოც წაუყენეს, რომ მათი წარმომადგენლები საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიაში ვერ მოხვდნენ.

**"გეგუთის N8 საერთო რეჟიმის დაწესებულებაში ჩვენი ორგანიზაციის წევრებმა, როგორც კომისიის პოტენციურმა წევრებმა, ტრენინგიც გავიარეთ, მაგრამ ახლახანს იუსტიციის სამინისტრომ ამ დაწესებულების კომისიის წევრობისთვის კონკურსი თავიდან გამოაცხადა. ქუთაისის N2 საპყრობილეში კი კომისიის წევრად დასახელებულია ჩვენი წარმომადგენელი რამაზ საჯაია, თუმცა მინისტრი შესაბამის ბრძანებაზე რატომღაც ხელს არ აწერს,"** - აცხადებს "საია"-ს ქუთაისის ფილიალის წარმომადგენელი ნიკა გეგეშიძე.

**"ივნისის ბოლომდე სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიას დავაკომპლექტებთ. კომისიის წევრები შეირჩევიან მხოლოდ ერთი ნიშნით - ეს არის ობიექტურობა. ანუ, კომისია დაკომპლექტდება იმ ადამიანებით, ვისაც საპატიმროებში შესვლა პირადი ან საკუთარი ორგანიზაციის ინტერესებისთვის კი არა, მონიტორინგის რეალურად განხორციელებისთვის სურთ"**, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

იუსტიციის მინისტრმა ქუთაისის, ზუგდიდისა და ბათუმის საპყრობილეების მონიტორინგის კომისიების მუშაობა დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ანალოგიური კომისიები ივნისის ბოლომდე საქართველოს სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში შეიქმნება.

**"23-ში გახდება ზუსტად ხუთი თვე, რაც მე მინისტრად დავინიშნე და ამ ხნის მანძილზე ყველაზე დიდ მიღწევად არ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ძალიან ცოტაა პრეტენზია ციხის ადმინისტრაციასა და კონტინგენტს შორის ურთიერთობის კუთხით. ციხეში წესები იცვლება იმიტომ, რომ სახელმწიფო ჩამოყალიბდეს სახელმწიფოდ. მთელ მსოფლიოში არის ის პრობლემა, რაც ჩვენთანაა - ფულის ნაკლებობა და ბევრი პატიმარი,"** - აცხადებს გია ქავთარაძე.

საზოგადოებრივი კონტროლის კომისიების ანგარიში ზედმეტად "რბილი" რომ აღმოჩნდა, ამაზე დელიკატურად საერთაშორისო ორგანიზაციის "ციხის საერთაშორისო რეფორმის" წარმომადგენელმა მერი მერფმაც მიანიშნა.

**"არის საკითხები, რომელიც არ წამოწეულა,"** - თქვა მან.

პატიმრების ცემისა და წამების ფაქტებზე თავად ბაჩო ახალაიამ ისაუბრა.

**"აქ არავის უსაუბრია ცემაზე. მე, მაგალითად, მსმენია, რომ აქ თავიდან ხალხს ხოცავდნენ, კლავდნენ, ცემდნენ. ახლაც საუბრობენ ამაზე, მაგრამ ახლა მთელ ციხეს ვიდეოთვალი აკონტროლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი პატიმრისა და თანამშრომლის მოქმედება იწერება ფირზე. უკვე ძალიან მარტივად შეგვეძლება იმის შემოწმება, მართლა ჰქონდა თუ არა ცემის ფაქტს ადგილი. რაც შეეხება პირობებს, ასეთი პირობები საქართველოს ციხეების ისტორიაში არასოდეს ყოფილა"**, - განაცხადა ბაჩო ახალაიამ.

დაბოლოს, ქუთაისის საპყრობილეში მოსალოდნელი კიდევ ერთი სიახლის შესახებ. როგორც იუსტიციის მინისტრმა თქვა, უახლოეს პერიოდში ქუთაისში პატიმრებისთვის ახალი საავადმყოფო გაიხსნება, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებს მოემსახურება. ანალოგიური საავადმყოფო თბილისშიც გაიხსნება, რადგან ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო უქმდება. ქუთაისის ციხის საავადმყოფოში 780 000 ლარის ღირებულების ტექნიკას უხლოეს მომავალში ელიან.

## სახალხო დამცველი პოლიციელების დასჯას მოითხოვს

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი იმ პოლიციელების დასჯას მოითხოვს, რომლებმაც 19 წლის ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის მტკიცებულებები გააყალბეს. ამირან რობაქიძე 2004 წლის 23 ნოემბერს წერეთლის გამზირზე პოლიციელების მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად დაიღუპა. როგორც მისი ოჯახის წევრები აცხადებენ, მომხდართან დაკავშირებით მტკიცებულებები გაყალბდა.

**"უნდა დაისაჯოს ყველა ის პოლიციელი, რომელმაც რობაქიძის საქმის მტკიცებულებების გაყალბებაში წვლილი შეიტანა. ის, რომ ამ დროისთვის საპატრულო პოლიციის ყველა ხელმძღვანელი შეცვლილია, ეს მათი პასუხისმგებლობის საკითხის ხელახლა დაყენებას სრულებით არ გამორიცხავს. საჭიროა, თავიდან დაიკითხოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ის თანამშრომელი, რომელიც ამ დროს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა"**, - აცხადებს სახალხო დამცველი, რომელიც რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით ორ-სამ კვირაში პარლამენტის წინაშე მოხსენებით გამოსვლას გეგმავს.

გარდა ამირან რობაქიძის ლიკვიდაციის საქმის გაყალბებაში ეჭვმიტანილი პოლიციელებისა, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შსს-ს და გენერალურ პროკურატურას და პოლიციის სხვადასხვა განყოფილებებში აღმოჩენილი დარღვევების გამო, კანონდამრღვევ პოლიციელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და წინასწარი გამოძიების დაწყება მოითხოვა.

საქმე ისაა, რომ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა პოლიციის განყოფილებების მონიტორინგისას აღმოაჩინეს, რომ გლდანი-ნაძალადევის I და VI განყოფილებაში, საგარეჯოს, ახმეტის, ხაშურის, ქარელის და სიღნაღის რაიონულ განყოფილებებში დაკავებულთა რეგისტრაციის წიგნები ხარვეზებით ივსებოდა. სახალხო დამცველის ინფორმაციით, განსაკუთრებული უზუსტობებია დაშვებული დაკავებულთა განყოფილებებში შეყვანისა და განყოფილებებიდან გაყვანის აღრიცხვისას. ამასთან, გლდანი-ნაძალადევის I და დიდუბე-ჩუღურეთის I განყოფილებებში დაფიქსირდა ადმინისტრაციული წესით დაკავებისას დაშვებული დარღვევები.

სახალხო დამცველის აპარატმა მის ხელთ არსებული მასალები შესწავლისა და რეაგირებისთვის გადაუგზავნა შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსს და შსს-ს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს.

სახალხო დამცველის რეკომენდაციით, შსს გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება, რომლის დასკვნის საფუძველზეც, შს მინისტრის 2006 წლის 28 აპრილის ბრძანებით, დისციპლინური სახდელი - საყვედური შეეფარდა პოლიციის სხვადასხვა განყოფილებების ათამდე მორიგე-ინსპექტორს, რომელთა მიერ ჩადენილი კანონდარღვევები სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა აღრიცხეს. მინისტრის ბრძანებით, საქმეები გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს გამოსაძიებლად გადაეგზავნა.

სახალხო დამცველის აპარატი თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში პოლიციის განყოფილებებისა და დროებითი მოთავსების საკნების მონიტორინგს აქტიურად განაგრძობს.

*24 საათი*

## საპროტესტო აქციების სერია

ძალოვანი უწყებების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციების სერია დღეს განახლდება. არასამთავრობო ორგანიზაციები "თანასწორობის ინსტიტუტი" და "შეურიგებლობის ინსტიტუტი" სანახაობრივ აქციას რესპუბლიკის მოედნიდან დაიწყებენ და პარლამენტის შენობასთან დაასრულებენ. ამგვარი აქციები 26 მაისამდე გაგრძელდება.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტში" აცხადებენ, 23 მაისს იწურება ვადა, რომელიც არასამთავრობო სექტორმა საგამოძიებო ორგანოებს შს სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილი დანაშაულების ობიექტური გამოძიების დაწყებისთვის მისცა.

დღევანდელ აქციას სანდრო გირგვლიანისა და 2004 წლის 23 ნოემბერს პატრულის მიერ მოკლული ამირან რობაქიძის ოჯახის წევრებიც დაესწრებიან.

შეგახსენებთ, რომ როგორც გირგვლიანის ოჯახის წევრებმა რამდენიმე დღის წინ განაცხადეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები, რომელთა გვარებიც მკვლელობას უკავშირდება, უცხოეთში მიმალვას აპირებენ. სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები აღნიშნული პირების საჯაროდ დაკითხვას მოითხოვენ. ამავდროულად, ისინი უნდობლობას უცხადებენ თბილისის პროკურატურას, კონკრეტულად, თბილისის პროკურორს - გიორგი ღვინიაშვილს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ერთ-ერთი სპეცოპერაციის დროს დაღუპული 19 წლის ამირან რობაქიძის ოჯახის წევრები კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების დასჯას მოითხოვენ.

2004 წლის 23 ნოემბერს დიდუბის ეკლესიის წინ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაღუპული 19 წლის ამირან რობაქიძის დედა ია მეტრეველი აცხადებს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მისი შვილი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ მოკლეს. მოგვიანებით კი, გარდაცვლილზე ცრუ ინფორმაცია გაავრცელეს.

*ინტერპრესნიუსი*




Getz
ქალაქური რომანი
როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში
HYUNDAI Official Partner
სამოდელო რიგი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან; Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან; Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან
www.hyundai.ge
HYUNDAI
Drive your way™
იარე შენი გზით

# ალმოდოვარმა დააბრუნა გარდაცვლილი დედა და კიდევ ერთხელ სიყვარული აუხსნა ქალებს

ნინია კაკაბაძე

კანის კინოფესტივალზე ასეთი ტრადიციაა: ყველა ჟურნალი და გაზეთი, რომელიც აქ ფესტივალის მსვლელობის დროს ყოველდღე გამოდის, ირჩევს დაახლოებით 6 კინოკრიტიკოსს და ყოველდღიურად ყველა საკონკურსო ფილმისთვის ნიშანს აწერინებს. ამიტომ ყველა ჟურნალსა და გაზეთში იბეჭდება ე.წ. რეიტინგები, რომელიც ბოლო გვერდზეა მოთავსებული. ფესტივალის მეხუთე დღეს ამ გამოკითხვის მიხედვით ჯერ კიდევ პედრო ალმოდოვარის ახალი ფილმი VOLVER ("დაბრუნება") იკავებს პირველ ადგილს. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არაფერს ნიშნავს. შარშანდელ ფესტივალზე მთელი 12 დღის განმავლობაში მიხაელ ჰანეკეს ფილმი ლიდერობდა, მაგრამ დაჯილდოებისას არათუ ოქროს პალმის რტოს, არამედ ყოველგვარი პრემიის გარეშე დარჩა. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ თეორიას, რომ, როგორც წესი, კრიტიკოსებისა და რეჟისორების თუ მსახიობების მოსაზრებები ერთმანეთს არ ემთხვევა. კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურიში კი არც ერთი კინოკრიტიკოსი არ შედის და ის მთლიანად რეჟისორების, დრამატურგებისა და მსახიობებისგან არის დაკომპლექტებული. მაგრამ ამჯერად აქცენტი გავაკეთოთ კრიტიკოსების მიერ არჩეულ ფილმზე, რომელიც აშკარად ყურადღების ღირსია.

**"ბოლო დროს ვხვდები, რომ ყველაზე მეტად ფილმის გადაღება ან სცენარზე მუშაობა კი არა, არამედ უკვე გამზადებული ფილმის სინოფსისის დაწერა მიჭირს. ჩემთვის გაუგებარია, როგორ უნდა ჩავატიო მთელი ჩემი ფილმი ხუთ წინადადებაში", - ამბობს ალმოდოვარი**. ფილმის ფაბულის მოყოლა გაცილებით რთულია მისთვის, ვისაც არც მისი სცენარი დაუწერია და არც ფილმი გადაუღია.

**"როდესაც მე ვამბობ ლამანშას, ვფიქრობ დედაჩემზე", - პედრო ალმოდოვარი.**

ცოტა ხნის წინ ესპანელ რეჟისორს დედა გარდაეცვალა. მისი დამოკიდებულება დედის და, ზოგადად, ქალთა სამყაროს მიმართ მისი ფილმების მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი. ამიტომ ეს კიდევ ერთი ოდაა, რომელიც ქალებს ეძღვნებათ. **"ეს არ არის ფემინისტური ფილმი, ეს ქალებისადმი მიძღვნილი სიმღერაა",** - ამბობს რეჟისორი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ფემინისტ ქალებს ეს ფილმი განსაკუთრებით მოეწონებათ და სლოგანსაც კი მოუძებნიან: მოკალით და დამარხეთ ქმრები!

ფანტაზიის უშრეტი შესაძლებლობის მეშვეობით ალმოდოვარი მის ფილმში ლამანშელ დედას აცოცხლებს. ლამანშა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ალმოდოვარის დედულეთია, სადაც ის გაიზარდა და სადაც მისი დედა სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. ამიტომ ფილმის მოქმედების ერთი ნახევარი სწორედ ლამანშაში ხდება. იქ მთავარი გმირის (პენელოპა კრუზი) დედა ცხოვრობდა და ახლა ის მარტოხელა დეიდის სანახავად ჩადის. დედა გარდაცვლილია. სრულიად გენიალურია ფილმის პირველი ეპიზოდი, რომელმაც კინოდარბაზში პირველივე კადრზე აპლოდისმენტები გამოიწვია. მადრიდის პატარა სასაფლაო, ალმოდოვარისთვის დამახასიათებელი სიჭრელე, ქარის ხმაური და ბევრი ქალი, რომლებიც გულმოდგინედ ასუფთავებენ საფლავებს. მათ შორის პენელოპა კრუზის გმირი რაიმონდა 13 წლის ქალიშვილთან და უმცროს დასთან ერთად დედმამის საფლავს ასუფთავებს. შემდეგ ერთად სხდებიან მანქანაში და მარტოხელა დეიდის სანახავად ლამანშაში მიემგზავრებიან. მალე დეიდაც კვდება. რაიმონდა დასაფლავებაზე ვერ მიემგზავრება. რატომ? იქ მხოლოდ უმცროსი და მიდის და უკან დედის აჩრდილთან ერთად ბრუნდება. რა არის რაიმონდას ლამანშაში წაუსვლელობის მიზეზი და როგორ გაცოცხლდება დედა, ამაზე ოდნავ ქვემოთ.

**"შეიძლება ეს ბანალური ნათქვამია, მაგრამ მერწმუნეთ, პენელოპა მისი მშვენების მწვერვალზეა. შეხედეთ მის წელს, მხრებს, ფეხებს, მკერდს... მისმა ყურებამ ფილმის გადაღებები შეუდარებლად სასიამოვნო პროცესად აქცია", - პედრო ალმოდოვარი**. უკანასკნელი 7 წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც პენელოპა კრუზი ჰოლივუდში მოღვაწეობს და რამდენიმე წარუმატებელი, მაგრამ მაღალანაზღაურებადი როლი შეასრულა, საფუძვლიანი ეჭვი არსებობდა, რომ მისი სამსახიობო ღირსებები წარსულს ჩაბარდა. ამ ხნის განმავლობაში მას არც ერთი სერიოზული და საინტერესო კინოსახე არ შეუქმნია, მაგრამ "დაბრუნების" ნახვის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმ კლიშეში, რასაც კარგი რეჟისორის ხელში კარგი მსახიობი ჰქვია. **"პედრომ ხან კლაუდია კარდინალესთან მიახლოება მთხოვა, ხან სოფი ლორენთან. ბოლოს ანა მანიანის ხასიათი მომთხოვა",** - ამბობს პენელოპა კრუზი. მართლაც, ის ხან სოფი ლორენს ჰგავს, ხან - ანა მანიანის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს არ არის პირდაპირი პროტოტიპი. ეს უფრო სხვა ფილმიდან განზრახ აღებულ ციტატას ჰგავს, რასაც კინორეჟისორები ხშირად აკეთებენ. მან ტემპერამენტიანი ესპანელი ქალის სრულიად გენიალური სახე შექმნა. კრუზი ამ ფილმში მართლაც საოცრად ლამაზია, მაგრამ ეს არ არის მერლინ მონროსეული სექსუალური თუ ოდრი ჰეპბერნისეული ნაზი და ფაქიზი, სილამაზის აპოლოგია. ის ლამაზი, განსხვავებული და ესპანელი სოფი ლორენია, რომელიც ძლიერ, მშრომელ, ერთგულ დედას და შვილს თამაშობს. ჰამლეტის მამის აჩრდილივით მოსულ რაიმონდას დედას (კარმენ მაურა) ჰამლეტის აბსოლუტური ანტიპოდი, მოსიყვარულე, შურისძიების წყურვილისგან დაცლილი ძლიერი ქალი ხვდება...

**"რადგან მე ქალები უფრო მიყვარს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაცები მძულს",** - პედრო ალმოდოვარი.

თუ მხოლოდ ამ ფილმზე ვიმსჯელებთ, ძნელია ვთქვათ, რომ ესპანელ კინორეჟისორს კაცები ისევე არ უყვარს, როგორც ქალები. ფილმში მხოლოდ ერთი მამაკაცია, რაიმონდას ქმარი, რომელსაც პენელოპა კრუზის ქალიშვილი ფილმის დასაწყისშივე კლავს, რადგან მის გაუპატიურებას შეეცდება (სწორედ ეს ხდება იმის მიზეზი, რომ რაიმონდა დეიდის დასაფლავებაზე ვერ მიემგზავრება). სახლში მოსული რაიმონდა მოკლულ ქმარს დიდ ნაჭერში გაახვევს და უზარმაზარ მაცივარში ჩადებს, ფინალში კი მათ საყვარელ ადგილას (სადაც ბავშვობაში თამაშობდნენ), მდინარის პირას, მაცივრიანად დამარხავს.



კადრი ფილმიდან "დაბრუნება".

პენელოპა კრუზის გმირს სამართლიანად უკლავენ ქმარს, მაგრამ მისთვის უფრო მეტად საყვარელი ადამიანი ცოცხლდება. აქ რეჟისორი თითქოს ჩაანაცვლებს - კლავს პერვერსიულ ქმარს და აცოცხლებს მოსიყვარულე დედას.

დედის აჩრდილი ცოცხალი ადამიანი აღმოჩნდება. ის ორი წლის განმავლობაში თავისი დის, რაიმონდას დეიდის სახლში იმალებოდა. საკუთარი ქმარი საყვარელთან ერთად დაწვა. დამწვარი საყვარელი ლამანშაში ყველას ის ეგონა. ამიტომ ირენი (კარმენ მაურა) საფლავზე გაკეთებული წარწერის მიხედვით ვალდებულია, თავი მკვდრად მიიჩნიოს. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ქმრის მკვლელობის მიზეზი არ არის საყვარელი. კარმენ მაურას გმირი შეიტყობს, რომ რაიმონდას შვილი მისთვის დაც არის და შვილიც. მამამ საკუთარი ქალიშვილი გააუპატიურა და ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირიც ამ გზით მოავლინა ქვეყანას. ფილმში წარმოდგენილი ორი მამაკაცი გმირის მაგალითზე (ერთი საკუთარ შვილს, მეორე კი შვილობილს აუპატიურებს) ძნელია დავიჯეროთ, რომ ალმოდოვარს ქალები და მამაკაცები ერთნაირად უყვარს.

**"ეს ჩემი ბავშვობაა. მე ამ ქალების ლაპარაკის ფონზე გავიზარდე, მე მუდმივად ვისმენდი ასეთ საუბრებს. მაშინ ლამანშაში მართლაც სჯეროდათ, რომ აჩრდილები არსებობენ", - პედრო ალმოდოვარი.** თუ ესპანელი რეჟისორის ინტერვიუებს გავეცნობით, ვნახავთ, რომ ფილმში თითქმის ყველა ეპიზოდი, ყველა საუბრის შინაარსი ავტობიოგრაფიულია. ეს ყველაფერი ალმოდოვარის ბავშვობიდან არის. ოჯახის სამი თაობა, ქალების ოჯახი - ესეც მისი ბავშვობაა. ამიტომ რეჟისორმა მხოლოდ ფილმის სიუჟეტში კი არ გააცოცხლა გარდაცვლილი დედა, არამედ მთელი ფილმი მისი დაბრუნებაა ბავშვობაში, რომელიც დედისადმი მოგონებებს მიუძღვნა და კიდევ ერთხელ აუხსნა სიყვარული ქალებს.

**"დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ საშინელ სიცარიელეს ვგრძნობდი. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მაინც შევძელი მეთქვა ნახვამდის იმისთვის, რაც ჩემთვის ყველაზე ახლობელი იყო. მაგრამ დღეს ვგრძნობ, რომ დედაჩემი აგრძელებს ჩემს გვერდით ყოფნას, მე არ გამიწყვეტია მასთან კავშირი. ახლა გაცილებით მეტ სიახლოვესაც ვგრძნობ. მე აშკარად დავინახე განსხვავება სიკვდილსა და გარდაცვალებას შორის",** - ამბობს პედრო ალმოდოვარი.

ვფიქრობ, როგორც რეჟისორის სიტყვები, ისე მისი უკანასკნელი ნამუშევარი "დაბრუნება" საოცრად ჰუმანური და ოპტიმისტურია. მაშინ, როდესაც თანამედროვე კინემატოგრაფის ძირითადი ნაწილი მსოფლიო პოლიტიკის პრობლემებზე საუბრობს, ამგვარ პოლიტიზებულ საერთო სურათში პედრო ალმოდოვარის ფილმი კაცთმოყვარეობის საოცრად ადამიანური ნიშნებით გამოირჩევა და სავსეა სიყვარულით. სიკვდილი, ძალადობა, ღალატი, მკვლელობა, ტყუილი - ყველაფერ ამის შეუდარებლად ადამიანურ, ჰუმანურ პლანში ჩვენება მხოლოდ პედრო ალმოდოვარს შეუძლია. ასეთი ტანჯვის, განცდების, ყოფითი სირთულეების ოპტიმისტურ პლანში წარმოდგენა მხოლოდ პედრო ალმოდოვარს შეუძლია. ამაში ჩვენი მაყურებელი სექტემბერში დარწმუნდება, როდესაც ალმოდოვარის უკანასკნელი ფილმი ქართულ კინოეკრანებზე გამოვა.

GRDC

SARKE

მასალა მომზადებულია ამ კომპანიების ფინანსური თანადგომით




**არსი**

**არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი**

**1989 წლიდან**

## "არსის" რჩევები მომხმარებელს - როგორ შევარჩიოთ სასურველი ბინა

### დიდი ფართი და დაგეგმარების ალტერნატიული ვარიანტები ფანტაზიის უკეთ რეალიზების საშუალებებს იძლევა

თუ თქვენთვის ბინის შერჩევა პრობლემას აღარ წარმოადგენს და უკვე გადაწყვიტეთ, სად სჯობს ბინის შეძენა ძველ თუ მშენებარე სახლში, უფრო მეტიც, მოგწონთ და გაკმაყოფილებთ სახლის გარშემო არსებული გარემო, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტაბელურობა, და მიგაჩნიათ, რომ თქვენი გადაწყვეტილება მყარი და წარმატებულია, გადაწყვეტილების მიღებას მაინც ნუ იჩქარებთ, გაანალიზეთ თქვენი არჩევანი და ყურადღება სხვა ფაქტორებზე გაამახვილეთ.

დღევანდელი თემაა: როგორ შეარჩიოთ სასურველი ბინა სასურველ ადგილას, სასურველ სახლში, მისთვის დამახასიათებელი რა თავისებურებებია გასათვალსიწინებელი, რათა გამოუცდელობითა და აჩქარებით გამოწვეული შეცდომები თავიდან აიცილოთ.

**1. ბინის ფართობი** - ბინა ფეხსაცმელივით არის ანუ მისი ფართი მაქსიმალურად მორგებული უნდა იყოს მომხმარებელზე. თუმცა აქვე გასათავლისწინებელია, რომ დიდი ფართი ფანტაზიის უკეთ რეალიზების შესაძლებლობებს იძლევა.

ბინის შეძენისას აუცილებელია პრაქტიკულად შეხედოთ მას. სინამდვილეში რამდენი ოთახი გჭირდებათ? გინდათ თუ არა ცალკე კაბინეტი, საბავშვო ოთახი, საძინებელი. რა გირჩევნიათ ცალკე დიდი სამაზრეულო და ცალკე სტუმრების მისაღები თუ სამზარეულო და სტუმრების ოთახი ერთად? ამ ბოლო დროს ბევრი არჩევს სასტუმროსა და სამზარეულო ოთახების გაერთიანებას, და ეს საკმაოდ პრაქტიკულიცაა, რადგან აქტიური დროის ძირითად ნაწილს ოჯახის წევრები ხშირად სამზარეულოში ატარებენ და უმჯობესია სამზარეულო დიდი იყოს. რა თქმა უნდა, დიდი საერთო ოთახიც კარგია, მაგრამ პატარა სამზარეულოს და დიდ საერთო ოთახს ხშირად დიდი სამზარეულო სჯობს, რომელიც ამავე დროს მისაღების ფუნქციასაც ასრულებს.

მთავარია ბინაში არ გაჩნდეს ჭარბი ადგილი, რომლის გამოყენების შანსი წელიწადში მხოლოდ რამდეჯერმე გექნებათ.

**2. დაგეგმარების ალტერნატიული ვარიანტები** - ბინის ღირებულებას ოპტიმალური დაგეგმარება და მისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა განსაზღვრავს.

თუ ბინის შეძენა გადაწყვიტეთ მშენებარე სახლში და ფურცელზე წარმოდგენილი გეგმის აღქმას ვერ ახერხებთ, დახმარებისთვის სპეციალისტს უნდა მიმართოთ და მისი რჩევები გაითვალისწინოთ. ხშირ შემთხვევაში ასეთ დროს ერთვება დიზაინერი. ამასთან, სასურველია მშენებარე ბინის შეძენისას თავად ღებულობდეთ მონაწილეობას საცხოვრებელი ფართის დაგეგმარებაში, რათა საშუალება გქონდეთ ეფექტურად, კომპაქტურად გამოიყენოთ და საკუთარი გემოვნების მიხედვით გაანაწილოთ შეძენილი ფართი, რაც ძველი ბინის ყიდვისას შედარებით რთულია. ყურადღება მიაქციეთ ფანჯრების და სველი წერტილების განლაგებას, რადგან სწორედ ამაზეა დამოკიდებული გეგმარების რამდენი ალტერნატიული ვარიანტია შესაძლებელი ბინაში.

**3. ბინის ორიენტაცია** - ძალიან მნიშვნელოვანია იცოდეთ როგორი ორიენტაცია ექნება ბინას, ჩრდილოეთით იქნება სამხრეთით თუ ორივე მხარეს გავა.

სასურველია ბინა იყოს გამჭოლი, ანუ მისი ფანჯრები სახლის ორივე ფასადაზე გამოდიოდეს, რაც განიავების საუკეთესო საშუალებას იძლევა. უნდა მოერიდოთ ერთ მხარეს ორიენტირებულ ბინას, განსაკუთრებით თუ ეს ბინა მხოლოდ ჩრდილოეთის ფასადზე გადის. აქვე უნდა გაარკვიოთ ხომ არაა საშიშროება, რომ მომავალში ბინას რაიმე შენობა ჩამოეფარება და ხედს გაუფუჭებს.

**4. სართული** - როგორც წესი, საუკეთესოდ მესამე, მეოთხე, მეხუთე სართულები ითვლება. ამ სართულებზე ხედი უკეთესია და ვთქვათ, ლიფტის გათიშვის შემთხვევაში, 3-5 სართულის ასვლა უფრო მარტივია ვიდრე 11-ის. პირველი სართული, თუ მას იზოლირებული ეზო არ გააჩნია ან ე.წ. ბელეტაჟზე არაა, ნაკლებად მყუდროა და ამიტომ ნაკლებადაც ფასობს. ისე რაც უფრო მაღალია სართული, როგორც წესი, მით უკეთესი ხედი აქვს, მით უფრო მყუდრო და სასიამოვნოა საცხოვრებლად.

**5. ბინის მდგომარეობა** - აქ გასათვალისწინებელია ახალაშენებული ბინისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები. კერძოდ, შერჩეული ბინის ჩაბარების კონდიცია. უარი თქვით ეგრეთ წოდებულ "შავ კარკასზე". სხვაგვარად, კორპუსში რემონტი მასიურ სახეს მიიღებს, მოსალოდნელია დაუსრულებლადაც გაგრძელდეს და ბოლოს, სადარბაზოში შექმნილი დისკომფორტის მსხვერპლიც გახდეთ.

ბინის შეძენისას სასურველია მოითხოვოთ ფასადის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მეზობლებს ეკრძალებათ ლოჯების მიშენება, შესაბამისად დაცული იქნებით სახლის ფასადის დამახინჯებისგან და მშენებლობისთვის დამახასიათებელი დაბინძურებისგან. აქვე სასურველია ბინაში დამონტაჟებული იყოს გათბობის ინდივიდუალური სისტემა და ყველა სახის მრიცხველი, რათა მომავალში პრობლემები არ შეგექმნათ. კერძოდ, თუ ახალაშენებულ ბინაში ბუნებრივი აირის მრიცხველი არ არის გათვალისწინებული, მაშინ მოსალოდნელია გაზის მილების დამონტაჟება თქვენ დაგეკისროთ.

როგორც ირკვევა, მხოლოდ მშენებლობის უმაღლესი ხარისხი, დახვეწილი არქიტექტურა, სახლის გარშემო შექმნილი კომფორტული გარემო, ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტაბელურობა არ განსაზღვრას შერჩეული ბინის ღირებულებას. ის ყველა ფაქტორის გათვალისწინებით უნდა იყოს სასურველი, ეფექტური და უნიკალური.

ალბათ, ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ სასურველი ბინის შერჩევისას, მისთვის დამახასიათებელი რა სპეციფიკური ფაქტორებია გასათვალისიწნებელი, ამ თემაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ მოგვმართოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

მომავალი ორშაბათის თემაა: ბინის ჩაბარების პირობები. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება ბინის ჩაბარებისას და რა ფაქტორებია გასათვალისიწინებელი. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შეკითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით.

*გემშვიდობებით მომავალ ორშაბათამდე,*
*"არსის" აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე აბულაძე*

დაგვიკავშირდით: არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია '"არსი"
ტელ: 25-19-04
info@arci.ge, www.arci.ge

**კომპანია "არსი" ატარებს უფასო კონსულტაციებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაინტერესებულ პირების შეგიძლიათ მობრძანდეთ ყოველ შაბათ-კვირას, 11.00-დან 16.00 საათამდე, კომპანია "არსის" ოფისში თ.აბულაძის 21 (ვაკის ეკლესიის უკან).**

მოკლედ

## სუპერმენის ახალი ვერსია

მსოფლიოს კინოეკრანებზე "სუპერმენის" მორიგი ეკრანიზაცია გამოჩნდება. რეჟისორმა ბრაიან სინგერმა გადაწყვიტა მაყურებელს შესთავაზოს პოპულარული სერიული ფილმის ახალი ვერსია, რომლის სახელწოდება იქნება "სუპერმენი ბრუნდება". გადაღებები უკვე დამთავრდა. მსოფლიო პრემიერა 17 აგვისტოსთვის არის დაგეგმილი.

სათავგადასავლო-ფანტასტიკური ჟანრის სურათში მთავარ ანუ სუპერგმირის როლს შეასრულებს ცნობილი მსახიობი კევინ სპეისი, რომელსაც პარტნიორობას გაუწევს ქეით ბოსვორტი. ფილმში აგრეთვე მონაწილეობენ ბრენდონ როუტი, ევა მარია სეინტი და სხვები.

## ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული

ამერიკულ კინოსამყაროში გამოვლინდა ბოლო დროის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული. პირველი ადგილი დაიკავა გახმაურებულმა კინოსურათმა "შეუსრულებელი მისია 3", რომლის შემოსავალმა 7,6 მლნ დოლარს მიაღწია. მომდევნო ადგილი 7,2-მილიონიანი შემოსავლით "პოსეიდონმა" დაიკავა. 2 მილიონზე მეტი შემოსავალი მიიღეს ფილმებმა RV და Just My Luck. ათეულის ბოლო ადგილი მოიპოვა ფილმმა "გამყინვარებამ", რომელმაც მწარმოებლებს 0,6 მილიონი დოლარი მოუტანა.

## დახვრეტილი მღვდლების ძეგლი

ქართველი მოქანდაკე ზურაბ წერეთელი რუსეთში, ქალაქ შუეში დადგამს იმ წმინდანების მემორიალს, რომლებიც ბოლშევიკებმა დახვრიტეს. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში შუეში ივანოვსკის მხარის გუბერნატორმა მიხაილ მენმა მოინახულა აღდგომის ტაძარი, სადაც დახვრიტეს ის სამღვდელო პირები და მრევლი, რომლებმაც 1922 წელს ტაძრის სიწმინდეების გატანას ხელი შეუშალეს. ამ ვიზიტის დროს ქალაქის მეთაურთან ალექსანდრე მასლოვთან ერთად დაღუპულთა მემორიალის დადგმაზე ისაუბრეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კონკურსი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძეგლის პროექტზე

მალე ქაქუცა ჩოლოყაშვილის მემორიალური ძეგლის პროექტის შექმნაზე კონკურსი გამოცხადდება. როგორც თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ნატა მაჩალაძემ განაცხადა, მათ საფრანგეთში, ქართულ სათვისტომოსა და ლევილში სპეციალური მიმართვა გაგზავნეს. "ჩვენ მათ ვაცნობეთ, რომ თბილისის მერია ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავზე მემორიალის დადგმას აპირებს და მალე კონკურსს გამოვაცხადებთ. ახლა ველოდებით პასუხს და წინადადებებს საფრანგეთში მცხოვრები ქართველებისგან", - განცხადა მაჩალაძემ. მისი თქმით, საუკეთესო პროექტს ქაქუცა ჩოლოყაშვილის შთამომავლები აირჩევენ. კონკურსის პირობების თანახმად, მონუმენტი, რომელსაც მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ეროვნული გმირის საფლავზე დადგამენ, 23 ნოემბრისთვის მზად უნდა იყოს.

# ენდი გარსია დაკარგულ ქალაქში

ფრაზა - "ახალი ფილმი კუბურ კულტურასა და მუსიკაზე" - ეგზოტიკურად ჟღერს, მაგრამ მის გამოსვლას დიდ ეკრანზე დიდი აჟიოტაჟი მაინც არ მოჰყოლია. თუმცა, "დაკარგული ქალაქის" რეჟისორი ენდი გარსია აჟიოტაჟს არც ელოდა. მას უბრალოდ სურდა, მოეთხრო ამბავი, რომელსაც წლების განმავლობაში თავისთვის ინახავდა და ახლა ოცნება აიხდინა, გადაიღო ფილმი, რომელიც მის დაკარგულ სამშობლოს - კუბას ეხება.



A Place that you leave, is a place that lives forever ("ადგილი, რომელსაც დატოვებ, არის ადგილი, რომელიც არასდროს კვდება") - ესაა ერთნაირი ჟღერადობისა და სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობის ორი სიტყვის თამაშზე აწყობილი ფრაზა, რომელსაც ფილმის პლაკატზე ვკითხულობთ. და, როგორც ჩანს, მართლაც ასეა - რაც არ უნდა შეგნებულად მიატოვო სამშობლო, მას მაინც ვერასდროს ივიწყებ და ის შენთვის მაინც არასდროს ქრება. ენდი გარსიაც 50 წლის ასაკში, ალბათ, სწორედ ამიტომ მიუბრუნდა სათქმელს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე აწუხებდა.

გარსიამ თვითონ გადაიღო, თვითონ ითამაშა, თვითონ დაწერა და თვითონვე უპროდიუსერა ფილმს, რომელიც ამერიკულ კინოეკრანებზე ერთი კვირის წინ გამოვიდა. მსახიობი, რომელიც ბოლოს ხან სოდერბერგის ბლოკბასტერებში მონაწილეობდა და ოუშენის თანამეგორობას ებრძოდა, ხანაც - ამადეო მოდილიანის როლით აღაფრთოვანებდა მაყურებელს, თურმე, მთელი 18 წლის განმავლობაში ემზადებოდა ფილმის გადასაღებად; და ემზადებოდა - ფინანსური და შემოქმედებითი თვალსაზრისითაც. როგორც თვითონ ამბობს, მისი ისტორია სათავეს ბავშვობაში იღებს, როცა 5 წლის ასაკში გარსიას ოჯახი ფიდელ კასტროს რეჟიმს შტატებში გამოექცა.

"ღრმა ბავშვობიდან მახსოვს კუბური ისტორიები და კუბური მუსიკა. ინტერესს მის მიმართ დღემდე არ ვკარგავ", - განაცხადა მსახიობმა "როიტერთან" ინტერვიუში.

ფილმის გადაღებები პრობლემების გარეშე არ წარმართულა. ჰოლივუდს სულაც არ გახარებია, როცა გარსიამ მათ კუბელი მწერლის გილერმო კაბრერა-ინფანტეს რომანის "დაკარგული ქალაქის" მიხედვით გაკეთებული 300-გვერდიანი სცენარი წარუდგინა. როგორც წესი, ჰოლივუდური სცენარების მოცულობა ხომ 120 გვერდს არ აღემატება ხოლმე. გარსიას ნაშრომი კი ეპიკური მასშტაბის იყო, შეიცავდა მდიდრულ სცენებს, რევოლუციას, დრამატული სიყვარულის ისტორიას და მოგვითხრობდა პოლიტიკის გამო ორად გახლეჩილი ოჯახის ისტორიას. ეს ყველაფერი კარგად იკითხებოდა ფურცელზე, მაგრამ ეკრანზე გადატანა ძვირი ჯდებოდა, მით უფრო, რომ ფილმს, წესით, აუდიტორიაც შეზღუდული უნდა ჰყოლოდა - კუბელი ამერიკელები და ლათინოსები.

თუმცა, ენდი გარსიას აზრით, ფილმს უფრო გლობალური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ვიწრო-კუბური.

"დაკარგული ქალაქის" მთავარი გმირია ღამის კლუბის მეპატრონე ფიკო ფელოვე (ენდი გარსია). მას ორი უმცროსი ძმა ჰყავს. სამივენი მაღალი კლასის ოჯახიდან არიან. მათი მამა კარგი რეპუტაციის მქონე უნივერსიტეტის პროფესია. შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში იძაბება, ფიკო რევოლუციის შუაგულში ტრიალებს, მისი ძმები კი - მეორეხარისხოვან როლს სჯერდებიან. ერთი ახალ დემოკრატიას უჭერს მხარს და ნაციონალისტთა დაჯგუფებას უერთდება, დანარჩენი ორი ძმა კი კასტროსა და ერნესტო "ჩე" გევარას თაოსნობით შექმნილ კომუნისტ რევოლუციონერთა დაჯგუფებაში ეწერება.

ფონად ფილმს მთელი კუბური კულტურა გასდევს - მუსიკა, ცეკვები, ცხოვრების სტილის ამსახველი კადრები, კასტრომდელი ჰავანას ღამის კლუბებისა და კაზინოების ცხოვრება.

თვითონ გარსიასთვის კი ყველაზე ძვირფასი მაინც მუსიკაა. ამ განსაკუთრებული სიყვარულის გამო მან ფილმის თანმხლებ ალბომში 40-მდე სიმღერა შეიტანა.

ენდი გარსია ამბობს, რომ "დაკარგული ქალაქი" შტატებში ემიგრირებული კუბელების ახალ თაობებს უძღვნა. მის ფილმში კასტროც და ბატისტაც სასტიკ დიქტატორებად არიან გამოყვანილნი; ნაციონალისტები - გმირები არიან, ფიკო და მისი ოჯახი კი - მსხვერპლი. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ "დაკარგულ ქალაქში" მომხდარი ამბები 50 წლის წინანდელია, ფილმი დღესაც აქტუალურია, რადგან ვენესუელას უგო ჩავესი მართავს, ბოლივიას კი - ევო მორალესი. "ასეთები დღემდე ხდება" - ამბობს გარსია.

ენდი გარსიას ოჯახი კუბადან მაიამიში 1961 წელს გადმოსახლდა. კუბაზე გარსიას მამა იურისტი იყო და ოჯახს პატარა ფერმაც ეკუთვნოდა. შტატებში კი უფროსი გარსია იძულებული გახდა რესტორნის სურსათით მომარაგების განყოფილებაში დამტარებლად ემუშავა.

ენდი გარსიამ სამსახიობო კარიერა ტელევიზიაში დაიწყო, როცა 20-22 წლის იყო. ჰოლივუდის იერარქიულ კიბეზე ის ბეჯითად მიიწევდა წინ და 1990 წელს კოპოლას "ნათლიის" მესამე ნაწილში უკვე საქვეყნო აღიარებასაც მიაღწია. მას შემდეგ გარსიამ უამრავი როლი შეასრულა, მაგრამ ფილმი კუბაზე მაინც მის ოცნებად რჩებოდა. სურათის გადაღება გარსიას 9.5 მილიონი დოლარი დაუჯდა. გადაღებები დომინიკის რესპუბლიკაში მიმდინარეობდა და ძალიან მოკლე დროში, სულ 35 დღეში დასრულდა. ფილმში ენდი გარსიას პარტნიორობას დიდი ვარსკვლავები და დიდი მსახიობები - დასტინ ჰოფმანი და ბილ მიურეი უწევენ. ფიკოს საყვარელი ქალის როლს კი ესპანელი ლამაზმანი ინეს სასტრი ასრულებს.

ენდი გარსიას ძალიან სურს, რომ ფილმი პუბლიკამ მოიწონოს. "თუმცა, მთავარს უკვე მივაღწიე - ფილმი გადავიღე. სათქმელი ვთქვი" - აცხადებს ის.


ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამა აცხადებს

## საგრანტო კონკურსს

**დამოუკიდებელი რეგიონალური ბეჭდვითი მედია ორგანიზაციების ინსიტუციონალურ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტებისათვის**

**კონკურსის მიზანია**

ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი, რეგიონალური ბეჭვდითი მედია ორგანიზაციების ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალურ განვითარებას.

**კონკურსში მონაწილეობა**

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ დამოუკიდებელ რეგიონალურ ბეჭვდით მედია ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- ორგანიზაცია დარეგისტრირებული უნდა იყოს და შესაბამისად გამოსცემდეს გაზეთს ბოლო სამი წლის განმავლობაში;
- აპლიკანტი ორგანიზაციის მიერ გამოცემული გაზეთი უნდა იბეჭდებოდეს ყოველკვირეული ან უფრო ხშირი პერიოდულობით;
- ორგანიზაციის მიერ გამოცემული გაზეთი უნდა ემსახურებოდეს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობას, ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დამყარებული ფასეულობების პოპულარიზაციასა და ტოლერანტობის კულტურის დანერგვას;
- ორგანიზაციის მიერ გამოცემული გაზეთის გავრცელების არეალი უნდა მოიცავდეს მინიმუმ მხარეს (არ იყოს შემოფარგლული ერთი რაიონული ცენტრით).

**კონკურსის პირობები**

- პროექტი შედგენილი უნდა იყოს ფონდის მიერ დამტკიცებული გრანტის მოსაპოვებელი განაცხადის ფორმის მიხედვით (ფორმა იხ. ვებ გვერდზე - http://osgf.ge/?show=manual);
- განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი უნდა ემსახურებოდეს განაცხადის ავტორი ბეჭვდითი მედია ორგანიზაციის ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერას (ორგანიზაციის მენეჯმენტის, ადამიანური და ტექნიკური რესურსების განვითარება, ორგანიზაციული მდგრადობის ხარსიხსის გაზრდა);
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მედია ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ ბოლო ერთი თვის განმავლობაში მათ მიერ გამოცემული გაზეთების ნომრები;
- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა მედია ორგანიზაციებმა ასევე უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში ორგანიზაციებისა თუ კერძო პირებისაგან მიღებული დაფინანსებების შესახებ;
- გარდა განაცხადის ფორმით გათვალისწინებული ინფორმაციისა პროექტს უნდა დაერთოს პროექტის დირექტორის, პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების, ექსპერტებისა და მონაწილეების ბიოგრაფიები;
- განაცხადს თან უნდა დაერთოს სფეროში მომუშავე ექსპერტთა ან ორგანიზაციათა ორი სარეკომენდაციო წერილი;
- დაუშვებელია ერთი კონკურსის ფარგლებში ერთი და იგივე განმცხადებლის მიერ ორი პროექტის წარმოდგენა.
- პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნას სამ ეგზემპლარად;
- პროექტის განხორციელებისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5800 აშშ დოლარს;
- კონკურსის ფარგლებში გაიცემა ოთხი გრანტი.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება 2006 წლის 15 მაისიდან 12 ივნისის 17:00 საათამდე. მისამართი ჭოველიძის ქ. N10. ტელ: 25-04-63, 25-05-92 ფაქსი: 29-10-52, ელ. ფოსტა - irakli@osgf.ge.**

**საკონტაქტო პირი: ირაკლი ცერცვაძე, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი.**

კონსულტაციები კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში ყოველ ხუთშაბათ დღეს 11:00 საათზე ფონდის ოფისში.


# შანსი ქართველი სტუდენტებისათვის

## რიკო ინტერნეშენალი ამერიკაში ცხოვრებისა და მუშაობის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა

*გაცვლითი სასწავლო ორგანიზაცია რიკო ინტერნეშენელი 1994 წელს დაფუძნდა და მისი მთავარი მიზანი საზღვარგარეთ სასწავლო პროგრამით ქართველი სტუდენტების გაგზავნა გახლავთ. 1999 წლამდე ფირმა მხოლოდ სასწავლო პროგრამებს ახორციელებდა, შემდგომში მისი საქმიანობის სფერო გაფართოვდა - არსებულს კიდევ რამოდენიმე სასწავლო-სამუშაო პროგრამა დაემატა. იმ საქმის მნიშვნელობაზე კი, რომელსაც რიკო ინტერნეშენალი აკეთებს, გუშინ, სასტუმრო "მეტეხი პალასში" შეკრებილი ქართველი სტუდენტებისა თუ მოსწავლეების რაოდენობაც მეტყველებდა.*

**ის, რასაც მე ჩემს სტუდენტებს ვთავაზობ, საკუთარ თავზე გამოვცადე აშშ-ში ყოფნის დროს და ცდა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა - საბოლოო ჯამში ამერიკიდან ფინანსისტის ხარისხით დავბრუნდი.** -მბობს რიკო ინტერნეშენალის დამფუძნებელი ლაშა ნიკოლაიშვილი. სტუდენტებს კი რიკო ინტერნეშენალი მართლაც საინტერესო პროექტს სთავაზობს....

თუმცა, დავიწყოთ თანამიმდევრობით: ერთ-ერთი საინტერესო პროექტია სპეციალური პროგრამა სტუდენტებისათვის - ამერიკული სასწავლო წელი ამერიკაში, რომელიც მთელს მსოფლიოში ძალზე პოპულარული გახლავთ. არის ერთთვიანი გაცვლითი კულტურული პროგრამა აშშ-ში 14-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებისათვის. ამ პროგრამებში მონაწილეობისათვის აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა. იმ მოსწავლეებს კი, რომლებსაც ენის ბარიერი გააჩნიათ, რიკო ინტერნეიშენალი სხვა ტიპის პროგრამებს სთავაზობს - მათ ეძლევათ ენის შესწავლის შესაძლებლობაც, რის შემდეგაც საშუალება აქვთ სურვილის მიხედვით სწავლა გააგრძელონ იქაურ სკოლაშიც. ეს ყველაფერი, მოგეხსენებათ, გარკვეულ თანხებს მოითხოვს და უცხოეთის სასწავლებლებში სწავლაც საკმაოდ ძვირია. ამიტომ რიკო ინტერნეშენელი შეეცადა ქართულ ბაზარზე ისეთი პროდუქტიც შემოეტანა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ყველასათვის.

სამი წლის წინ რიკო ინტერნეშენელმა ძალზე საინტერესო პროექტის Work&Travel განხორციელება დაიწყო. ეს გახლავთ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს ზაფხულის არდადეგების დროს აშშ-ში სამუშაოდ წასვლის შესაძლებლობა ეძლევათ. ეს მსოფლიო მასშტაბით კარგად აპრობირებული და ცნობილი პროგრამა გახლავთ, რომლის მეშვეობითაც 10 ათასობით სტუდენტი საქმდება არდადეგების პერიოდში და საკუთარ შემოსავალს გამოიმუშავებს. შემოსავლის ოდენობა კი, რა თქმა უნდა, მის მონდომებასა და შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული.

ლაშა ნიკოლაიშვილი აღნიშნავს, რომ **აქ ძალზე მნიშვნელოვანია თვითონ პროგრამის სტრუქტურა - პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ იმ სამუშაოს არჩევა, რომლის კეთებაც ქართველ სტუდენტებს ამერიკაში მოუწევთ, გამგზავრებამდე სტუდენტების მიერვე ხდება, ანუ თითოეულმა იცის რა სახის სამუშაო უნდა აკეთოს. სამუშაოები კი საკმაოდ მარტივია და ამავდროულად შრომატევადიც - დაწყებული საზოგადოებრივ პარკებში ბილეთების გაყიდვით თუ ფოტოსურათების გადაღებით, დამთავრებული გამაგრილებელი სასმელების მომარაგებით თუ მაშველის რთული მისიის შესრულებით. სამუშაოს არჩევის შემდეგ ფორმდება ოფიციალური ხელშეკრულება დამსაქმებელთან. მუშაობის პერიოდში შესაძლებელია სამუშაოს შეცვლა, სურვილის მიხედვით.**



კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც რიკო ინტრნეშენალში აღნიშნავენ, სტუდენტს აქვს დაჯავშნული სამუშაო, რომელიც თავის მხრივ მას საცხოვრებელი აპარტამენტით უზრუნველყოფს, მაგრამ მათთვის ვისაც, მარტივად რომ ითქვას, მუშაობა ეზარება, იქ ადგილი არ არის და იგი აუცილებლად აღმოჩნდება სამუშაოსა და საცხოვრებლის გარეშე, იძულებული იქნება დროზე ადრე დაბრუნდეს უკან, საკუთარ სახლში.

გარდა ამისა, დიდი პასუხისმგებლობით ხდება ჯგუფის დაკომპლექტება - მიუხედავად იმისა, რომ მსურველი საკმაოდ ბევრია, გასაუბრების, ყველა საჭირო მონაცემის და სამედიცინო შემოწმების შემდეგ, შეირჩევა სტუდენტების მხოლოდ გარკვეული კონტინგენტი. ასევე, რიკო ინტერნეშენალსა და ნარკოლოგიურ ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება აშშ-ში გასაგზავნი სტუდენტების სპეციალური ნარკოლოგიური შემოწმებაც. სტუდენტებს აუცილებლად უფორმდებათ შესაბამისი დაზღვევა.

რაც შეეხება პრობლემებს, რომლისგანაც არავინ არის დაზღვეული და რომლების სტუდენტებს აშშ-ში მუშაობის დროს წარმოექმნებათ, მათ მოგვარებას ისევ რიკო ინტერნეშენელი კისრულობს. ლაშა ნიკოლაიშვილი აღნიშნავს, რომ **სტუდენტებისათვის მუშაობს სპეციალური სატელეფონო ხაზი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია უფასოდ დარეკვა საქართველოში. შექმნილი პრობლემის მოგვარებას ფირმა ადგილიდან შეეცდება, თუმცა იყო შემთხვევა, როდესაც რიკო ინტერნეიშენალის წარმომადგენელი ამ მიზნით პირადად გაემგზავრა აშშ-ში და ეს ლოგიკურიცაა, რადგან აღებული პასუხისმგებლობა უნდა შესრულდეს კიდეც. ასე რომ, გაჭირვებაში მარტო არავინ დარჩენილა. ალბათ ამან განაპირობა ის გარემოებაც, რომ რამოდენიმე სტუდენტი პროგრამით Work&Travel უკვე მეორედ მიემგზავრება ამერიკაში.**

ერთ-ერთი ასეთი სტუდენტი გიორგი ტერაშვილი გახლავთ, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობს და რიკო ინტრნეშენალის მეშვეობით Work&Travel -ის ფარგლებში უკვე მეორედ მიემგზავრება აშშ-ში სამუშაოდ. როგორც თვითონ ამბობს **ეს საკუთარი შესაძლებლობების გამოცდისა და დამოუკიდებლად ცხოვრების სწავლის ძალიან კარგი შანსია. გასულ წელს ჯორჯიას შტატში ვმუშაობდი. წელს აიდაჰოს შტატში მივდივარ.**

ისინი კი ვინც პირველად სარგებლობს ამ შანსით საკმაოდ ოპტიმისტურად და მიზანდასახულად არიან განწყობილნი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი გიორგი ბითაძეც აიდაჰოს შტატში მიმგზავრება სასტუმროში სამუშაოდ. კონკრეტული საქმიანობა ჯერ არ აურჩევია. დარწმუნებულია, რომ იქ გატარებული ოთხი თვე საუკეთესო იქნება.

რაც შეეხება მშობლებს, მათი დამოკიდებულება და თანამონაწილეობა სხვადასხვაგვარია. ზოგი თვითონ ბავშვებმა დააყენეს ფაქტის წინაშე, რადგან დამოუკიდებლად მიიღეს გადაწყვეტილება, როგორც ირაკლი გვარნიანის შემთხვევაში, ზოგმა კი თვითონ ურჩია შვილს აშშ-ში სამუშაოდ გამგზავრება.

აღსანიშნავია, რომ Work&Travel-ით დასაწყისში შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი იქნა გაგზავნილი -11 სტუდენტი. შემდეგი ნაკადი კი 62 სტუდენტისაგან იყო შემდგარი. ამჯერად უკვე მესამე ჯგუფი წავა ზაფხულის არდადეგების დროს, უფრო მრავალრიცხოვანი, 100 სტუდენტის შემადგენლობით.

ლაშა ნიკოლაიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ **რიკო ინტერნეშენელის პარტნიორი კომპანია რიკო კრედიტის მეშვეობით ამ პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმათაც, ვისაც არა აქვს საშუალება ერთიანად დაფაროს საფასური. კერძოდ, რიკო კრედიტიდან სტუდენტს შეუძლია აიღოს სესხი და მისი აშშ-ში მუშაობის დროს გამომუშავებული თანხიდან ეტაპობრივად გადაიხადოს იგი.**

დაბოლოს, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, იმის საშიშროება, რომ აღნიშნული პროგრამით გაგზავნილი რომელიმე სტუდენტი 21 საუკუნის ყველაზე საშიში მოვლენის - ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდება, ფაქტობრივად არ არსებობს. გამგზავრებამდე მიგრაციის საერთაშორისო სამსახურის მიერ, რომელიც ასევე რიკო ინტერნეშენელის პარტნიორი გახლავთ, სტუდენტებს საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა უტარდებათ და ყველა სტუდენტი სრულად ინფორმირებული და განსწავლულია ყველა თანმდევი პროცესის შესახებ.


# ტ ე ნ დ ე რ ი

## საზაფხულო კომპიუტერული ბანაკი

**ჰუმანიტარული ორგანიზაცია CARE საერთაშორისო კავკასიაში აცხადებს ტენდერს ორგანიზაციის და ფირმის გამოსავლენად, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესასწავლი საზაფხულო ბანაკი მოაწყოს დაბა ბაკურიანის ტერიტორიაზე სამ ეტაპად. თითოეული ეტაპის ხანგრძლივობა იქნება 20 დღე. თითო ეტაპზე მონაწილე ბავშვების რაოდენობა შეადგენს 60 ბავშს. სულ ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 180. (8-11 კლასის მოსწავლეები)**

**ბანაკი დაიწყება ამა წლის 1 ივლისს და დასრულდება 25 აგვისტოს. ბანაკში მონაწილეობას მიიღებენ ბაკურიანის, წალკის და ახალციხის სკოლების მოსწავლეები.**

**ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია ან ფირმა (სასტუმრო, დასასვენებელი სახლი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:**

- **თითოეულ ოთახში უნდა განთავსდეს არაუმეტეს 4 მოსწავლე;**
- **უზრუნველყოს სამჯერადი კვება, 24 საათიანი ელექტრო მომარაგება და ბავშვთა უსაფრთხოება;**
- **ბანაკის ტერიტორიაზე უნდა არსებობდეს საოფისე ადგილი და ასევე ადგილი გარეთ სხვადასხვა მოქმედებისათვის;**
- **ბანაკის განთავსების ადგილს უნდა გააჩნდეს კარგად მოწყობილი ადგილები, როგორც შიდა ასევე გარე აქტივობებისთვის;**
- **უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციებში მოსწავლეთა ტრანსპორტირება;**
- **უზრუნველყოს მოზარდების ტრანსპორტირება მიკრო ავტობუსით კომპიუტერულ ცენტრამდე (ბაკურიანის საშუალო სკოლა) სასწავლო პროცესზე დასასწრებად.**
- **უზრუნველყოს ბავშვთა ტრანსპორტირება ბაკურიანში წალკიდან და ახალციხიდან.**

**ტენდერში მონაწილეობისათვის დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

1. **ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობის ასლი;**
2. **ფირმის იურიდიული სტატუსი და საკონტაქტო ინფორმაცია;**
3. **ბანაკის შენობის და მიმდებარე ტერიტორიის აღწერილობა;**
4. **თანამშრომლების ჩამონათვალი და მათი კვალიფიკაცია;**
5. **ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებული მსგავსი ღონისძიებების დამადასტურებელი საბუთები (რეკომენდაციები, წერილები, სერტიფიკატები);**

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 2 ივნისი, 18:00.**

**სატენდერო დოკუმენტაციის და ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ წინასწარ გვეწვიოთ CARE-ს ოფისში: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N74ა. ტელ: 29-19-41, 29-15-31, ფაქსი: 29-43-07.**

**გისურვებთ წარმატებებს!**

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი - კასპის რაიონში, სოფ. ფერმასთან მდ. ქსანის მარჯვენა ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელ ება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 200 751 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 40 150 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 2 000 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**II ობიექტი - ასპინძის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ნიჩგორის (სარო) ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 10 435 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 2 087 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 60 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**III ობიექტი - ბოლნისის რაიონში, სოფ. რაჭისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მაშავერას ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 259 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 252 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ქვის ჯამური მოცულობა | 100 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**IV ობიექტი -მარნეულის რაიონში, კაპანახჩის ზამთრის საძოვრების ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 2 509 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 502 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 5 000 ტ. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**V ობიექტი - მცხეთის რაიონში, სოფ. მუხრანის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ქსნის ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 20 809 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 4 162 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 128 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |

**VI ობიექტი - ზუგდიდის რაიონში, სოფ. შამგონის ტერიტორიაზე, მდ. ენგურის ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 7 026 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 405 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 70 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**VII ობიექტი - ასპინძის რაიონში, ორგორის ვულკანური წიდის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 7 887 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 577 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ვულკანური წიდის ჯამური მოცულობა | 36 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**VIII ობიექტი - გარდაბნის რაიონში, სოფ. გაჩიანის საკრებულოს ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარცხენა ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 7 511 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 502 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 120 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**IX ობიექტი - დუშეთის რაიონში, სოფ. დგნალის და სოფ. ჭართალის ტერიტორიაზე მდ. არაგვის ნაპირზე (I და II უბანი) ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 18 101 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 3 620 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 135 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**X ობიექტი - გარდაბნის რაიონში, მდ. იორის მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე (I და II უბანი) ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 10 727 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 2 145 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 80 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XI ობიექტი - მარნეულის რაიონის, სოფ. ყიზილაჯლოს ტერიტირიაზე (სოფ. პატარა მუღანლოს მიმდებარედ) ბაზალტის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 757 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 351 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ჯამური მოცულობა | 5 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XII ობიექტი - ამბროლაურის რაიონის სოფ. ჭრებალოს ჩრდილოეთით მდ. ასკისწყლის მარცხენა ნაპირზე ზემო ფიჭვნარის თაბაშირის გაბნეული ლოდების მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 757 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 351 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი თაბაშირის ლოდების ჯამური მოცულობა | 5 000 ტ. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XIII ობიექტი - ბორჯომის რაიონში ბაკურიანის ანდეზიტის საბადოს ციხისძირის უბანზე ანდეზიტის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 26 087 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 5 217 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ანდეზიტის ჯამური მოცულობა | 50 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**XIV ობიექტი - ახალციხის რაიონში, დაბა ვალეს ტერიტორიაზე მდ. ფოცხოვის მარჯვენა ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 169 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 234 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 15 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |

**XV ობიექტი - ბოლნისის რაიონში, მდ. მაშავერას მარცხენა ჭალის ტერასაზე, ქვეშისა და კარატაკანის ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 8 030 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 606 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 80 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XVI ობიექტი - მდ. მუნჩიას ტერიტორიაზე მარცხენა ნაპირზე კირქვის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 690 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 138 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კირქვის ჯამური მოცულობა | 10 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |

**XVIIობიექტი - მცხეთის რაიონში, მდ. ქსნის მარცხენა ჭალის ტერასაზე, ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 022 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 804 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**XVIII ობიექტი - გარდაბნის რაიონში, სოფ. ყარათაღლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. მტკვრის ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 12 519 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 2 504 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 200 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| **სალიცენზიო მოსაკრებელი შეადგენს 900 ლარს** | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.N6 ტელ. 275760 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 23 მაისიდან 6 ივნისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 22 ივნისს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს " ბე"-ს შემოტანის ქვითარი | **" ბე"-ს** გადახდის ანგარიში-მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე. ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ბ)ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე)"ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "წიაღის შესახებ" და "წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| **აუქციონზე "ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |


## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# სომხეთის პარლამენტის სპიკერი თანამდებობას ტოვებს

*სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომა შესაძლოა ქვეყნის პრეზიდენტობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი აღმოჩნდეს.*

რიტა კარაპეტიანი, ერევანი

სომხეთის მორიგ საპარლამენტო არჩევნებამდე ქვეყნის მმართველ კოალიციაში ღრმა განხეთქილებაა, რასაც პარლამენტის სპიკერის თანამდებობიდან გადადგომა მოწმობს.

არტურ ბაღდასარიანმა სომხური საზოგადოებისთვის შოკისმომგვრელი განცხადება 12 მაისს გააკეთა. ყოფილმა სპიკერმა თავისი პარტიის ,,ორინაც ერკირის" (,,კანონიერების ქვეყანა") ოპოზიციაში გადასვლის შესახებაც ისაუბრა.

პარტიამ ,,ორინაც ერკირმა" ორ სხვა პროსამთავრობო პოლიტიკურ გაერთიანებასთან – სომხეთის რესპუბლიკურ პარტიასა და სომხეთის რევოლუციურ ფედერაციასთან, ანუ ,,დაშნაკცუტიუნთან" ერთად, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბა. რიცხოვნობით რიგით მეორე პარტიამ პარლამენტში 131-დან 20 მანდატი მიიღო და ამასთან პარლამენტის სპიკერის პოსტიც ერგო. მთავრობაში კი ,,ორინაც ერკირის" განკარგულებაში აღმოჩნდა ქალაქის მშენებლობის, განათლების, მეურნეობის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრების პორტფელები.

კოალიციაში დეზინტეგრაციული პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს. ჯერ კიდევ ბაღდასარიანის მიერ განცხადების გაკეთებამდე, სამივე პარტიამ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ცალ-ცალკე მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

37 წლის ბაღდასარიანი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კენჭისყრას აპირებს. განათლებით იურისტი კარგად ფლობს ფრანგულ ენას და სომხეთის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისა და სოციალური სამართლიანობის თეორიის მომხრის რეპუტაცია აქვს.

კოალიციაში უთანხმოებამ კრიზისულ მაჩვენებელს აპრილში მიაღწია, როდესაც ,,ორინაც ერკირის" დეპუტატებმა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროგრამის შესრულების სამთავრობო ანგარიშის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ მჰერ შახგელდიანმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ არტურ ბაღდასარიანმა რესპუბლიკის პროკურატურაში პრივატიზაციის პროცესში დაშვებული დარღვევების შესახებ კონკრეტული მასალები გაგზავნა.

მოგვიანებით, 19 აპრილს ბაღდასარიანმა გერმანულ გაზეთ Frankfurter Allgemeine Zeitung-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ ეს საპრეზიდენტო არჩევნებიც წინა არჩევნების მსგავსად ფალსიფიცირებული იქნება, ამას ,,არც შიდა და არც გარე ძალები არ შეეგუებიან".

მან ასევე განაცხადა, რომ სომხეთი ნატო-ში შესვლისთვის იბრძოლებს და რუსეთმა ამაში მას ხელი არ უნდა შეუშალოს.

ბაღდასარიანის გამოსვლებით გაღიზიანებულმა პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა შემდეგი კომენტარი გააკეთა: ,,სომხეთი ნატო-ში გაწევრიანებას არ აპირებს. ,,კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების" წევრობა და რუსეთთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ამჟამინდელი დონე ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სავსებით საკმარისია", – განაცხადა მან და იქვე დასძინა, რომ სომხეთი არც ევროკავშირში მოხვედრას ესწრაფვის.

ქოჩარიანმა აღნიშნა, რომ პარლამენტის სპიკერს იგი ყოველ კვირას ნახულობს, ამიტომაც ,,გერმანული გაზეთიდან მისი ასეთი თვალსაზრისის შეტყობა ცოტა უცნაური იყო".

ბაღდასარიანს თავისი მოსაზრებების დადასტურება არ დაუყოვნებია. პარლამენტში გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ,,ორინაც ერკირი" ნატო-სთან ურთიერთობების გაღრმავების მომხრეა და ქვეყნის მომავალს ევროკავშირის შემადგენლობაში ხედავს.

თუმცა კოალიციიდან პარტნიორებმა ბაღდასარიანს მხარი არ დაუჭირეს. მათი თქმით, სპიკერს მათი სახელით განცხადებების გასაკეთებლად საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენების უფლება არ ჰქონდა.

პრეზიდენტის პრესმდივნის ვიქტორ სოღომონიანის განცხადებით, რობერტ ქოჩარიანი დარწმუნებულია, რომ კოალიციიდან ,,ორინაც ერკირის" გასვლა შიდაპოლიტიკურ კრიზისს არ გამოიწვევს.

,,მმართველი კოალიციის შეცვლა ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნისთვის ჩვეული ამბავია. ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ კოალიციის შიგნით გარკვეული უთანხმოებანი მართლაც არსებობდა, რომელთა გამწვავებაც წინასაარჩევნო პერიოდში მოსალოდნელი იყო და გასულ თვეში სწორედ ამ პროცესის მოწმე გავხდით", – განაცხადა სოღომონიანმა.

თავად ,,ორინაც ერკირიც" მთავრობის მომხრე და ანტისამთავრობო ფრაქციებად დაიყო. ბაღდასარიანთან ერთად ოპოზიციაში წასვლა მხოლოდ პარტიის ცხრა წევრმა გადაწყვიტა. ამის წყალობით მთავრობამ პარლამენტში უმრავლესობა შეინარჩუნა. პოსტებს ინარჩუნებს ,,ორინაც ერკირის" კვოტით დანიშნული ორი მინისტრიც.

ბევრი მიიჩნევს, რომ პარლამენტის სპიკერის თანამდებობას ახლანდელი სპიკერის მოადგილე ტიგრან ტოროსიანი დაიკავებს. იგი რესპუბლიკური პარტიის წევრია.

საინფორმაციო სააგენტო ,,ნოიან ტაპანის" პოლიტიკური მიმომხილველი დავით პეტროსიანი მიიჩნევს, რომ ბაღდასარიანს თავის ქვეყანაში მიხეილ სააკაშვილად ან ვიქტორ იუშჩენკოდ ,,ქცევის" ამბიცია აქვს – ლიდერებად, რომლებიც თავიანთი ქვეყნების სათავეში რევოლუციის შედეგად მოვიდნენ.

თუმცა, მისი აზრით, მოვლენათა ამგვარად განვითარების ალბათობა ბაღდასარიანის ახლანდელ მთავრობასთან ახლო კავშირის გამო მცირეა. ,,სუფთახელებიანი ადამიანები ბინძურ საქმეებში არ მონაწილეობენ", – ამბობს პეტროსიანი.

ხაკობ ბერბერიანი



*სომხეთის პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე არტურ ბაღდასარიანი*

პოლიტოლოგ სტეფან გრიგორიანის აზრით, ჯერჯერობით, უცნობია, რა როლი ერგება პარტია ,,ორინაც ერკირს" სამომავლოდ.

,,დრო გვიჩვენებს, გახდება თუ არა ,,ორინაც ერკირი" ჭეშმარიტად ოპოზიციური პარტია. თუ ის მთავრობასთან ოპოზიციურ დამოკიდებულებაში მყოფ პარტიებს შეუერთდა, მაშინ საქართველოსა და უკრაინის მსგავსი მოძრაობის დაწყება შესაძლებელი გახდება", – თქვა გრიგორიანმა.

სომხური ოპოზიციის ლიდერი ვაზგენ მანუკიანი მთავრობიდან ,,ორინაც ერკირის" წასვლას მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს. მისი აზრით, ეს გვიჩვენებს, როგორ ქმნის და ანგრევს ხელისუფლება პოლიტიკურ პარტიებს.

ოპოზიციის კიდევ ერთი მოღვაწის შავარშ ქოჩარიანის აზრით, კოალიციაში განხეთქილება სინამდვილეში ხელოვნურად, ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოხდა, რათა ლოიალური ,,სამთავრობო ოპოზიციური" პარტია შექმნილიყო.

რობერტ ქოჩარიანმა განაცხადა, რომ ბაღდასარიანს პოლიტიკური ამბიცია ამოძრავებს (იგი პრეზიდენტის ნათესავი არ გახლავთ). ,,აშკარაა, რომ დასავლეთის გარკვეულ წრეებში ბაღდასარიანს პოზიტიურად აფასებენ, თუმცა, ამ ტენდენციის გაგრძელება ან გაღრმავება დამოუკიდებულია იმაზე, მიიღებს თუ არა მას ხალხი", – აღნიშნა სომხეთის პრეზიდენტმა.

www.iwpr.net

# აზერბაიჯანი და საქართველო ერთობლივ სარკინიგზო პროექტს იწყებენ

*ახალი კავკასიური რკინიგზის მშენებლობა აზერბაიჯანს დიდი იმედებით აღავსებს, საქართველო ამ პროექტს ნაკლები ენთუზიაზმით ეკიდება, სომხეთი კი მტრულ დამოკიდებულებას ღიად გამოხატავს.*

დიმიტრი ავალიანი, თბილისი
დიანა მარკოსიანი, ერევანი
ნურლანა გულიევა, ბაქო

აზერბაიჯანისა და თურქეთის დედაქალაქებს შორის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის ახალი, ამბიციური პროექტი საქართველოში გულგრილად მიიღეს, სომხეთში კი ამ გეგმებს კიდევ უფრო ცივად შეხვდნენ.

,,ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა 2006 წელსვე შეიძლება დაიწყოს. ეს მეტად საჭირო გზაა – ის ევროპასა და აზიას დააკავშირებს", – განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა 10 მაისს, მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გამოსვლისას.

საუბარია სამხრეთ კავკასიის რეგიონში განსახორციელებელ ახალ, ამბიციურ პროექტზე, რომელიც მოიცავს ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობასა და ახალქალაქი-თბილისის ხაზის რეკონსტრუქციას. თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზი კი უკვე არსებობს. იდეის ავტორები აცხადებენ, რომ პროექტი პირველ რიგში, კავკასიის როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად გახლეჩილი რეგიონის შიგნით ხალხთა ინტეგრაციისკენაა მიმართული. გარდა ამისა, პროექტის განხორციელება ვაჭრობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

,,ამ ხაზის ამოქმედება აზერბაიჯანის ეროვნულ ინტერესებს ითვალისწინებს. ჩვენ მზად ვართ, ფინანსური პასუხისმგებლობა დღესვე ვიკისროთ", – განაცხადა ალიევმა.

პროექტის აქტიური მხარდამჭერია თურქეთიც, რომელიც მოლაპარაკებათა უმრავლესობის მასპინძლის როლში გამოდის. თუმცა საქართველოს მხრიდან ამ პროექტის ეკონომიკური რაციონალურობის ვერდიქტი მისი საკმაოდ თავშეკავებული შეფასება, სომხეთისგან კი – ღია აგრესია გახლდათ.

მთიანი ყარაბაღის მრავალწლიანი მოუგვარებელი კონფლიქტის გამო, უკანასკნელ წლებში სერიოზულ პროექტთა უმრავლესობა რეგიონში სომხეთის მონაწილეობის გარეშე განხორციელდა. აქ უნდა აღინიშნოს გასულ წელს ამოქმედებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და თითქმის დასრულებული ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი.

თუ ნავთობსადენებთან მიმართებაში სომხეთის რეაქცია საკმაოდ თავშეკავებული იყო, რკინიგზის პროექტს მისგან კატეგორიული პროტესტი მოჰყვა. სომხეთის მთავარი არგუმენტი უკვე არსებული – ყარსი-გიუმრი-თბილისის რკინიგზაა, რომელიც სომხეთის მთელ ტერიტორიაზე გადის და საბჭოთა პერიოდში საკმაოდ აქტიურ ექსპლუატაციაშიც იყო. ამ სარკინიგზო ხაზზე მოძრაობა 1993 შეწყდა, როდესაც მთიანი ყარაბაღის სისხლისმღვრელი კონფლიქტის გამო თურქეთმა სომხეთთან საზღვრები ჩაკეტა. სომეხ ექსპერტთა მტკიცებით, ამდენი წლის უმოქმედობის მიუხედავად, სარკინიგზო ხაზის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

,,თუ უკვე არსებობს რკინიგზა, რომელიც იმავე მიზანს ემსახურება, ახლის აშენება და ამხელა თანხების ხარჯვა აზრს მოკლებულია", – განაცხადა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ოსკანიანმა.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ,,თუ თურქეთს პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ სურს, რომ სომხეთმა არსებული რკინიგზის ამოქმედებით მოგება მიიღოს, ჩვენ მზად ვართ, რკინიგზით არც ვისარგებლოთ".

,,მაგრამ ეს სარკინიგზო ხაზი ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებას ხელს მაინც შეუწყობს", – დასძინა ოსკანიანმა.

წინასწარი მონაცემებით, პროექტის ღირებულება დაახლოებით 360-400 მილიონი დოლარია. თუმცა ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, მშენებლობის მიმდინარეობისას ეს თანხა აუცილებლად გაიზრდება. კერძოდ კი, ამის მიზეზი, საქართველოში რკინიგზის მარაბდა-ახალქალაქის მონაკვეთის სავალალო მდგომარეობაა, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად უნდა გამოიცვალოს.

ჯერჯერობით, ღიად რჩება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი – ვინ იქნება პროექტის დონორი. ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობისთვის სახსრების გამოყოფის მზადყოფნა ჯერ მხოლოდ აზიის განვითარების ბანკმა გამოთქვა.

ბანკის ბაქოს წარმომადგენლობის უფროსმა მარს ვესტფოლმა რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ,,აზერბაიჯანს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს და თუ მისი მთავრობა აზიის განვითარების ბანკს დახმარებისთვის მიმართავს, ბანკი სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობისთვის კრედიტის გამოსაყოფად მზადაა".

4-5 მაისს ანკარაში გამართული სამუშაო ჯგუფების ბოლო შეხვედრის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საკითხთა ნაწილი, ჯერჯერობით, ბურუსითაა მოცული.

,,ჩვენ დავინტერესდით თურქული მხარის გათვლებით იმ დამატებითი ტვირთების ტრანსპორტირებაზე, რაც აზერბაიჯანის, საქართველოს ან თურქეთის საკუთრება არ იქნება. თუმცა, ჯერჯერობით, ძნელია ვთქვათ, რას მოუტანს ქართულ რკინიგზას ამ პროექტის განხორციელება", – განუცხადა IWPR-ს სახელმწიფო კომპანია ,,საქართველოს რკინიგზის" დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ.

,,ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორის" დეკლარაციას საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა ხელი 2005 წლის მაისში, ბაქოში მოაწერეს. ამ დოკუმენტის თანახმად, ახალი მარშრუტის ექსპლუატაციაში გაშვება 2008 წლისთვისაა დაგეგმილი.

,,ტექნიკური სამუშაოები 2006 წლის ბოლომდე გაგრძელდება და ამ ხანში დაფინანსების საკითხიც საბოლოოდ გადაწყდება", – განუცხადა IWPR-ს აზერბაიჯანის ტრანსპორტის სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ნაზიმ ქასუმოვმა.

,,ბუნებრივია, თუ გადაწყვეტილების მიღება (ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით) განუსაზღვრელი დროით გადაიდება, სხვა სახელმწიფოები ვერ დაიცდიან, როდის მოაგვარებს სომხეთი თავის პრობლემებს და როდის დაიწყებს სატრანზიტო ქვეყნის სტატუსით მუშაობას", – განუცხადა IWPR-ს ოპოზიციური პარტიის სომხეთის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამგეობის წევრმა ოვანეს იგიტიანმა.

ამ დროს კი სომხეთში ბევრი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ ეკონომიკურ მტკიცებულებაზე მნიშვნელოვანი რეგიონის ჰარმონიული განვითარების აუცილებლობაა, რაც მისი უსაფრთხოების გარანტიაც იქნება.

,,თუ საერთაშორისო საზოგადოებისთვის პრიორიტეტული ამოცანა რეგიონის ახალი გამყოფი ხაზების შექმნის ნაცვლად, მისი ჰარმონიული განვითარებაა, მაშინ სომხეთის შემოვლით სარკინიგზო ხაზის მშენებლობაზე არ უნდა დათანხმდეს", – განუცხადა IWPR-ს სომხეთის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარემ გაგიკ მინასიანმა.

ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას რადიკალურ წინააღმდეგობას უწევს საქართველოს ძირითადად ეთნიკური სომხებით დასახლებული რეგიონის – სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაც.

ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილს რეგიონში თურქების გავლენის გაძლიერების ეშინია. გარდა ამისა, ქალაქ ახალქალაქის გამგებლის ნაირ ირიციანის თქმით, ,,ხალხს ეშინია, რომ თურქები აქ მთელ მიწებს იყიდიან და ადგილობრივ მცხოვრებლებს თურქებისთვის მუშაობის გარდა გამოსავალი არ დარჩება".

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილი არ გამორიცხავს, რომ ახალი რკინიგზა მის ქვეყანას მოგების ნაცვლად ზარალს მოუტანს.

,,წლიურად 10 მილიონზე ნაკლები ტვირთბრუნვის პირობებში მარშრუტი რენტაბელური არ იქნება. მაგრამ ვეჭვობ, რეგიონში მაგისტრალის დასატვირთად 10 ტონა მშრალი ტვირთი მოიძებნოს", – უთხრა IWPR-ს ხუხაშვილმა.

,,თუ საუბარია (აზერბაიჯანიდან) ევროპაში გასატან ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, აქ საქართველოსთვის, ახალი რკინიგზის აშენებაზე ბევრად მომგებიანი შავ ზღვაზე საკუთარი პორტების გამოყენება იქნება", – ამბობს ხუხაშვილი.

ექსპერტის აზრით, ახალი სარკინიგზო ხაზი საქართველოსთვის მოგების წყაროდ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა, თუ მშენებლობისა და ექსპლუატაციის ყველა ხარჯს თურქეთი გაიღებს.

გასული წლის განმავლობაში საქართველოში თურქული ინვესტიციების ოდენობამ საგრძნობლად მოიმატა. გასულ ივნისში ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ბათუმის აეროპორტის ერთობლივი გამოყენების შეთანხმებას. აეროპორტს ამჟამად თურქული მხარე არემონტებს. გარდა ამისა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები თურქული კომპანიებისთვის ბათუმის პორტის მენეჯმენტის გადაბარებაზეც.

ცნობილი სომეხი პოლიტოლოგი ალექსანდრე ისკანდერიანი მიიჩნევს, რომ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობა სომხეთის ეკონომიკაზე დადებითს თუ არა, უარყოფით გავლენას მაინც არ მოახდენს.

,,დღეისათვის სომხეთ-თურქეთის გზები დაკეტილია და უახლოესი 2-4 წლის განმავლობაში ასეც დარჩება. (ახალი პროექტი) თურქეთიდან სომხეთში ტვირთების გადაზიდვას გააიოლებს, რადგან (ამჟამად ექსპლუატაციაში მყოფი) თურქეთიდან საქართველოზე გამავალი საავტომობილო გზები ცუდ მდგომარეობაშია", – ამბობს ისკანდერიანი.

ალექსანდრე ისკანდერიანი არ იზიარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სომხეთი ახალი მარშრუტის ამოქმედების შემდეგ იზოლაციაში მოექცევა და ერთგვარ ,,სახელმწიფო-კუნძულად" იქცევა. ,,მეორე გზის ამოქმედება იმას არ ნიშნავს, რომ პირველი იგივე წარმატებით ვერ იმუშავებს", – ამ განცხადებაში ექსპერტმა ყარსი-თბილისი-გიუმრის რკინიგზა იგულისხმა.

იგივე მოსაზრებას გამოთქვამს ქართველი პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილიც. ,,სომხეთისა და აზერბაიჯანის შერიგების შემთხვევაშიც კი, უკვე ამოქმედებული (საერთორეგიონული) პროექტების შეჩერება ან შეცვლა შეუძლებელი იქნება. თუმცა მათი წარმატებული რეალიზაცია მოგებას მოუტანს მთელ რეგიონს, მათ შორის, სომხეთსაც", – ამბობს ზაქარეიშვილი.

www.iwpr.net

# აზერბაიჯანი ირანის დილემის გადაჭრას ცდილობს

*აზერბაიჯანი თავის მთავარ მოკავშირესა და ჩრდილოეთ მეზობელთან კონფრონტაციის გამო, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.*

ქენან გულუზადე, ბაქო

დასავლეთსა და ირანს შორის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული დაძაბულობა იზრდება და შესაბამისად, აზერბაიჯანშიც მწვავე დისკუსიები მიმდინარეობს. კამათის ძირითადი თემა აზერბაიჯანის პოზიციაა იმ შემთხვევაში, თუ კრიზისის ესკალაცია მოხდება და ქვეყანა ანტიირანულ კოალიციაში შესვლის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება.

თუ საქმე სამხედრო თავდასხმამდე მივა, დამკვირვებელთა ვარაუდით, აშშ აზერბაიჯანის ტერიტორიის საკუთარი შეიარაღებული ძალების დისლოკაციისთვის გამოყენებას მოისურვებს. აზერბაიჯანის საინფორმაციო სააგენტომ APA გაერო-ს ბირთვული პროგრამის ყოფილი ინსპექტორის სკოტ რიტერის გამოსვლის ციტირება მოახდინა, რომელიც აშშ-ის მიერ ირანზე თავდასხმის პლაცდარმად აზერბაიჯანის გამოყენების ალბათობას უშვებდა.

ამ ფონზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის ირანთან მოსაზღვრე რაიონში ამერიკის მთავრობის დაფინანსებით რადიოლოკაციური სადგური აშენდა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ქვეყნის ანტიირანულ კოალიციასთან შეერთების პერსპექტივას კატეგორიულად უარყოფს.

,,აზერბაიჯანი, რასაკვირველია, ირანის საწინააღმდეგო ოპერაციებში მონაწილეობას არ მიიღებს. ამის შესახებ ჩვენმა წარმომადგენლებმა და პირადად მეც, ადრე სავსებით ნათლად განვაცხადეთ და ვფიქრობ, ახლა ამ თემის ირგვლივ სპეკულირების დრო არ არის", – განაცხადა 26 აპრილს ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ალიევმა.

,,ჩვენ ირანთან ერთად ორმხრივი თავდაუსხმელობის შეთანხმებაზე გვაქვს ხელი მოწერილი, სადაც ნათლად არის აღნიშნული, რომ ჩვენი ქვეყნების ტერიტორიები არ შეიძლება ერთმანეთის საფრთხის წინაშე დასაყენებლად გამოვიყენოთ", – დასძინა მან.

ირან-აზერბაიჯანის თავდაუსხმელობის შეთანხმებას ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა ხელი ორი წლის წინ თეირანში მოაწერეს. ამ შეთანხმების შესრულების საკითხი ამ წლის აპრილში, ირანის თავდაცვის მინისტრის მუსტაფა მოჰამედ ნაჯარის აზერბაიჯანში ვიზიტის დროსაც განიხილეს. ირანის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ქვეყნებმა შესაძლოა მეორე – სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებაც გააფორმონ.

აზერბაიჯანელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ირანის წინააღმდეგ აზერბაიჯანის გამოსვლის შემთხვევაში რისკი, რომელზეც ქვეყანას მოუწევს წასვლა, ძალზე დიდია. პოლიტოლოგ ზარდუშტ ალიზადეს აზრით, მოვლენათა ასეთი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, ბაქოს იმედებს მთიანი ყარაბაღის დაბრუნებასთან დაკავშირებით ნიადაგი გამოეცლება.

,,ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით ყარაბაღის კონფლიქტის საერთაშორისო იურიდიული ნორმების ფარგლებში დარეგულირებას. ანტიირანულ კოალიციაში მონაწილეობით კი ყარაბაღს დავკარგავთ. აშშ საერთაშორისო კანონებს არღვევს და სხვა ქვეყნებისგან მხარდაჭერასაც ითხოვს", – განაცხადა ალიზადემ.

დღეს აზერბაიჯანს ირანთან არავითარი სერიოზული უთანხმოება არ აქვს და მისი ელექტროენერგიითაც სარგებლობს. ,,რატომ უნდა შევუერთდეთ რაღაც მითიურ ანტიირანულ კოალიციას ასეთ სიტუაციაში?" – კითხულობს ალიზადე.

მოსკოვში აზერბაიჯანის ყოფილი ელჩი, ამჟამად ოპოზიციური პარტიის ,,მუსავათის" ანალიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი ჰიკმეთ ჰაჯიზადე დარწმუნებულია, რომ ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას აზერბაიჯანისთვის უაღრესად ნეგატიური შედეგები მოჰყვება, პირველ რიგში კი ვაჭრობის სფერო დაზარალდება. ირანის საელჩოს ცნობით, გასულ წელს ქვეყნებს შორის ტვირთბრუნვის მოცულობამ 450 მილიონ დოლარს მიაღწია. დღეისათვის ირანთან ვაჭრობა აზერბაიჯანის სამხრეთ რაიონების მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა.

ჰაჯიზადეს თქმით, კრიზისის შემდგომი ესკალაცია ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდებს. საქმე ისაა, რომ ეს აზერბაიჯანული ექსკლავი იზოლირებულია ქვეყნის დანარჩენი რეგიონებისგან, ჩაკეტილია მისი საზღვარი სომხეთთანაც და მთლიანად ირანიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზეა დამოკიდებული.

პოლიტოლოგი ამბობს, რომ სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, აზერბაიჯანს ლტოლვილთა (ძირითადად ირანში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების) ნაკადები მოაწყდება და გარდა ამისა, თავად აზერბაიჯანიც თავდასხმის შესაძლო ობიექტის როლში აღმოჩნდება.

,,ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალის გადამტვრევა ძალზე იოლია – ამისთვის რამდენიმე ტორპედო და ორი ან სამი საშუალო რადიუსის მქონე რაკეტაც საკმარისია", – განაცხადა ჰაჯიზადემ. მისი აზრით, თავდასხმის სავარაუდო ობიექტი საზღვაო სტაციონარული ნავთობპლატფორმები და სანგაჩალის ტერმინალია, საიდანაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ნავთობით მარაგდება.

აზერბაიჯანელთა უმრავლესობა, ირანელი მუსლიმანების მსგავსად, შიიტია, ამიტომაც მათგან საპასუხო აგრესიული რეაქციის რისკი საკმაოდ სერიოზულია.

,,აზერბაიჯანში მცხოვრები პროირანული ორიენტაციის მუსლიმანები ქვეყანაში დესტაბილიზაციის შესაქმნელად საკმაოდ ცოტანი არიან, თუმცა, სხვადასხვა ტერორისტული და დივერსიული აქტის მოსაწყობად ეს საკმარისია", – ამბობს ჰიკმეთ ჰაჯიზადე.

ექსპერტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ირანის ბირთვული გეგმების განხორციელების შემთხვევაში, აზერბაიჯანი მეტად სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდება, თანაც დღეისთვის ირანისთვის აზერბაიჯანზე ახლო სტრატეგიული მეზობელი სომხეთია.

პარლამენტის დეპუტატი იგბალ აგაზადე მიიჩნევს, რომ ვაშინგტონის პოზიციის გაზიარებით აზერბაიჯანი არჩევანს ნაკლები ბოროტებისკენ გააკეთებს. მისი აზრით, უმჯობესია ირანის მხრიდან საფრთხის ალბათობა ნულამდე დავიდეს და აზერბაიჯანმა პოლიტიკური დივიდენდები – ანუ, პირველ რიგში, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისა და შემდგომ, ირანის მეზობლად, ამჟამად სომხეთის კონტროლს ქვეშ მყოფი ტერიტორიების საკითხის მოგვარებაში აშშ-ის მხარდაჭერა მოიპოვოს.

,,კოალიციასთან შეერთება აზერბაიჯანს ირანის მუქარისგან დაცულობის გაცილებით მაღალ დონესა და შესაძლო ჰუმანიტარული კრიზისის მოგვარებაში დახმარებას მოუტანს", – თქვა აგაზადემ.

ბაქოში ორდღიანი ვიზიტის დროს ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯეტმა ირანთან დაკავშირებულ საკითხზე აზერბაიჯანის სავარაუდო პოზიციის კომენტირებაზე უარი განაცხადა. მან მხოლოდ ის თქვა, რომ ,,ირანი – მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა, ბაქო და თეირანი კი – მეგობრები".

აზერბაიჯანში ირანის მაღალჩინოსნების ბოლოდროინდელი ვიზიტები და აშშ-ში ილჰამ ალიევის სტუმრობა გვაფიქრებინებს, რომ ირანის კრიზისის ირგვლივ დიდი ვაჭრობა დაიწყო.

აზერბაიჯანის მდგომარეობა თურქეთის გამოცდილებას შეიძლება შევადაროთ, რომელიც ასევე ცდილობდა ირანის წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარებისგან თავი აერიდებინა და იმავდროულად, არც აშშ-ისთვის ეწყენინებინა.

აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობა, ამ უკანასკნელის მიერ ერაყის ომის დროს ვაშინგტონისთვის დახმარებაზე უარის თქმის შემდეგ გაუარესდა. ირანის საკითხში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას ბაქო, ალბათ, თურქეთის მწარე გამოცდილებას გაითვალისწინებს.

www.iwpr.net

24 საათი B
# ბიზნესი
© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## "ფრიდომ ტაუერი" მეტისმეტად ძვირი ჯდება



## მსოფლიოს ორი უმსხვილესი ბირჟა ერთიანდება

B3

## "აეროფლოტმა" არჩევანი A-350-ზე გააკეთა



## ჩინური ავტოკომპანია საკუთარ ბრენდს ქმნის

B4



# გასული წლის ბიზნესმენი

### სერგეი ბრინი და მასავით ახალგაზრდა და მდიდარი Google

გოჩა ქიმუცაძე

*ავტორიტეტულმა ბრიტანულმა გამოცემამ Financial Times-მა 2005 წლის ადამიანად Google Web Search-ის დამფუძნებელი, ამერიკაში ემიგრირებული რუსი-ებრაელი, 32 წლის სერგეი ბრინი დაასახელა. გაზეთმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ იგი სრულიად ასახავს იმ ეფექტს, რომელიც 7 წლის წინ ბრინის მიერ დაარსებულმა კომპანიამ ინტერნეტის, ბიზნესის და ტექნოლოგიის სამყაროზე მოახდინა. Financial Times-ი ჭეშმარიტებას ღაღადებს. მართლაც, ძნელად იპოვნით ადამიანს, რომელსაც ინტერნეტთან შეხება აქვს და Google-ს მომხმარებელი არ არის. 1988 წელს დაარსებულმა ამ კომპანიამ წარმატებას უმოკლეს დროში მიაღწია, მისი საბაზრო კაპიტალიზაცია, გასული წლის მონაცემებით, 107,17 მილიარდი დოლარია და ამ მხრივ Google Web Search-ი თავის სფეროში მხოლოდ Microsoft-ს ჩამორჩება. ეს სერგეი ბრინის დამსახურებაა, რომელიც 12,9 მილიარდის მფლობელია და განთქმულ ჟურნალ Forbes-ის რეიტინგში 26-ე ადგილზე იმყოფება.*

**კომპანიაში თანამშრომლებს შეუძლიათ, შაბათობით ჰოკეი პირდაპირ კომპანიის ავტოსადგომზე ითამაშონ. ამისათვის ყველას ახალ, გორგოლაჭებიან ციგურებს ჩუქნიან. ოფისში ნებისმიერ დროს შეიძლება უფასოდ დანაყრება, თანაც, სადილის მოსამზადებლად ცნობილ და ძვირფას მზარეულებს იწვევენ. გარდა ამისა, კომპანიის თანამშრომლებს რამდენიმე მასაჟისტი ემსახურება, თანაც - უფასოდ. ყველას შეუძლია, სამუშაოზე შინაური ცხოველი მიიყვანოს. ამ "სოციალურ პაკეტს" საოცარი პრივილეგია აგვირგვინებს: სამუშაო დროის 20 პროცენტის განმავლობაში თანამშრომლებს შეუძლიათ, რაც სურთ, ის გააკეთონ: ხატონ, წიგნები იკითხონ, იქვე, სპეციალურ დარბაზში ივარჯიშონ... თქმა არ უნდა, რომ Google Inc-ი თავის პერსონალს ძალიან მაღალ ხელფასს უხდის. მოკლედ, ნამდვილი კომუნისტური სამოთხეა.**



B3

# 2002-2005 წლებში მომუშავეთა რაოდენობა 94 ათასით შემცირდა

მარიამ ჭაჭვაძე

*ამ რამდენიმე დღის წინ, ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან გაკეთდა განცხადება იმის შესახებ, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობა თითქმის 100 ათასით გაიზარდა. ამ ინფორმაციას სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი უარყოფს და აზუსტებს, რომ 2002-2005 წლებში საქართველოში უმუშევართა რაოდენობა მხოლოდ 14 ათას 300 კაცით არის გაზრდილი, ხოლო ამავე პერიოდში 94 ათას 600 ადამიანით მომუშავეთა რიცხვი შემცირდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირება 81 ათასით და და დასაქმებულთა რაოდენობის კლება 94 ათასით დამაიმედებელი ინფორმაცია ნამდვილად არ არის.*

**მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით**

(ათასი კაცი)

| | 2002 | 2003 | 2004 | 2005 |
|---|---|---|---|---|
| სულ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) | 2104,2 | 2050,8 | 2041,0 | 2023,9 |
| მომუშავე | 1839,2 | 1814,9 | 1783,3 | 1744,6 |
| უმუშევარი | 265,0 | 235,9 | 257,6 | 279,3 |
| უმუშევრობის დონე (პროცენტებში) | 12,6 | 11,5 | 12,6 | 13,8 |
| აქტიურობის დონე (პროცენტებში) | 65,0 | 66,2 | 64,9 | 64,0 |
| დასაქმების დონე (პროცენტებში) | 56,8 | 58,6 | 56,7 | 55,2 |

B4

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3702 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9989 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4905 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8010 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8396 |
| 1 | ბულგარული ლევი | BGL | 1,1764 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3086 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3123 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3001 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4706 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3463 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,2071 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1612 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3798 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1969 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2502 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4044 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6047 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2686 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6526 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3717 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2948 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5842 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6051 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0667 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1368 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4118 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5597 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4759 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5748 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8747 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2284 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1484 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4419 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2462 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4788 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0814 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2247 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2322 |




### ლიზინგით აწყობილი ბიზნესი

# ბაზარზე კიდევ ერთი ქართული ნაწარმი გამოჩნდა

თინა შავაძე

*საქართველოში სასმელი წყლის გარე გაყვანილობის მაღალხარისხიანი პლასტმასის მცირე დიამეტრის მილების წარმოება დაიწყო. მიმდინარე წლის აპრილში გამოშვებული პროდუქციის საცდელი პარტიის ნაწილი ელიავას ბაზრობაზე გაიყიდება. 30-მილიმეტრიანი ერთი მეტრი მილის ფასი 2.5 ლარია და ის ორჯერ იაფია მსგავს ევროპულ პროდუქციასთან შედარებით. მილები დამზადებულია ევროპული დონის მანქანა-დანადგარებისა და ნედეულის გამოყენებით. ქვეყანაში ანალოგიური სახის პროდუქციას მხოლოდ "თბილავიამშენი" აწარმოებს.*

- **რა საშუალებით დამზადდა ხარისხიანი პროდუქცია?**
- **რა ხდება ბაზარზე?**
- **ქართული პროდუქცია ქართულ ბაზარზე**
- **პერსპექტივები და შემოთავაზებები**
- **როგორ უნდა გავიგოთ, ხარისხიანია თუ არა მილი?**


ვალერი გელაშვილი.

B2

## EBRD-ი საქართველოში ინვესტირების მოცულობის გაზრდას გეგმავს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) საქართველოში ინვესტირების მოცულობის მნიშვნელოვან გაზრდას გეგმავს. ამის შესახებ ბანკის პრეზიდენტმა ჟან ლემიერმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან კვირას ლონდონში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატიდან აცნობეს, შეხვედრაზე ჟან ლემიერმა განმარტა, რომ ევრობანკი, 85 მლნ ევროს ნაცვლად, ყოველწლიურად საქართველოში 150 მლნ ევროს ინვესტირებას განახორციელებს. აპარატის ინფორმაციით, შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საქართველოში შეიქმნება საინვესტიციო საბჭო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, მთავრობისა და კერძო სექტორის მონაწილეობით, რაც ხელს შეუწყობს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას. ლემიერმა ასევე დაადასტურა, რომ ბანკი მონაწილეობას მიიღებს საქართველოში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის და, კერძოდ, ენგურის ჰიდროელექტროსადგურისა და ჩრდილოეთ-სამხრეთი გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტებში. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აშშ აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანონოდ მოქმედი ბანკების წინააღმდეგ ზომების მიღებას გეგმავს

აშშ აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანონოდ მოქმედი ბანკების წინააღმდეგ ზომების მიღებას გეგმავს. ამის შესახებ აშშ-ს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ კლეი ლოურმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან კვირას ლონდონში გამართული შეხვედრისას განაცხადა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს პრემიერ-მინისტრის აპარატიდან აცნობეს, შეხვედრაზე ასევ განიხილეს საქართველოში აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის (MCA)-ს მიმდინარეობა და აღინიშნა პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების დროული განხორციელების მნიშვნელობა. ქართულმა მხარემ შეხვედრაზე განაცხადა, რომ დაფინანსების დროულად მიღება საქართველოს მთავრობას საშუალებას მისცემს, უახლოეს დროში დაიწყოს საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტის მომდევნო ეტაპი - პირველ რიგში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. საქართველო აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის პროგრამიდან 300 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გრანტს ელოდება. აღნიშნული თანხა სხვადასხვა პროექტების, მათ შორის, ენერგეტიკული, ინფრასტრუქტურის, აგრარული და მუნიციპალური პროექტების განხორციელებას მოხმარდება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ფინანსთა მინისტრი თამბაქოს მწარმოებლებს ესაუბრა

საგადასახადო კოდექსში შესულ ცვლილებებზე, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობისა და კონტრაბანდის ლეგალიზაციის გზებზე იმსჯელეს ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა და თამბაქოს ადგილობრივი მწარმოებელი და იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებმა შაბათს გამართულ შეხვედრაზე. შეხვედრაზე იმ ფინანსური რესურსებისა და მექანიზმების ამოქმედების თაობაზეც იმსჯელეს, რომლებმაც ბაზარზე თამბაქოს პროდუქციაზე ფასების სწრაფ რეგულირებას უნდა შეუწყონ ხელი. როგორც ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა განუცხადა, მთავრობის მიერ შემუშავებული ახალი განაკვეთები და დამატებითი ადმინისტრაციული ღონისძიებები მნიშვნელოვნად აღმოფხვრის კონტრაბანდულ პროდუქციას, ხელს შეუწყობს ადგილობრივ წარმოებას და გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს. საქართველოს თამბაქოს ადგილობრივი წარმოების განვითარებისა და კონტრაბანდასთან ბრძოლის გააქტიურების მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ ცვლილებები შეიტანა მოქმედ საგადასახადო კოდექსში, რითაც ადგილობრივ და იმპორტულ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთი შეამცირა. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, უცხოური წარმოების ფილტრიან სიგარეტზე სააქციზო გადასახადი 90-დან 60 თეთრამდე, ადგილობრივი წარმოების ფილტრიან სიგარეტზე კი - 70-დან 40 თეთრამდე, უცხოური წარმოების უფილტრო სიგარეტზე - 20-დან 15 თეთრამდე, ადგილობრივი წარმოების უფილტრო სიგარეტზე - 15-დან 10 თეთრამდე, ღერ სიგარაზე 90 თეთრამდე შემცირდა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2005 წელს თამბაქოს აქციზიდან მიღებულმა შემოსავალმა 82 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 6,2 მილიონი ლარით მეტია 2004 წლის მაჩვენებელზე. აქციზის განაკვეთის შემცირების მიუხედავად, 2006 წელს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტში 120 მილიონი ლარის მობილიზებას გეგმავს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საკონტეინერო მატარებლის მეორე რეისი მაისის ბოლოს შესრულდება

საკონტეინერო მატარებელი ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმა-ათის მიმართულებით მეორე რეისს მაისის ბოლოს შეასრულებს. ამის შესახებ აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" TRACECA-ს აზერბაიჯანის ოფისის წარმომადგენელმა აკიფ მუსტაფაევმა განუცხადა. მისი განმარტებით, ამ დროისათვის ყაზახეთში საკონტეინერო მატარებლისათვის ტვირთის შეგროვება მიმდინარეობს. მუსტაფაევის თქმით, მატარებელი ალმა-ათა-აქტაუ-ბაქო-ფოთის სარკინიგზო მარშრუტს შეასრულებს. TRACECA-ს წარმომადგენლის განმარტებით, საკონტეინერო მატარებლით ამჟამად ჩინეთია დაინტერესებული, რომელმაც მატარებლის მუშაობის შესახებ ინფორმაცია მოითხოვა. მუსტაფაევის თქმით, აზერბაიჯანი, საქართველო და ყაზახეთი მატარებლის მოძრაობის მარშრუტის ყაზახეთი-ჩინეთის საზღვართან მდებარე სადგურ "დოსტიკამდე" გაგრძელების პერსპექტივას განიხილავენ. გადაზიდვის ტარიფი ყველა ქვეყანაში თანაბარი იქნება - 1 კილომეტრზე 1 ტონა ტვირთის გადაზიდვა 22 აშშ ცენტი. თავდაპირველად, აღნიშნული მატარებელი ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმა-ათის მიმართულებით მოძრაობდა. მატარებლის ოპერატორი კომპანიებია Black sea transit LTD და Advantage international transport and logistics LTD. აღნიშნული მატარებლის პირველი რეისი გასული წლის 24 დეკემბერს შესრულდა. მატარებელმა ხელი უნდა შეუწყოს ტვირთბრუნვის მოზიდვას ჩინეთიდან ევროპაში. ექსპერტების გათვლებით, რუსეთის მიერ დემპინგური ტარიფების გამოყენების გამო, აღნიშნულ ქვეყანაზე ევროპიდან აზიაში და პირიქით გადაზიდული საკონტეინერო ტვირთების 3-4 პროცენტი მოდის, რაც წელიწადში დაახლოებით 150 ათასი კონტეინერია. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აშშ ტრანსკასპიური მილსადენს დააფინანსებს

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია მზადაა, ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების სამუშაოები დააფინანსოს. ამის შესახებ იტარ-ტასსთან ინტერვიუში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ რიჩარდ ბაუჩერმა განაცხადა. ბაუჩერის განმარტებით, აშშ-ს პროექტის დაფინანსება იმის გამო სურს, რათა განსაზღვროს, რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანია აღნიშნული მილსადენი კასპიისპირა ქვეყნებისათვის, პირველ რიგში - ყაზახეთისათვის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### ლიზინგით აწყობილი ბიზნესი

# ბაზარზე კიდევ ერთი ქართული ნაწარმი გამოჩნდა

პირველი გვერდიდან

### რა საშუალებით დამზადდა ხარისხიანი პროდუქცია?

შპს "ჯი-პი-კომ" (ჯორჯიან პლასტიკ კომპანი) მილების წარმოებისთვის ფირმა "დაკის" მანქანა-დანადგარები უკრაინაში, ქალაქ დონეცკში შეიძინა. დანადგარს ფართო დიაპაზონის პროდუქციის გამოშვება შეუძლია. მათ შორის, 20 მილიმეტრიდან 130 მილიმეტრამდე დიამეტრის მილების დამზადება, რომელიც, ორი ატმოსფერული წნევიდან დაწყებული, 20-მდე ატმოსფერულ წნევას უძლებს. "ჯორჯიან პლასტიკ კომპანიმ" წარმოება ლიზინგის გამოყენებით ააწყო. სალიზინგო კომპანია "თი-ბი-სი ლიზინგთან" სამწლიანი ფინანსური იჯარა გვაქვს გაფორმებული. სასმელი წყლის მილების საწარმოო დანადგარი, რომელიც 75 ათასი ევრო ღირდა, მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებს.

საქართველოში მილების დამზადებისთვის საჭირო ნედლეული უცხოეთიდან შემოდის. ფირმა "ჯი-პი-კოს" ტექნიკური დირექტორი ვალერი გელაშვილი:

"პოლიეთილენს ამზადებენ ჩეხეთში, ფინეთსა და უზბეკეთში. პოლიეთილენის ეს პირველი პარტია უზბეკეთიდან, საღებავი კი - თურქეთიდან შემოვიტანეთ. ორივე ნედლეული უმაღლესი ხარისხისაა და მსოფლიო სტანდარტში ჯდება. ამდენად, სრული ტექნოლოგიური ციკლი მანქანა-დანადგარები და ნედლეული აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რათა საწარმოში მაღალი ხარისხის პროდუქცია - გარე გაყვანილობის სასმელი წყლის მილები ადგილზე დამზადდეს."

შპს "ჯი-პი-კოს" ხუთი დამფუძნებელი ჰყავს. სანდრო ჭიპაშვილი კომპანიის ერთ-ერთი მესაკუთრეა:

"ჩვენი საწარმო საშუალო სიდიდისაა. როცა მოგებას მივიღებთ, პერსპექტივაში გვსურს, საწარმო გავაფართოოთ - გვინდა მეორე ხაზის გასახსნელად კვლავ ლიზინგით შემოვიტანოთ მანქანა-დანადგარები. ვფიქრობ, რომ საქართველოს გიგანტი საწარმოები არ სჭირდება. არსებული ბაზრიდან გამომდინარე, ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობა უფრო წარმატებული იქნება. სრული ტექნოლოგიური ციკლისთვის საჭირო დანადგარების შესყიდვაში სალიზინგო კომპანია "თი-ბი-სი ლიზინგი" დაგვეხმარა. ამ კომპანიაში განაცხადი გასული წლის დეკემბერში შევიტანეთ. თანხმობა მოკლე დროში მოგვცეს. უკრაინაში მანქანების აწყობას რამდენიმე თვე დასჭირდა, მიმდინარე წლის მარტის ბოლოს დანადგარები ჩამოვიტანეთ და ავაწყვეთ. აპრილში პირველი საცდელი პროდუქცია გამოვუშვით და ვნახეთ, რომ უმაღლესი ხარისხის მილების დამზადება შევძელით. დაკვეთა არ გვქონდა. ასე რომ, ამ პროდუქციის ელიავას ბაზარზე გაყიდვას ვაპირებთ."

### რა ხდება ბაზარზე?

სასმელი წყლის პლასტმასის მილებით ქართული ბაზარი გაჯერებულია. დღემდე ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების მილების უმეტესობა კუსტარულად მზადდება. როგორც ირკვევა, თურქეთიდან შემოდის მეორადი გადამუშავების ნედლეული, რომლისგანაც სასმელი წყლის მილები მზადდება. გარდა იმისა, რომ ასეთი ტექნოლოგიით დამზადებულ მილები უხარისხოა, ამ მილებში გატარებული სასმელი წყალი ჯანმრთელობისთვისაც მავნეა. თუმცა, ამ უხარისხო პროდუქციას ის დადებითი მხარე აქვს, რომ იაფია და, შესაბამისად, მომხმარებელიც ბევრი ჰყავს. ბაზარზე სასმელი წყლის ევროპული სტანდარტების შესაბამისი ძვირადღირებული იტალიური და გერმანული მილებიც იყიდება, მაგრამ ეს პროდუქცია 4-ჯერ ძვირია (1 მეტრი მილის ფასი 5-6 დოლარია), ვიდრე ადგილობრივი წარმოების.

### ქართული პროდუქცია ქართულ ბაზარზე

"ჩვენ ისეთი პროდუქცია გამოვუშვით, რომელიც ხარისხიანია, ევროპულ სტანდარტს აკმაყოფილებს, თან, უცხოურთან შედარებით ორჯერ იაფია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი პროდუქცია განსაკუთრებულ ნიშას დაიჭერს ბაზარზე. ეს მილები არანაირი მინარევებით არ არის დამზადებული. ახლა ხდება ფასის დადგენა. ჩვენ კონკურენტები არ გვყავს. ასეთი მანქანა-დანადგარები ქვეყანაში არავის აქვს, "თბილავიამშენის" გარდა, მაგრამ ეს საწარმო სასმელი წყლის ფართო დიამეტრის მილებს ამზადებს, და ის ჩვენი კონკურენტი კი არა, პირიქით, შესაძლებელია პარტნიორი გახდეს, ანუ ერთმანეთი შევავსოთ. ჩვენ მცირე და საშუალო დიამეტრის გარე გაყვანილობის, სასმელი წყლის მილებს ვუშვებთ, ისინი კი - ფართო დიამეტრის მილებს," - აცხადებს სანდრო ჭიპაშვილი.

ცნობილია, რომ საქართველოში კომუნისტების შემდეგ სასმელის წყლის სისტემა არ გამოცვლილა, ამ ეტაპზე წყალსადენი მწყობრიდან არის გამოსული და თავიდან არის ყველაფერი გასაკეთებელი. მთავრობამ უკვე აიღო საკუთარ თავზე მთელს ქვეყანაში წყალგაყვანილობის სისტემის გამოცვლა. ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას რეგიონებში. წყალგაყვანილობა ისეა ამორტიზებული, რომ თუნდაც დადგენილი გრაფიკის მიხედვით, სასმელი წყლის მოსახლეობისთვის მიწოდება იშვიათად ხდება.

სანდრო ჭიპაშვილი: "სასმელი წყლის მილებზე მოთხოვნა არსებობს. ჩვენს პროდუქცია არის ადგილზე დამზადებული მაღალხარისხიანი და ორჯერ ნაკლები ფასით, ვიდრე უცხოური. ამ ეტაპზე ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სასმელი წყლის 30-მილიმეტრიანი მილის ერთი მეტრის ფასი 2 ლარი და 50 თეთრი იქნება, მაშინ, როცა უცხოური 4 დოლარი ღირს. ამდენად, ჩვენი პროდუქციის ყიდვა ხელს არ უნდა აძლევდეს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციას. დაკვეთის შემთხვევაში, საწარმოში ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ დამკვეთს პროდუქცია დადგენილ ვადებში მივაწოდოთ."





სანდრო ჭიპაშვილი.



საწარმოში დასაქმებულ ადამიანებს მომავლის იმედი გაუჩნდათ.

### პერსპექტივები და შემოთავაზებები

საქართველოში სამშენებლო საქმე ძალიან წარმატებულია. როგორც ირკვევა, მშენებარე სახლებში სასმელი წყლის შიდა გაყვანილობისთვის, ძირითადად, უცხოურ მილებს იყენებენ. მსგავსი პროდუქციით სამშენებლო კომპანიების მოთხოვნა, შესაძლებელია, ბაზარზე ახლად გამოჩენილმა საწარმომაც დააკმაყოფილოს. მართალია, კომპანია "ჯი-პი-კოს" მხოლოდ გარე გაყვანილობის სასმელი წყლის პალასტმასის მილების დამზადების გამოცდილება აქვს, მაგრამ საწარმოში არსებული მანქანა-დანადგარებით შესაძლებელია სხვა ზომის და დანიშნულების მილების წარმოება. რამდენიმე სამშენებლო კომპანიამ უკვე დაათვალიერა კომპანია "ჯი-პი-კოს" გამოშვებული პროდუქცია და გაეცნო წარმოების პროცესს. დაკვეთის შესახებ გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ამ ეტაპზე მიდის მოლაპარაკებები კომპანია "ჯი-პი-კოსა" და სამშენებლო კომპანიებს შორის.

სანდრო ჭიპაშვილი: "ჩვენი მიზანი და ძირითადი ამოცანაა, ადგილობრივი წარმოების წყლის პლასტმასის მილები ხარისხიანი იყოს. ჩვენ ვაპირებთ მჭიდრო თანამშრომლობას "თბილავიამშენთან", რათა ერთობლივი ძალით ეს პროდუქცია ბაზარზე დამკვიდრდეს და მოთხოვნა გაჩნდეს."

### როგორ უნდა გავიგოთ, ხარისხიანია თუ არა მილი?

ჩვეულებრივ, მილს გარკვეული მონაცემები ზედვე აწერია - სად არის დამზადებული, ვისი ნაწარმია და საქონლის ხარისხის დამადასტურებელი მონაცემები. მაგრამ ეს მონაცემები რამდენად რეალურია, დოკუმენტალურად ამის დამტკიცება ძალიან რთულია.

"საქართველოში სერტიფიცირების ორგანო, რომელიც გააუქმეს, კვლავ უნდა აღსდგეს. ასეთმა ორგანომ უნდა დაამტკიცოს, რომ ჩვენს მიერ გამოშვებული მილები ხარისხიანია. ძალიან ძნელია, მხოლოდ მეწარმემ დაარწმუნოს მომხმარებელი, რომ სასმელი წყლის იაფფასიანი მილები, რომლებიც ამჟამად ბაზარზე იყიდება, კუსტარულად, მინარევების გამოყენებით არის დამზადებული და მისი მოხმარება ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნეა," - მიაჩნია ჭიპაშვილს.

### საწარმოში დასაქმებულ 14 ადამიანს მომავლის იმედი გაუჩნდა

14 უმუშევარი ადამიანი კომპანია "ჯი-პი-კოში" შეიკრიბა. მათგან ცხრამ უკვე აითვისა ოპერატორის სპეციალობა და ახლა ისინი საწარმოო პროცესს მართავენ. საწარმოში მანქანა-დანადგარები ვალერი გელაშვილმა ააწყო და მანვე გამოზარდა ახალგაზრდა სპეციალისტები. ბატონი ვალერი 60 წლისაა, პროფესიით ფიზიკოსია, მაგრამ ბოლო 15 წელი პლასტმასის პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებში იმუშავა. ბატონი ვალერი ბოლო წლებში, სანამ "ჯი-პი-კოში" დაიწყებდა მუშაობას, უმუშევარი იყო. მისი ორი ვაჟიშვილიდან უფროსი - მოსკოვში, უმცროსი კი ნიუ-იორკში ცხოვრობს. მისმა შვილებმა სამშობლო უმუშევრობის გამო დატოვეს, ახლა უცხოეთში ორივე კარგად ცხოვრობს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე მათგანი უკან დაბრუნდეს. თუმცა, ბატონი ვალერი იმედს არ კარგავს და ამბობს, რომ მისი შვილები ახლა საქართველოს ბაზარს აკვირდებიან და, შესაძლებელია, რომელიმე მათგანმა საკუთარ ქვეყანაში საქმეში კაპიტალი ჩადოს.

საწარმოში დასაქმებულ ადამიანებს მომავლის იმედი გაუჩნდათ. ამ ეტაპზე თითოეული ოპერატორი ყოველთვიურად 200 ლარს იღებს. როგორც ისინი ამბობენ, კომპანია "ჯი-პი-კო" ისე ააწყობს ბიზნესს, რომ მათ მუდმივი სამსახური და ყოველთვიური შემოსავალი ექნებათ. კომპანია "ჯი-პი-კოს" სტაბილურობა კი დაკვეთებზეა დამოკიდებული. პირველი პარტიის გარე გაყვანილობის სასმელი წყლის მილების გამოშვების შემდეგ, ახლა საწარმო დროებით გაჩერებულია და დამკვეთის ძიებაშია.

## ონიშენკოს უწყება ქართული და მოლდავური ღვინოების დისტრიბუტორებს უჩივის

ქართული და მოლდავური ღვინოების გასაღების წინააღმდეგ ბრძოლა სასამართლო განხილვის საგანი გახდა, - ამის შესახებ რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა გენადი ონიშენკომ ორშაბათს ჟურნალისტებს განუცხადა. ონიშენკოს განმარტებით, მაისში ქართული და მოლდავური ღვინოების დისტრიბუტორების წინააღმდეგ სასამართლოს 718 საქმე გადაეცა, საიდანაც 104 სარჩელი რუსეთის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის სასარგებლოდ გადაწყდა. ონიშენკოს თქმით, კანონის დამრღვევებისათვის ლიცენზიის ჩამორთმევაც ხდება. მისი ინფორმაციით, მხოლოდ მოსკოვში ქართული და მოლდავური ღვინოებით ვაჭრობის უფლება ნახევარი წლის მანძილზე 63 ორგანიზაციას ჩამოერთვა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## "როსპოტრებნოდზორმა" ღვინის მიმწოდებლებს მოლდოვადან და საქართველოდან 104 საქმე მოუგო

რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ ღვინის მიმწოდებლებს მოლდავეთიდან და საქართველოდან 104 საქმე მოუგო. რუსეთის სასამართლოებში უკვე 718 საქმეა აღძრული ქართული და მოლდავური ღვინოების რეალიზატორების წინააღმდეგ. ამათგან "104 უკვე განხილულია და გადაწყვეტილება "როსპოტრებნოდზორის" სასარგებლოდ გადაწყდა. დანარჩენი საქმეები კი სამართალწარმოებაშია", - განაცხადა ონიშჩენკომ. გარდა ამისა, რუსეთის ტერიტორიაზე აკრძალული ალკოჰოლური პროდუქციის უკანონო გავრცელება-რეალიზაციის წინააღმდეგ საბრძოლველად კანონის დამრღვევებს ჩამოერთმევათ ლიცენზიები. მხოლოდ მოსკოვში ლიცენზიები უკვე ჩამოერთვა 69 ორგანიზაციას საქართველოდან და მოლდოვადან, მათგან 44-ს ნახევარი წლის განმავლობაში საქმიანობის გაგრძელება საერთოდ აეკრძალა. "როსპოტრებნოდზორის" გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, ქართული ღვინის დიდი პარტია უკვე განადგურდა. ახლა კი "მთელი რიგი საწარმოების მიერ მიღებულია გადაწყვეტილება მოლდავური და ქართული წარმოების კიდევ 5,9 ტონა ალკოჰოლური პროდუქციის უტილიზების შესახებ," - დასძინა გენადი ონიშჩენკომ. მისი გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 27 მარტს ხელი მოეწერა ქართული და მოლდავური ღვინის რუსეთის ტერიტორიაზე იმპორტის აკრძალვას, არგუმენტად კი ღვინოში პესტიციდების არსებობა და სხვა მავნე ნივთიერებების შემცველობა დასახელდა. **ინტერპრესნიუსი**

## გლეხმა, შესაძლოა, ვენახი გაჩეხოს

რუსეთის ბაზარი საქართველოსათვის ამ ეტაპზე კვლავ შეუცვლელ ბაზრად რჩება, - ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში თენგიზ სიგუამ განუცხადა. როგორც მან აღნიშნა, ქართული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ რუსეთში იყიდებოდა და ამ პროდუქციის ევროპის ბაზარზე გადამისამართება საკმაოდ რთულია. "მართალია, საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ აქტიურად ეძებს ალტერნატიულ ბაზარს, მაგრამ ჩვენი პროდუქციის შესვლა ევროპის ბაზარზე ძალიან ძნელი იქნება, რადგან ის საკმაოდ გაჯერებულია. გარდა ამისა, ქართული პროდუქცია საჭიროებს სერიოზულ რეკლამას, რისთვისაც საკმაოდ დიდი თანხებია საჭირო. იმას, რომ რეკლამამ მომხმარებელზე იმუშაოს, 2-3 წელი სჭირდება. ამასობაში კი სერიოზული საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი დარგი, მევენახეობა. გლეხმა, შესაძლოა, ვენახი საერთოდ გაჩეხოს, თუ მოსავლის რეალიზაციას ვერ მოახდენს," - განაცხადა სიგუამ.

მისი თქმით, ამის პრეცედენტი საქართველოში 4-5 წლის წინ დაფიქსირდა, როდესაც კახეთში გლეხმა ვენახები გაჩეხა და საზამთროს დათესვა დაიწყო. "ვშიშობ, ვენახები არ ჩაანაცვლოს თხილის ხეებმა, რომლის მოსავალზეც საერთაშორისო ბაზარზე ძალიან დიდი მოთხოვნაა. ორი წლის წინ საქართველომ 17 ათასი ტონა თხილი გაყიდა, შარშან კი ამ მაჩვენებელმა უკვე 70 ათას ტონას გადააჭარბა. საქართველოში თხილის მოსავალი კიდევ ორჯერ რომ გაიზარდოს, ის უპრობლემოდ გაიყიდება. მსოფლიო საკონდიტრო წარმოება სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობის თხილს ყიდულობს," - განაცხადა ექსპერტმა. მისივე განცხადებით, ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა ქართული პროდუქციის ნაწილი მაინც დაუბრუნდეს რუსეთის ბაზარს. საქართველოში ყოველწლიურად 400 ტონაზე მეტი ბოსტნეული, 130 000 ტონაზე მეტი ბაღჩეული, 260 000 ტონაზე მეტი ხილი და 130 000 ტონაზე მეტი ციტრუსი მოდის. ციტრუსის 60 პროცენტი და დანარჩენი პროდუქციის 30-40 პროცენტი სწორედ რუსეთში იყიდებოდა. ამას ემატება მინერალური წყლებისა და ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვაც. ექსპერტის შეფასებით, რუსეთის მიერ ქართული პროდუქციის იმპორტის აკრძალვის გამო ქვეყანა წელიწადში 200 მილიონ დოლარზე მეტს დაკარგავს, რაც საკმაოდ შემაშფოთებელი ფაქტია. "საქართველოს ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, რომ ეს პროცესები, რაც ამჟამად რუსეთსა და საქართველოს შორის ხდება, გარდაუვალი იქნებოდა და ამისათვის მზადება უფრო ადრე დაეწყო," - განაცხადა ექსპერტმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქრისტიანული სამყარო Sony-ის პროდუქციას და ვინჩის კოდის გამო ბოიკოტს უცხადებს

“ChristianBoycott.org”-ის ქრისტიანი აქტივისტები კომპანია Sony-ის ყველა პროდუქციას და ფასიან ქაღალდებს ბოიკოტს უცხადებენ. ამის მიზეზად კი ისინი კომპანია Sony-ისა და ფილმ “და ვინჩის კოდს” შორის კავშირს ასახელებენ. შეგახსენებთ, რომ ეს სკანდალური ფილმი კინოსტუდია Sony Pictures-ის პროდუქციაა. ამ ორგანიზაციის აქტივისტები მოსახლეობას Soni Playstation3-ის შეძენას უკრძალავენ. ისინი უპირატესობას Microsoft Xbox360-ის ვიდეომაგნიტოფონებს ანიჭებენ. “თუ შენ ჭეშმარიტად მორწმუნე ხარ, რატომ ანიჭებ უპირატესობას Sony-ის პროდუქციას? თუკი ქრისტიანები ამ კომპანიის პროდუქციას აღარ შეიძენენ, მაშინ ის 2006 წლამდე ველარც მიაღწევს,” - აცხადებენ ქრისტიანი აქტივისტები. ტექსტი, რომლითაც ქრისტიანული ორგანიზაციის წარმომადგენლები მოსახლეობას მიმართავენ, ძალიან ჰგავს კომპანია “Nike”-ს გახმაურებულ სლოგანს - “Just do it” (უბრალოდ, გააკეთე ეს!)

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის 85 პროცენტი თავის სარწმუნოებად ქრისტიანობას აღიარებს. კომპანია Sony-იმ კი, შესაძლოა, მომხმარებელთა დიდი ნაწილი დაკარგოს. ბესტსელერ “და ვინჩის კოდის” ავტორი დენ ბრაუნი და კომპანია Sony-ის წარმომადგენლები ამ ეტაპზე, ამ ანტისარეკლამო კამპანიის საპასუხო კომენტარებისგან თავს იკავებენ.

## Apple-მა მანჰეტენზე გრანდიოზული სავაჭრო ცენტრი გახსნა

კომპანია Apple-მა მანჰეტენზე ახალი მაღაზია გახსნა, რომელიც კომპანიის ფანატებს 24-საათიან მომსახურებას სთავაზობს. ამასთან, მომხმარებლებს საშუალება ექნებათ, მიიღონ კონსულტაციები დღის ნებისმიერ მომენტში.

ახალი სავაჭრო ცენტრი ქალაქში ერთ-ერთ საუკეთესო და მიმზიდველ შენობად ითვლება. მას შუშის კუბის ფორმა აქვს და სიგანეში 9,75 მეტრია. მის მახლობლად General Motors-ის, სასტუმრო Plaza-ს და Berdorf Goodman-ის შენობებია განთავსებული. Apple-ს მსოფლიოში 147 მაღაზია აქვს. პირველი მაღაზია კომპანიამ მანჰეტენზე 2002 წელს გახსნა. ეს ახალი სავაჭრო ცენტრი კი, თამამად შეიძლება ითქვას, ნიუ-იორკის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობაა. მას ზუსტად ისეთივე კუბის ფორმა აქვს, როგორიც პირამიდას ლუვრის შესასვლელში. მაღაზიას დაახლოებით 300 კომპეტენტური პერსონალი ემსახურება, რომლებიც კლიენტებს 24 საათის განმავლობაში უფასოდ მოემსახურებიან. “მისი კარები ყოველთვის ღია იქნება. ჩვენ გვსურს, რომ ნიუ-იორკში ჩამოსულმა ყველა ტურისტმა შემოაბიჯოს ამ მაღაზიაში,” - განაცხადა სავაჭრო ცენტრის მენეჯერმა.

მაღაზია მომხმარებელს Mac-ის და iPod-ის ფართო ასორტიმენტს სთავაზობს. პირველი მაღაზიის გახსნიდან ხუთი წლის განმავლობაში კომპანია Apple-ს მოგება 2,35 პროცენტით გაიზარდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ ახალი სავაჭრო ცენტრის გაზრდით კომპანია დიდ ფინანსურ წარმატებებს მიაღწევს.

## ესპანეთი, უნგრეთი და დანია ევროპული შეიარაღების ერთიანი ბაზრის შექმნას ეწინააღმდეგებიან

ევროკავშირის სამი ქვეყანა - ესპანეთი, უნგრეთი და დანია ევროკომისიის ინიციატივას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ საბრძოლო ტექნიკის და შეიარაღების ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნაში მონაწილეობას არ მიიღებენ. ესპანეთმა და უნგრეთმა ევროკომისიის წარმომადგენელს განუცხადეს, რომ იარაღის ნაციონალური ბაზრის შეცვლას არ აპირებენ.

ამ პროგრამაზე დანიაც უარს აცხადებს. მან ევროპის საბრძოლო პარტნიორობის თითქმის ყველა ინიციატივა დაიწუნა. ევროკავშირის დანარჩენმა 22-მა ქვეყანამ კი ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა. მონაწილე ქვეყნები ივლისიდან ერთმილიონიანი საბრძოლო შეკვეთების შესახებ ინფორმაციას სპეციალური ელექტრონული ბუკლეტების სახით საჯაროდ გამოაქვეყნებენ. ამის მეშვეობით, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის ყველა მწარმოებელს საშუალება მიეცემა, მონაწილეობა მიიღოს თავისუფალ კონკურსში.

ევროკომისიის მთავარი მიზანი ის არის, რომ იარაღის ევროპულ ბაზარზე კონკურენცია გაზარდოს. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბრძოლო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას როგორც ევროპაში, ასევე მთელ მსოფლიოში.

დღევანდელი მონაცემებით, შეიარაღების ევროპული ბაზრის მოგება წელიწადში დაახლოებით 30 მილიარდი ევროა. უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ბაზარი სეგმენტირებული იყო, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებები მხოლოდ თავიანთი ეროვნული ბაზრის ინტერესებს იცავდნენ.

# გასული წლის ბიზნესმენი

პირველი გვერდი





### მამის საჩუქარი

ამერიკის მოქალაქე სერგეი მიხეილის ძე ბრინი დაიბადა 1973 წლის 21 აგვისტოს მოსკოველი ებრაელის ოჯახში. მამა მიხეილი მათემატიკოსი იყო, დედა ევგენია კი - ინჟინერი. მიხეილის თქმით, საბჭოთა კავშირში არსებული ანტისემიტური განწყობის გამო, მას გასაქანს არ აძლევდნენ და როცა 70-იანი წლების ბოლოს ებრაელ ოჯახებს საბჭოეთის დატოვების საშუალება მიეცა, ბრინები ემიგრირებულთა ერთ-ერთ პირველ ტალღას გაჰყვნენ. ასე აღმოჩნდა 1979 წელს პატარა სერიოჟა ამერიკის მიწაზე.

მათემატიკის საბჭოთა სკოლას იანკები ძალიან აფასებდნენ და მიხეილს მერილენდის შტატის უნივერსიტეტში სამუშაო შესთავაზეს, ევგენია კი, როგორც გამოცდილი ინჟინერი, აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სააგენტოში (ნასა) მიიწვიეს.

პატარა სერიოჟკას ახალ გარემოსთან ადაპტირება არ გასჭირვებია. ეგ იყო, არ მოსწონდა, რომ სკოლაში მათემატიკას ძალიან მოსაწყენად ასწავლიდნენ. განვითარებული მოსწავლე თანაკლასელთა და მასწავლებელთა გაოცებას იწვევდა. 9 წლის რომ გახდა, მამამ ელექტრო-გამომთვლელი მანქანა Commodore 64 აჩუქა (მაშინ კომპიუტერები გავრცელებული არ იყო) და სერგეისაც სკოლაში უკვე პრინტერზე ამობეჭდილი საშინაო დავალებები მიჰქონდა.

1990 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ სერგეიმ მამასთან, მერილენდის უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. ბაკალავრის დიპლომი “კომპიუტერული სისტემების და მათემატიკის" სპეციალობაში ნაადრევად აიღო და მეტად პრესტიჟული სტიპენდია National Science Foundation Graduate Fellowship-ი დაიმსახურა. ეს კი ნიშნავდა, რომ მისი განათლების დაფინანსებისათვის ზრუნვა საჭირო აღარ იქნებოდა.

ჰოდა, ბრინმა სწავლა ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე, ქვეყნის ყველაზე პრესტიჟულ კომპიუტერულ სასწავლებელში, სტენფორდის (აშშ, კალიფორნიის შტატი) უნივერსიტეტში გააგრძელა.

### პირველი ჩეკი

ბრინს მათემატიკა და კომპიუტერები კი იტაცებდა, მაგრამ არანაირი ცხოვრებისეული გეგმები არ ჰქონდა. ამიტომ, მისი მშობლები და ნაცნობები გაოგნებული დარჩნენ, როცა მან ლარი პეიჯთან ერთად Google-ი დააარსა.

ბრინის ნამდვილი გატაცება ინტერნეტი იყო, ოღონდ, იგი გაცნობის ან პორნოსაიტებზე როდი შედიოდა და არც ჩატაობა იზიდავდა. “მე მაინტერესებდა ინფორმაცია, რომელსაც მართლაც შეიძლებოდა, ადამიანების ცხოვრებაზე გავლენა მოეხდინა," - იხსენებს იგი.

პირველი საძებნი პროგრამა ბრინმა 1994 წელს თანაკურსელის დაჟინებული თხოვნით დაწერა. ეს პროგრამა პირდაპირ “პლეიბოის" საიტიდან ახალთახალ ფოტოებს ბედნიერი შემკვეთის კომპიუტერში იწერდა.

ამან ბრინს ინტერესი გაუღვიძა, და არა მარტო ერთ საიტზე, არამედ ქსელში საძებნი პროგრამის შექმნა გადაწყვიტა. ჰოდა, 1996 წელს სტენფორდის უნივერსიტეტის საიტზე ახალი საძებნი გვერდი ამუშავდა. ასკეტურად გაფორმებული BackRub-ი ასპირანტ სერგეი ბრინის და მისი მეგობრის, ლარი პეიჯის სამეცნიერო ნაშრომი გახლდათ. საძებნი სისტემის სამუშაოდ საჭირო სერვერი, რომელსაც 1 ტერაბაიტის (1024 გიგაბაიტი) საერთო მოცულობის ვინჩესტერი ჰქონდა, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ბრინის ოთახში იდგა.

BackRub-ის საფუძველს ინტერნეტ-ძებნის პრინციპულად ახალი სისტემა წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც, მოთხოვნის შესაბამისად მოძებნილი უამრავი გვერდი მათზე სხვა გვერდებიდან მითითების რაოდენობის მიხედვით განლაგდებოდა. ამგვარად, ზემოთ ყველაზე მოთხოვნადი დოკუმენტები მოექცეოდნენ.

ბრინის მიერ შექმნილი სისტემა იმდენად მოხერხებული აღმოჩნდა, რომ მას უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთაც ხშირად იყენებდნენ. 1998 წლის ზაფხულისათვის BackRub-ზე ყოველდღიურად 10 ათასამდე მომხმარებელი შედიოდა. სტენფორდში ანერვიულდნენ, რადგან ახალ სერვერზე უნივერსიტეტის ინტერნეტტრაფიკის თითქმის ნახევარი იხარჯებოდა. ამას ხულიგნობის ბრალდებაც დაემატა. საქმე ის იყო, რომ საძებნი სისტემა ყურადღებას არ აქცევდა უნივერსიტეტის შიდა სამომხმარებლო დოკუმენტებზე არსებულ შეზღუდვას და მათ ყველა მსურველს უხსნიდა. ეს კი უკვე მეტისმეტი გახლდათ.

მოკლედ, BackRub - ი, რომელიც წმინდა სამეცნიერო პროექტი უკვე ნამდვილად აღარ იყო, დახურვის საფრთხის, ბრინი კი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. სერგეის უნდა გადაეწყვიტა, სწავლა გაეგრძელებინა თუ საკუთარი საქმე წამოეწყო. არჩევანის გაკეთება მას სრულიად მოულოდნელად Sun Microsystems-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ენდი ბეჰტოლშაიმმა გაუადვილა. “ეს ძალიან საინტერესოა, - უთხრა მან, როცა სერგეიმ თავისი გამოგონება აჩვენა, - მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან მეჩქარება. მაშ, რა ჰქვია თქვენს კომპანიას?" - ჩეკის წიგნაკი მოიმარჯვა ბეჰტოლშაიმმა. ცოტა ხნის შემდეგ გაოგნებული ბრინი მარტო დარჩა და ხელში ჯერ კიდევ არარსებული კომპანია Google Incorporated-ის სახელზე გამოწერილი 100 ათასი დოლარის ღირებულების ჩეკი ეჭირა.

ასე რომ, ფულის მისაღებად საჭირო იყო კომპანიის საჩქაროდ შექმნა. რაც მთავარია, ბიზნესსა და მეცნიერებას შორის არჩევანის გაკეთება პრობლემას აღარ წარმოადგენდა. ბრინი თავის მეგობარ პეიჯს მოელაპარაკა, მათ აკადემიური შვებულება აიღეს და ნაცნობ-მეგობრებთან რეკვა გააჩაღეს. ერთი კვირის შემდეგ, 1998 წლის 7 სექტემბერს ოფიციალურად დარეგისტრირდა 1 მილიონი დოლარის ოდენობის კაპიტალის მქონე კომპანია Google Inc-ი.

### Google-ის გაკეთება

მართალია, მთელი ფული ბიზნესის გაფართოებაზე იხარჯებოდა და რეკლამისათვის არაფერი რჩებოდა, მაგრამ 1999 წლის დასაწყისში ახალ, მოხერხებულ და სწრაფ საძებნ სისტემაზე ამერიკის გაზეთებში მაინც დაიწერა. ამან, Google-ს, რა თქმა უნდა, მომხმარებელი მოუმრავლა. სხვათა შორის, ამ დროისათვის Google-ში ძებნას არა რამდენიმე ძლიერი სერვერი, არამედ რამდენიმე ათასი ჩვეულებრივი, უბრალო კომპიუტერი ახორციელებდა.

ამ დროს ვიღაც ოხუნჯმა შენიშნა, რომ თუ Google-ის ძებნაში ფრაზას - More evil than Satan - (“სატანაზე დიდი ბოროტება") მიუთითებდი, პასუხად პირველ ადგილზე Microsoft-ის საიტი გაჩნდებოდა. ბრინმა ეს უბრალო დამთხვევით და ინტერნეტში Microsoft-ის შეფასებისას სიტყვა “ბოროტების" ხშირი გამოყენებით ახსნა, გაზეთებში კი Google-ის ბილ გეითსის პირმშოსთან დაპირისპირებაზე ალაპარაკდნენ, რამაც ბრინის საიტს კიდევ მეტი პოპულარობა მოუტანა.

მალე Google Inc-ი სუპერშემოსავლიან კომპანიად იქცა და 2004 წლის ზაფხულში, ბირჟაზე აქციების გატანისას, ბრინი დიდების ზენიტში იმყოფებოდა. სწორედ ამ პერიოდში დამკვიდრდა ამერიკელ ახალგაზრდებში გამოთქმა - “Google-ის გაკეთება", რაც ყოველგვარი ბიზნესსტრატეგიის გარეშე დიდი ფულის შოვნას ნიშნავს. ერთი წლის შემდეგ კომპანიის კაპიტალიზაციამ 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

### კომუნისტური სამოთხე

ახალგაზრდა მილიარდერი საკმაოდ მოკრძალებულ, სამოთახიან ბინაში ცხოვრობს, არა მისი სტატუსის შესაბამისი ძვირფასი “მერსედესით", არამედ ეკოლოგიურად სუფთა ჰიბრიდული ძრავით აღჭურვილი Toyota Prius-ით დადის. სერგეის ძალიან უყვარს რუსულ რესტორანში შესვლა, ბორშის, ბლინების და პელმენების მირთმევა და ჩაის დაყოლება.

სამაგიეროდ, კომპანიაში კომფორტის ასამაღლებლად ყველაფერი კეთდება. თანამშრომლებს შეუძლიათ, შაბათობით ჰოკეი პირდაპირ კომპანიის ავტოსადგომზე ითამაშონ. ამისათვის ყველას ახალ, გორგოლაჭებიან ციგურებს ჩუქნიან. ოფისში ნებისმიერ დროს შეიძლება უფასოდ დანაყრება, თანაც, სადილის მოსამზადებლად ცნობილ და ძვირფას მზარეულებს იწვევენ. გარდა ამისა, კომპანიის თანამშრომლებს რამდენიმე მასაჟისტი ემსახურება, თანაც - უფასოდ. ყველას შეუძლია, სამუშაოზე შინაური ცხოველი მიიყვანოს. ამ “სოციალურ პაკეტს" საოცარი პრივილეგია აგვირგვინებს: სამუშაო დროის 20 პროცენტის განმავლობაში თანამშრომლებს შეუძლიათ, რაც სურთ, ის გააკეთონ: ხატონ, წიგნები იკითხონ, იქვე, სპეციალურ დარბაზში ივარჯიშონ... თქმა არ უნდა, რომ Google Inc-ი თავის პერსონალს ძალიან მაღალ ხელფასს უხდის. მოკლედ, ნამდვილი კომუნისტური სამოთხეა.

Google-ში მუშაობა ძალიან პრესტიჟულია. მართალია, მეცნიერებიდან ბიზნესში გადართულ სერგეი ბრინს დოქტორის ხარისხი არ მიუღია, მაგრამ სამუშაოზე სწორედ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორების აყვანას ამჯობინებს.

ამიტომაც არის, რომ Google Inc-ის საქმე მშვენივრად მიდის. გასულ წელს კომპანიის შემოსავალმა 6,14 მილიარდი დოლარი შეადგინა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი კომპანიამ 592,3 მილიონი დოლარის ოდენობის მოგება მიიღო, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 60 პროცენტით მეტია. ეს კი, თავისთავად, უზარმაზარ წინსვლაზე მეტყველებს.

სერგეი ჯერჯერობით დაქორწინებას არ ჩქარობს. მისი თქმით, ამ საქმისათვის მას შემდეგ მოიცლის, როცა ისეთ საძებნ სისტემას შექმნის, რომელსაც ზუსტად ეცოდინება, მომხმარებელს რა სურს.

# “ფრიდომ ტაუერი” მეტისმეტად ძვირი ჯდება



არცთუ დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც ნიუ იორკში დაიწყო “ფრიდომ ტაუერის” მშენებლობა. ეს მემორიალური ცათამბჯენი აღიმართება ზუსტად იმ ადგილას, სადაც 2001 წლის 11 სექტემბრამდე იდგა მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ტყუპი ცათამბჯენი.

წინასწარი შეფასებით, “ფრიდომ ტაუერის” მშენებლობის ღირებულება დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ მისი რეალური ფასი, სულ ცოტა, ორჯერ მეტი მაინცაა. ამასთან დაკავშირებით, პროექტის ავტორები კონსულტაციებს ატარებენ ქალაქის ხელისუფლებასთან.

ნიუ იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა განაცხადა, რომ ბოლოს ჩატარებული შეფასების მიხედვით, შენობა უსაშველოდ ძვირი ჯდება. წინასწარ პროექტში კი ლაპარაკი იყო “მხოლოდ” 500 მილიონ დოლარზე. ამასთან, მერის კრიტიკა დაიმსახურა სპეციალურმა სამსახურმა, რომელიც პასუხისმგებელია ცათამბჯენის მშენებლობისთვის შემოწირული (და არა ინვესტირებული) სახსრების შეგროვებაზე. მის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მშენებლობის დაწყების მომენტში, შეგროვებული იყო საჭირო თანხის დაახლოებით მეოთხედი.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ნგრევისას დაღუპულთა მემორიალის პროექტის შექმნაზე გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვეს არქიტექტორებმა მაიკ არადმა და პიტერ უოკერმა. მათი ჩანაფიქრით, იმ ადგილებზე, სადაც ადრე ტყუპი ცათამბჯენი იდგა, ორი დიდი აუზი აიგება. მათგან წყალი გადაედინება ქვედა იარუსზე, რომლის კედელზეც ამოიტვიფრება ტერაქტების დროს დაღუპული დაახლოებით 3000 ადამიანის სახელი.

მემორიალის შემადგენლობაში შედის “თავისუფლების კოშკი” (ფრიდომ ტაუერი), რომელიც შეავსებს ტყუპების ნგრევის შედეგად წარმოქმნილ სიცარიელეს. “ფრიდომ ტაუერის” სიმაღლე იქნება 1776 ფუტი (541 მეტრი). ცათამბჯენის ფუტებში გამოსახული სიმაღლე ზუსტად შეესაბამება აშშ-ის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების წელს.

წინასწარი ვარაუდით, მემორიალური კომპლექსის მშენებლობა 2009 წელს დასრულდება.

## აშშ-ს ბირჟაზე კლებაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. გარდა იმისა, რომ ინვესტორებმა მოგების ფიქსაცია გადაწყვიტეს, მათ განწყობაზე ნეგატიური გავლენა უკანასკნელი პერიოდის მაკროეკონომიკურ სიახლეებთან დაკავშირებით ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის ისევ გაზრდის შესაძლებლობის საფრთხემ მოახდინა.

კორპორაციული სიახლეებიდან ბირჟაზე გავლენა მოახდინა მსოფლიოს უმსხვილესი სავაჭრო კორპორაცია Wal-Mart-ის მიერ კორეული ბაზრის დატოვების და ამ ქვეყანაში არსებული თავისი მაღაზიების ქსელის კომპანია Shinsegae Co-სათვის 872 მილიონ დოლარად მიყიდვის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,46 პროცენტით, 11.093,01 პუნქტამდე მოიკლო. 1,17 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.168,29 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,66 პროცენტით, 1.258,61 პუნქტამდე შემცირდა.

## მსოფლიოს ორი უმსხვილესი ბირჟა ერთიანდება



ნიუ იორკის საფონდო ბირჟა New York Stock Exchange (NYSE) და საერთოევროპული საფონდო ოპერატორი Euronext სულ მალე შერწყმის შესახებ განცხადების გაკეთებას აპირებენ. წინასწარი ინფორმაციით, გარიგება აქციების გაცვლის გზით განხორციელდება და, შედეგად, შეიქმნება მსოფლიოში პირველი ტრანსატლანტიკური სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც, ამასთანავე, ამჟამად არსებულ ყველა ბირჟაზე დიდი იქნება. უკვე დღეს ექსპერტები მას 20 მილიარდ დოლარად აფასებენ.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, უკანასკნელი დღეების განმავლობაში ორი კომპანიის წარმომადგენლები გარიგების დეტალებზე მსჯელობდნენ. სავარაუდოდ, დღეს მას Euronext-ის დირექტორთა საბჭოზე განიხილავენ.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად Euronext-იც და NYSE-იც თავიანთ შესაძლო პარტნიორად ლონდონის London Stock Exchange PLC (LSE)-ს განიხილავდნენ, მაგრამ საბოლოოდ, არჩევანი ერთმანეთზე შეაჩერეს. ამაში მნიშვნელოვანი როლი NYSE-ს მიერ ამას წინათ LSE-ს აქციების 25 პროცენტის შეძენამ ითამაშა. სწორედ ამის შემდეგ Euronext-მა ბრიტანული ბირჟის შთანთქმა გადაიფიქრა და NYSE-სთან ურთიერთობა გააღრმავა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის მარტში NYSE-მ თავისი კონკურენტი, ელექტრონული სავაჭრო სისტემა Archipelago Holdings Onc 10 მილიარდ დოლარად შეიძინა. სწორედ მას შემდეგ გახდა NYSE ღია სააქციო საზოგადოება და მისი აქციებით საფონდო ბირჟებზე ვაჭრობენ.

დასასრულს დავამატებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია Euronext-ის გერმანული Deutsche Boerse AG-ის შეძენით დაინტერესების შესახებ. აღინიშნებოდა, რომ ამ გარიგების განხორციელებას საერთოევროპული ბირჟის აქციონერები ითხოვდნენ.

## ნავთობის ფასმა კვლავ მოიკლო

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე “შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 68,04 დოლარი ღირდა, Lighტ-ის მარკის ნავთობი კი 67,76 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ექსპერტთა აზრით, ნავთობის გუშინდელი გაიაფება გასულ კვირაში დაფიქსირებული “შავი ოქროს" ფასის კლების ტენდენციის გაგრძელებაა, რაც მეტისმეტად გაზრდილი ფასების გამო ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნილების შემცირებამ გამოიწვია. მათი ვარაუდით, ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ, ნიგერიასა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში შექმნილი სიტუაციის გამო ნავთობის გაიაფება მალე შეწყდება.

## ოპეკი ნავთობის მოპოვების მოცულობას არ გაზრდის

ყატარის ნავთობის მინისტრმა აბდულა ალ ატიამ განაცხადა, რომ 1 ივნისს ვენესუელას დედაქალაქ კარაკასში ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების (ოპეკი) დაგეგმილ თათბირზე მოპოვებული ნავთობის რაოდენობა არ შეიცვლება.

მინისტრის თქმით, უკანასკნელი წლის განმავლობაში ოპეკის წევრი ქვეყნები ნავთობს თავიანთი შესაძლებლობების ზღვარზე მოიპოვებენ, მაგრამ ამას ფასის კლება არ მოჰყოლია. ამასთან, აბდულა ალ ატიამ აღნიშნა, რომ ნავთობის მოპოვების გაზრდისათვის საჭირო მოთხოვნილებაც არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ნავთობის მოპოვების მოცულობის შენარჩუნების მართებულობის შესახებ ამასწინათ ირანის წარმომადგენელმაც ისაუბრა. როგორც ცნობილია, 2005 წლის ივნისის შემდეგ, როცა ოპეკმა დღე-ღამეში მოპოვებული ნავთობის რაოდენობა 2 მილიონი ბარელით გაზარდა, კარტელის წევრი ქვეყნები დღე-ღამეში 28 მილიონ ბარელ “შავ ოქროს" მოიპოვებენ.

### აპრილში საქართველომ რუსეთისგან 59.8 ტონა მარცვლეული შეიძინა

2006 წლის აპრილში საქართველომ რუსეთისგან 59,8 ტონა მარცვლეული შეიძინა.

აპრილში რუსეთიდან სულ 485,4 ათასი ტონა მარცვალი იყო ექსპორტირებული, რაც 37,3 პროცენტით დაბალი მაჩვენებელია წინა თვესთან შედარებით. 2005 წლის აპრილთან შედარებით, ექსპორტის მოცულობამ შემცირდა თითქმის ორჯერ. რუსული პურის მარცვლის მყიდველები 2006 წლის აპრილში იყვნენ: ეგვიპტე - 142 ათასი ტონა, ბანგლადეში - 85,4 ათასი ტონა, საქართველო - 59,8 ტონა, ალბანეთი - 23,9 ათასი ტონა და აზერბაიჯანი - 20,8 ათასი ტონა. აპრილის მონაცემებით, პურის მარცვლის საექპორტო ფასმა ტონაზე 125 აშშ დოლარი შეადგინა. 2006 წლის აპრილში რუსეთიდან ქერის ექსპორტმა შეადგინა 64,8 ათასი ტონა. მარტთან შედარებით, მთლიანი მოცულობა 1,8-ჯერ შემცირდა. აღნიშნული მოცულობა ორჯერ დაბალია ქერის ექსპორტის 2005 წლის აპრილის მოცულობასთან შედარებით. რუსული ქერის ძირითადი მყიდველები აპრილში იყვნენ: საუდის არაბეთი - 32,2 ატასი ტონა, საბერძნეთი - 11,1 ათასი ტონა, ლიბანი - 5,8 ათასი ტონა და უკრაინა - 3,7 ათასი ტონა. აპრილის საექპორტო საშუალო ფასმა ქერზე შეადგინა 113, აშშ დოლარი ერთ ტონაზე. 2005-06 წლის ივლის-აპრილში რუსეთიდან ექსპორტირებული იყო 1,5 მილიონი ტონა ქერი. 2004-05 წლების ანალოგიურ პერიოდში კი 932,1 ათასი ტონა. ამასთან, აპრილში იმპორტირებული იყო 19,3 ათასი ტონა ქერი. ძირითადი მოცულობა შევიდა დანიიდან - 8,1, ათასი ტონა, ყაზახეთიდან - 4,4, ათასი ტონა, შვედეთიდან და ფინეთიდან - 2,4 და 2,2 ათასი ტონა. აპრილში რუსეთში შეტანილი იყო 36 ათასი ტონა სიმინდი. ძირითადი მოცულობა უკრაინიდან შევიდა - 30,5 ათასი ტონა. სულ 7 თვის განმავლობაში რუსეთში იმპორტირებული იყო 127,1 ათასი ტონა სიმინდი, 2004-2005 წლების ანალოგიურ პერიოდში კი - 149 ათასი ტონა. 2004-2005 წლების ანალოგიურ პერიოდში 86,2 ათასი ტონა მარცვლეული იყო შეტანილი უკრაინიდან. 2006 წლის აპრილში რუსეთში იმპორტირებული იყო 35,1 ათასი ტონა ბრინჯი. რუსეთის ძირითადი მიმწოდებელი იყო პაკისტანი - 10,6 ათასი ტონა, ტაილანდი - 6,6, ტონა, ვიეტნამი 6,5, ათასი ტონა და ეგვიპტე 4, 1 ათასი ტონა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### წლის ბოლოს საქართველოში ბრიტანელი ბიზნესმენების ჯგუფი ჩამოვა

გუშინ ზურაბ ნოღაიდელი გაერთიანებული სამეფოს ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს შეხვდა. ბრიტანეთის მრეწველთა კონფედერაციის გენერალურ დირექტორთან სერ დიგბი ჯონსთან შეხვედრისას მხარეებმა ინგლისური ბიზნესის საქართველოში მუშაობის პირობები განიხილეს. პრემიერ-მინისტრმა ქვეყანაში გატარებული და მიმდინარე რეფორმებისა და მათ შედეგად შექმნილი საინვესტიციო გარემოს შესახებ ისაუბრა. შეხვედრას ინგლისელი ბიზნესმენებიც ესწრებოდნენ, რომელთა ნაწილიც წარმატებით საქმიანობს საქართველოში. მათი შეფასებით, ბოლო დროს, საქართველოს მთავრობის საგადასახადო რეფორმის შედეგად, საქართველოში ბიზნესის წარმოება მნიშვნელოვნად გაადვილდა. ჯონსმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოში მოღვაწე ბრიტანელი ბიზნესმენების დადებითი გამოცდილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ინგლისური კაპიტალის მოზიდვას.

დაიგეგმა, რომ წლის ბოლოს საქართველოს ბრიტანელი ბიზნესმენების დიდი ჯგუფი ეწვევა, რომლებიც ინვესტირების შესაძლებლობებს ადგილზე გაეცნობიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ფრანგული ბანკი ქართული ბანკის აქციებს ყიდულობს

ფრანგული ბანკი "Societe Generale" ქართული ბანკ "რესპუბლიკის" აქციების 60 პროცენტის შესყიდვას აპირებს, - ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ ლონდონში სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. გოცირიძე დიდ ბრიტანეთში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეხვედრაზე იმყოფება. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა უარი განაცხადა, დაესახელებინა იმ თანხის მოცულობა, რომელიც ფრანგმა ბანკირებმა "რესპუბლიკას" მაისში თბილისში ვიზიტის დროს შესთავაზეს.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში სიდიდით მეორე "Societe Generale" ცდილობს, ფეხი მყარად მოიკიდოს განვითარებად ქვეყნებში. მან უკვე შეისყიდა რუსული ბანკი "დელტაკრედიტი", ჩერნოგორიაში Podgoricka Bank-ი და ნასყიდობის ხელშეკრულება ხორვატიულ ბანკთან Splitska Bank-ი გააფორმა. ფრანგული ბანკი ოპერაციებს რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთსა და სლოვენიაშიც ახორციელებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ამინდი

| | 23/05 | 24/05 | 25/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 25 | 30 | 20 |
| რიგა | 17 | 17 | 13 |
| ვილნიუსი | 20 | 20 | 16 |
| მოსკოვი | 22 | 20 | 17 |
| მინსკი | 25 | 21 | 20 |
| პარიზი | 16 | 11 | 15 |
| რომი | 31 | 27 | 28 |
| ლონდონი | 10 | 10 | 14 |
| მადრიდი | 22 | 26 | 30 |
| ბონი | 13 | 13 | 11 |
| ვარშავა | 22 | 22 | 18 |
| ათენა | 29 | 31 | 31 |
| ბერნი | 15 | 19 | 20 |
| ამსტერდამი | 11 | 8 | 12 |
| ოსლო | 12 | 7 | 10 |
| ანკარა | 30 | 30 | 32 |
| ვარნა | 27 | 26 | 30 |
| დელი | 48 | 52 | 46 |
| ტოკიო | 22 | 26 | 26 |
| კოპენჰაგენი | 7 | 7 | 4 |
| ბაქო | 27 | 27 | 28 |
| ერევანი | 30 | 30 | 30 |
| ასტანა | 23 | 22 | 22 |
| ჰელსინკი | 11 | 5 | 10 |
| დუბლინი | 6 | 8 | 10 |
| ლისაბონი | 21 | 23 | 24 |
| პრაღა | 15 | 18 | 14 |
| სოფია | 33 | 31 | 26 |
| ბუდაპეშტი | 26 | 14 | 25 |
| ბუხარესტი | 32 | 31 | 28 |

# 2002-2005 წლებში მომუშავეთა რაოდენობა 94 ათასით შემცირდა

პირველი გვერდიდან

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი უმუშევრობის დონის გაანგარიშებისას, პირველ რიგში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და დეფინიციებს ეყრდნობა. სტანდარტის მიხედვით, უმუშევრად ითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ არის დასაქმებული, ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებს სამუშაოს და შოვნის შემთხვევაში მზად არის, მუშაობას შეუდგეს. დეპარტამენტში იმასაც აზუსტებენ, რომ სამუშაოდან გამოთავისუფლებულებში არიან ისეთი პირები, რომელნიც არ ეძებენ სამუშაოს, მაგრამ ამ უკანასკნელის გამოჩენის შემთხვევაში მზად არიან, შეუდგნენ მუშაობას. მოსახლეობის ეს კატეგორია არ შედის უმუშევრების რიცხვში, რადგან არ წარმოადგენს ქვეყნის ფაქტობრივ სამუშაო ძალას, შესაბამისად, უმუშევრად ვერ ჩაითვლება.

სტატისტიკის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ მომუშავეთა შემცირება ქვეყანაში უმუშევრობის ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია და არა ერთადერთი. **"ალბათ, ეს იყო იმ გაუგებრობის მიზეზი, რომ ზოგიერთი პარლამენტარის მიერ 2002-2005 წლებში მომუშავეთა რიცხოვნობის 94.6-ათასიანი შემცირება აღქმული იქნა, როგორც უმუშევრობის ამავე რიცხვით ზრდა,"** - აცხადებს დეპარტამენტის თავმჯდომარე ზაზა ბროლაძე.

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული გამოკვლევების შედეგად 2005 წელს უმუშევართა რიცხვმა 279 ათას 300 კაცი შეადგინა, რაც 2002 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, მხოლოდ 14 ათას 300 კაცითაა გაზრდილი და არა 100 ათასით. რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, მან 2005 წელს 13.8 პროცენტი შეადგინა, რაც 2002 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, მხოლოდ 1.2 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი.

**"სტატისტიკის დეპარტამენტში გრძელდება სტრუქტურულ-ინსტიტუციური რეფორმები, რათა საზოგადოებას მიაწოდოს უტყუარი სტატისტიკური ინფორმაცია. თუმცა წინა პერიოდის მაჩვენებლების გადაანგარიშება ტექნიკურად შეუძლებელია და დეპარტამენტი იძულებულია, შესადარებლად ძველი ციფრები გამოიყენოს,"** - აცხადებენ დეპარტამენტში.

სტატისტიკის დეპარტამენტში გამოთქვამენ მზადყოფნას, კონსულტაცია ნებისმიერ პოლიტიკოსსა თუ ეკონომიკის ექსპერტს გაუწიონ, სანამ ისინი ოფიციალურ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით საჯარო განაცხადებს გააკეთებენ.

# "აეროფლოტმა" არჩევანი A-350-ზე გააკეთა

მერაბ ლორთქიფანიძე

რუსეთის უდიდეს ავიაკომპანია "აეროფლოტს" 2014 წლამდე გადაწყვეტილი აქვს 22 ავიალაინერ A-350-ის შეძენა. კომპანიის დირექტორთა საბჭომ თავისი არჩევანი სწორედ ევროპულ ლაინერზე გააკეთა და არა ამერიკულ "ბოინგ 787 დრიმლაინერზე", რომლის შეძენასაც მანამდე აპირებდა. ახალი ლაინერების შესაძენად სულ სამი მილიარდი დოლარია გამოყოფილი.

ოღონდ, "ეარბასისთვის" ოფიციალური შეკვეთის მიცემა ჯერჯერობით შეყოვნდა, რადგან "აეროფლოტის" ხელმძღვანელობა ელოდება შავ ზღვაში ჩავარდნილი სომხური ავიაკომპანიის კატასტროფის მიზეზების დადგენას.

ევროპული A-350 და ამერიკული "787 დრიმლაინერი" ერთი კლასის, დიდი ზომის ლაინერებია. თავიდან "აეროფლოტი" ამერიკული ლაინერის შეძენას აპირებდა, რადგან ამ თვითმფრინავის გაყიდვები 2008 წელს დაიწყება. თანაც, ამ თვიმფრინავს უნიკალური მახასიათებლები გააჩნია. მისი ევროპული კონკურენტი კი ბაზარს ორი წლით გვიან ეწვევა. მაგრამ რუს მენეჯერთა გადაწყვეტილებაზე პოლიტიკურმა ფაქტორმა იქონია გავლენა.

ეს ფაქტორი კი მდგომარეობს იმაში, რომ აშშ ხისტ პოზიციას იკავებს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. თავიანთი გადაწყვეტილებით კი, "აეროფლოტის" მენეჯერები ამერიკულ ავიამწარმოებელ გიგანტს რამდენიმემილიარდიან კონტრაქტს აკარგვინებენ.



რუსეთი 22 ავიალაინერ A-350-ის შეძენას აპირებს.

"აეროფლოტმა" შორეულმაგისტრალური თვაითმფრინავების შეძენაზე ტენდერი შარშან გამოაცხადა, მისი შედეგები კი მარტში უნდა გამოცხადებულიყო. მანამდე "ეარბასმა" რუსულ კომპანიას მასთნ კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, 100 მილიონდოლარიანი ფასდაკლება შესთავაზა.

წინასწარი მონაცემებით, ერთი "787 დრიმლაინერი", რომელსაც 210-290 მგზავრის გადაყვანა შეუძლია, 132-150,2 მილიონი დოლარი ეღირება. A-350 უფრო ძვირია - 150-160 მილიონი დოლარი ღირს, მაგრამ სამაგიეროდ, მისი ტევადობაც კონკურენტისაზე მეტია - ამ ლაინერით შესაძლებელია რეისზე 253-300 მგზავრის გადაყვანა.

# ჩინური ავტოკომპანია საკუთარ ბრენდს ქმნის

უდიდესმა ჩინურმა საავტომობილო კომპანია "შანხაი ოტომოტივ ინდასტრი კორპორეიშნმა" (SAIC) გამოაქვეყნა საკუთარი გეგმები, რომლებიც კომპანიის საკუთარი მარკის შექმნას და ამ მარკით ჩინეთისა და უცხოეთის ბაზრებზე საქმიანობის დაწყებას ითვალისწინებს. ამჟამად კი SAIC მხოლოდ ჩინურ ბაზარზე მუშაობს, სადაც მისი უმსხვილესი პარტნიორები არიან "ჯენერალ მოტორსი" და "ფოლკსვაგენი".

პირველი ავტომობილი, რომელსაც SAIC ახალი ბრენდით გამოუშვებს, არის ინგლისურ მოდელ "როვერ 75-ზე" ბაზირებული დიდი ზომის სედანი. ცნობისათვის, SAIC-მა ინგლისური მარკის ორი მოდელის, 75-ის და 25-ის წარმოების უფლება მაშინ მოიპოვა, როცა ინგლისურმა "MG როვერმა" კოლაპსი განიცადა.

SAIC-ს უკვე დამზადებული აქვს თავისი ახალი სედანის რამდენიმე პროტოტიპი, რომლებიც უსაფრთხოებაზე ტესტირების კურსს გადიან. "MG როვერის" ინტელექტუალური საკუთრების ფლობის გარდა, SAIC-მა გადაიბირა გაკოტრებული ინგლისური კომპანიის წამყვანი ინჟინრები, რომლებიც ახლა მასზე მუშაობენ. ერთ-ერთი მათგანია დევიდ ლინდლი, ვინც ახლა SAIC-ის მთავარი ინჟინერიცაა და იმავდროულად, ჩინურ კომპანიას დასავლეთ ევროპაში წარმოადგენს.

75-ის წარმოება წელსვე უნდა დაიწყოს. მისი გაყიდვები კი დაიწყება. მერმისვე კომპანია ავტომობილს ექსპორტზე გაიტანს.



SAIC-ს უკვე დამზადებული აქვს თავისი ახალი სედანის რამდენიმე პროტოტიპი.

"პირველ რიგში, ამ ავტომობილს იქ გავიტანთ, სადაც ადრე "MG როვერი" მუშაობდა. ესაა გაერთიანებული სამეფო და შესაძლოა, ესპანეთიც. შემდეგ კი ჯერი აშშ-სა და იაპონიაზეც მიდგება", - ამბობს "SAIC მოტორ მანუფაქტურინგ კომპანის" წარმომადგენელი ენდი ჩენი. ცნობისათვის, აღნიშნული კომპანია არის SAIC-ის დივიზიონი, რომელიც ჩინური კომპანიის ბრენდის შემუშავებასა და ბაზარზე წამოწევაზეა ორიენტირებული.

ახალი კომპანიის მეორე ავტომობილი იქნება საოჯახო სედანი, რომელიც ასევე ინგლისურ 75-ის პლატფორმაზეა ბაზირებული. ახლა ამ ავტომობილის პროტოტიპიც შექმნის ბოლო სტადიაშია, რის შემდეგაც მასაც ჩაუტარდება ტესტირება.

რაც შეეხება ახალი ბრენდის სახელს, SAIC-ს ის ჯერ მოფიქრებული არ აქვს. მოსალოდნელია, რომ არჩევანი ივნისის ბოლომდე გაკეთდება. წინასწარი ვარაუდით, ახალი კომპანიის სახელი შეიძლება იყოს "შანხაი", ან "ფინიქსი". ყოველ შემთხვევაში, ეს ორი ვარიანტი ყველაზე ინტენსიურად განიხილება.

SAIC მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ხუთი ახალი მოდელის წარმოების ათვისებას აპირებს. აქედან ერთი აუცილებლად ჰიბრიდული აგრეგატებით იქნება აღჭურვილი. მათი ფასები კი 65 000-დან 300 000 იუანამდე (8 110-37 500 დოლარი) იქნება.

SAIC-ის გეგმაში 2010 წლისთვის დაახლოებით 200 000 ავტომობილის გაყიდვა (წლიურად) შედის, თაქედან კი 50 000 ექსპორტზე გავა. ამასთან, კომპანია წელსვე დაიწყებს საშინაო და საგარეო სადილერო ქსელის ჩამოყალიბებას.

ახალი კომპანია თავის ავტომობილებს გამოუშვებს პროვინცია ძიანსუს ქალაქ იჭენის ქარხანაში, რომელიც შანხაიდან რამდენიმე საათის სავალზეა. გარდა ამისა, შენდება ახალი ქარხანა შანხაის გარეუბანში, სადაც ასევე მდებარეობს SAIC-ისა და "ფოლკსვაგენის" ერთობლივი საწარმო. 2010 წლისთვის ქარხნის წარმადობა წლიურად 300 000 ავტომობილს და 400 000 ძრავს მიაღწევს.

### დსთ-ს რამდენიმე ქვეყანაში, შესაძლოა, ერთიანი ვალუტა შემოვიდეს

"ევრააზეს"-ის ქვეყნებში პერსპექტივაში შესაძლებელია ერთიანი ვალუტის შემოღება, - განაცხადა ორგანიზაციის სახელმწიფოთაშორისო საბჭოს მთავრობის ხელმძღვანელების შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მიხეილ ფრადკოვმა. პრემიერ-მინისტრის თქმით, ერთიანი ვალუტის შემოღება "ევრააზესის" ფარგლებში ინტეგრაციის პროცესის დასრულება იქნება. მანამდე საჭიროა საბაჟო კავშირის, ერთიანი საბაჟო ტერიტორიის შექმნა და ეკონომიკური ურთიერთობების სინქრონიზება, - წერს რუსული გაზეთი "ახალი იზვესტია". "ევრააზეს"-ში გაერთიანებულია რუსეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი. სომხეთს, მოლდოვას და უკრაინას ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსი აქვთ მინიჭებული. ფრადკოვმა აღნიშნა, რომ ამჟამად მიდის მომზადება ერთიანი ვალუტის შემოსაღებად რუსეთის და ბელორუსის ტერიტორიაზე. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### განჯის საავტომობილო ქარხნით ჩინელები დაინტერესდნენ

განჯის საავტომობილო ქარხნით ჩინელები დაინტერესდნენ. აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "ტრენდის" ინფორმაციით, სატვირთო ავტომობილების მწარმოებელი ჩინური კომპანია სიანგანის" წარმომადგენლები მოლაპარაკებებს გამართავენ განჯის საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელობასთან, სადაც აზერბაიჯანული ქარხნის ბაზაზე ჩინური ავტომობილების წარმოების საკითხს განიხილავენ. "ტრენდის" ინფორმაციით, 1,5 თვის განმავლობაში განჯის ქარხანაში ჩინეთიდან მანქანების სათადარიგო ნაწილები ჩავა, რის შემდეგაც ავტომანქანების აწყობა კონტრაქტების საფუძველზე დაიწყება. მხარეებს შორის მარტში გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, აზერბაიჯანში მოხდება ნახევრად სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების და მიკრო-ავტობუსების აწყობა. პროდუქციის რეალიზაცია მოხდება არა მარტო აზერბაიჯანში, არამედ დსთ-ს სივრცეშიც. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### უწერაში მდებარე სანატორიუმი "ფაზისი" 300 000 დოლარად იყიდება

ონის რაიონის კურორტ უწერაში მდებარე ს/ს სანატორიუმი "ფაზისი" 300 000 დოლარად იყიდება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დღეს ონის რაიონში, კურორტ უწერაში მდებარე სანატორიუმ "ფაზისის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 99,8 პროცენტის პრივატიზების მიზნით აუქციონი გამოაცხადა. სანატორიუმის საწესდებო კაპიტალი 256 728 ლარს შეადგენს.

დაინტერესებულთათვის განცხადებების მიღება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დღეიდან დაიწყო და 22 ივნისამდე გაგრძელდება. ტენდერი 22 ივნისს, 18.00 საათზე ჩატარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გოცირიძემ EBRD-ის ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ მონაწილეობა მიიღო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წლიურ შეკრებაში, რომელიც ლონდონში გაიმართა. როგორც პრაიმ-ნიუს ბიზნესს სებიდან აცნობეს, შეკრებასა და ბიზნესფორუმს სხვადასხვა ქვეყნის სამთავრობო დელეგაციებისა და წამყვანი საერთაშორისო კომპანიების რამდენიმე ათასი წარმომადგენელი დაესწრო. სებ-ის ინფორმაციით, რომან გოცირიძე ორშაბათს ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანას ეწვევა, სადაც ამჟამად მიმდინარეობს მიმოქცევისათვის განკუთვნილი ორი ლარის ნომინალის მონეტების დამზადება. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გაეცნობა სამუშაოებს, საბოლოოდ შეათანხმებს მონეტის მოდელს, რომლის საფუძველზეც მოხდება აღნიშნული მონეტების გამოშვება. მათ საქართველოში 2006 წლის მეორე ნახევარში ჩამოიტანენ. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ბრავო, ჰენრიკ, შე ძველო!




C2

კლინსმანი ნანობს, რომ რონალდინიოს გერმანელი ბებია არ ჰყავს



C3

მესამე და სამართალი



C4




სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15





## ჰელსინკიდან ტამპერემდე

### ქართველი ძიუდოისტები ფინურ ტატამზე



*მსოფლიო თასის ეტაპებზე წარმატებებმა ცირეკიძეს ევროპის ჩემპიონატის საგზური მოუტანა.*

*17-წლიანი პაუზის შემდეგ ფინეთში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი ბრუნდება. 1989 წელს ძიუდოისტთა კონტინენტის პირველობას ჰელსინკმა უმასპინძლა. ახლა კი ტამპერეს ჯერი დადგა. სპორტული თვალსაზრისით ქალაქი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მას ფინეთის სპორტის საბრძოლო ხელოვნებათა (კრივი, ჭიდაობები) ქალაქს უწოდებენ. ჩვენთვის კი 1989 წლის ჰელსინკის ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი იმითაა აღსანიშნავი, რომ მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელით ამირან ტოტიკაშვილმა (60კგ.) და კობა კურტანიძემ (95კგ.) ოქროს, ხოლო გიორგი თენაძემ (71კგ.) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ქართველი ძიუდოისტები ისევ ფინეთის გზას ადგანან.*

გიგა გურასაშვილი

ევროპის ჩემპიონატამდე (26-28 მაისი) საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს საკმაო დრო ჰქონდა იმისთვის, რომ ბიჭები საქმეში ენახა და შემდეგ კონტინენტის პირველობისთვის ოპტიმალური ვარიანტი შეერჩია. ხაბარელმა ნაკრების წევრთა ვინაობა გზადაგზა, მსოფლიო თასის ეტაპებზე გამოავლინა და გუნდიც ჩამოაყალიბა. შვიდეულის გაცნობისას, პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, ის არის, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური ევროპული ტატამის მიღმა დარჩა, რაც მისასალმებელიცაა. იმის თქმა მინდა, რომ ნაკრებში ადგილი არავის აქვს დაბევებული, მათ შორის არც ზვიადაურს. თუმცა ამასაც აქვს თავისი მიზეზები. ჯერ ის, რომ ზურაბს კარგა ხანს ტრავმა ჰქონდა. მერე ის, რომ ტრავმის მოშუშების შემდეგ ფორმაში შესასვლელად დრო არ ეყო. ამის დასტურია ისიც, რომ ლისაბონის მსოფლიო თასზე (15-16 აპრილი), რომელმაც ბევრი ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატის წინ ერთგვარი გენერალური რეპეტიციის დატვირთვა შეიძინა, წარუმატებლად იასპარეზა - მეხუთე ადგილი. და კიდევ, ზვიადაურის კონკურენტი ირაკლი ცირეკიძე წლეულს აშკარად კარგ ფორმაშია, რაც არაერთხელ დაამტკიცა კიდეც მსოფლიო თასის ეტაპებზე, მათ შორის ლისაბონშიც, რომელიც საუკეთესო შედეგით დატოვა (სხვათა შორის, ცირეკიძემ შარშან ევროპის ჩემპიონატი მეხუთე ადგილით დაასრულა.-რედ.).

ერთი სიტყვით, ცირეკიძემ ალალად დაიმსახურა ტამპერეში წასვლის უფლება. როდესაც შიდაკონკურენციაზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მძიმეწონოსანთა ევროპის ჩემპიონატის საგზურებიც ლისაბონის ტატამზე გათამაშდა. უფრო სწორად, შოთა ხაბარელს ტამპერეში წამსვლელის ვინაობა ზვიად ხანჯალიაშვილსა და ლაშა გუჯეჯიანს შორის უნდა გამოევლინა. მოხდა ისე, რომ მსოფლიო თასის ბოლო ეტაპზე ხანჯალიაშვილისა და გუჯეჯიანის გზები ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში გადაიკვეთა. მესამე ადგილი გუჯეჯიანმა მოიპოვა და ტამპერეშიც ის უნდა წასულიყო. ყოველ შემთხვევაში, გუშინდლამდე ასე იყო ცნობილი. გუშინ კი გაირკვა, რომ გუჯეჯიანს ნიკრისის ქარი დაემართა. ერთი სიტყვით, გუჯეჯიანის ნაცვლად ფინეთში ხანჯალიაშვილი მიდის!

ტამპერეში წამსვლელები სხვა წონით კატეგორიებში მეტნაკლებად მშვიდ ატმოსფეროში გამოვლინდნენ. ამ მხრივ, ლისაბონის მსოფლიო თასამდე ევროპის საგზურები წინასწარ დაიბევეს ნესტორ ხერგიანმა (60კგ.), ზაზა კედელაშვილმა (66კგ.) და 2005 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელმა დავით ქევხიშვილმა (73კგ.). ფაქტობრივად, იგივე სურათი იყო 81 და 100 კგ წონებშიც, მაგრამ ხაბარელმა საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მას შემდეგ მიიღო, როდესაც გრიგოლ მამრიკიშვილმა (81კგ.) და გიორგი ყიზილაშვილმა (100კგ.) ლისაბონში ფინალებამდე გაიკვალეს გზა.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ზეგ მიემგზავრება.




# ბრავო, ჰენრიკ, შე ძველო!

ჩემპიონთა ლიგის ფინალმა ბევრი სალაპარაკო დაუტოვა სოკერის ქართველ მოყვარულებს. უმეტესად ასეც ხდება, ყველა მნიშვნელოვან თამაშს მთელ მსოფლიოში მოსდევს სხვადასხვა ხანგრძლივობის მიმოხილვები, თუმცა არსად ისე წვრილად, დეტალურად და უნივერსალურად არ აშალაშინებენ მატჩს, როგორც აქ, მზის და ვარდების მხარეში.

მიმოხილვები ძირითადად რამდენიმე თავად დაიყო: რასაკვირველია, პირველი კითხვის ნიშანი დაესვა პარიზული თამაშის ტოტალიზატორებთან კავშირს. ეს უკვე ქართული სენია, გამოწვეული სრული უმეცრებითა და ფეხბურთში ჩაუხედაობით. პირადად არ შევსწრებივარ, მაგრამ რომელიმე საბუკმეკერო კანტორასთან ატუზული ჯეელი აუცილებლად იტყოდა, რომ ვენგერმა დაურეკა კრუიფს (არავითარ შემთხვევაში რაიკარდს, რადგან ეს ჯერ ახალი კაცია და აზზე არ არის, როგორ ხდება მსგავსი ამბები) და უთხრა, მოდი ტაიმბოლი გავაგოროთ, დიდი მაყუთი გაიჭრებაო. კრუიფი ჯერ უარზე იყო (მსგავსი ამბების მთხრობელნი ყოველთვის დეტალებზე აკეთებენ აქცენტს, რათა მონაყოლი ბოლომდე დამაჯერებელი იყოს), მაგრამ მერე კატალონიური მაფიის ბოსებმა დაურეკეს და ყველაფერი მოგვარდა.

თამაშამდე ბევრი ლაპარაკი იყო რონალდინიოსა და ანრის დაპირისპირებაზე და ეს საკითხი დღემდე აქტუალურია. არადა, აქ ბევრი არაფერია საკამათო - ვერც ერთმა ვერ გაიბრწყინა ისე, როგორც ჩვენ გვინდოდა, მაგრამ ორივე მაინც მთავარი ფიგურა იყო. ანრიმ ძალიან ბევრი იმუშავა, გააკეთა საგოლე პასი, მაგრამ ორი ისეთი მომენტი მიახურდავა, 16 წლის ბავშვსაც რომ არ ეკადრება. უამრავი ხარვეზი ჰქონდა რონალდინიოსაც. მერე რა, რომ ლონდონელები სწორედ მისი დამალული პასის წყალობით დარჩნენ ათნი. როდესაც ამ დონის ფეხბურთელი გქვია, ფინალში ცოტა მეტი გევალება, ფინალი შენ უნდა მოიგო.

თუმცა „ბარსელონა" იმიტომაა სეზონის საუკეთესო კლუბი, რომ იქ რამდენიმე ზღაპრული ფეხბურთელი თამაშობს და საბოლოოდ ერთ-ერთმა მათგანმა მაინც მოახერხა არსენ ვენგერის აშენებული კედლის გახვრეტა. ამ ადამიანს ჰენრიკ ლარსონი ჰქვია.

შვედი ისე შევიდა თამაშში, როგორც რომელიმე თბილისური ეზოს დაბერებული ლეგენდა, რომელზეც ხშირად ყვებიან სამაგალითო ამბებს. როდესაც პირველად მოვკარი თვალი, მეგონა, სამზოლიანი სპორტული შარვალი ეცვა და უშუალოდ შესვლამდე გადააგდო სიგარეტი, როგორც ჩვენთან ხდება - მარშუტკა უახლოვდება ტიპს, რომელსაც ეს უხარია და სწრაფ-სწრაფად ურტყამს რამდენიმე განმგმირავ ნაფაზს, რათა კალხოზნიდან დელისამდე სიგარეტის არსებობაც კი არ გაახსენდეს.

პარიზის ფინალი ჰენრიკ ლარსონმა მოიგო! სულ რამდენჯერმე შეეხო ბურთს, ისიც მინიმალურად და აქედან ორი ბილიარდისებური პასი გოლით დამთავრდა. აიკიდა ბებრული ყვითელი მოწინააღმდეგის საჯარიმოში, როცა რომელიღაც არსენალელს მაისურზე დაქაჩა. ეს არ იყო ჩვეულებრივი ყვითელი, ისევე როგორც ის ორი საგოლე პასი - ამ ეპიზოდებში, ამ რამდენიმე წუთში გახლდათ აკუმულირებული მთელი მისი გამოცდილება და პროფესიონალიზმი: ასობით გოლი, მოედანზე გატარებული ათასობით წუთი, ორი საზარელი ტრავმა, რომელთა გადატანაც მხოლოდ ლარსონს თუ შეეძლო და ამ ყოველივედან გამომუშავებული საფეხბურთო ინტელექტი, რომელმაც „ბარსელონას" მეორე ჩემპიონთა თასი მოუტანა. ბრავო, ჰენრიკ!

განიხილა ტერიე ჰოგის საკითხიც. ძირითადი ბრალდებები ასეთი გახლდათ - არ უნდა გაეგდო ლემანი და ეტოომ თამაშგარედან შეაგდო. პირველ შემთხვევაში არბიტრს კლასი, მოთმინება არ ეყო, თორემ ანგარიში გაიხსნებოდა და რიცხობრივი თანაფარდობაც არ დაირღვეოდა. ანუ ვნახავდით უფრო კარგ ფეხბურთს. მან ნაადრევად დაუსტვინა და რახან დაუსტვინა, სხვა გზა აღარ ჰქონდა, ლემანი უნდა გაეგდო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. რაც შეეხება ეტოოს ოფსაიდს, იმ მომენტში ყველაფერი წამის მეათასედში მოხდა. პირადად მე მგონია, რომ თამაშგარე არ ყოფილა და რომ ყოფილიყო კიდეც, ეს გვერდით მსაჯს უნდა შეემჩნია. აი, რაშიც ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, არის ის, რომ ჯარიმა, საიდანაც ანრიმ კემპბელს ბურთი თავზე დაასკუპა, სულაც არ იყო ჯარიმა.

თბილისში ვერც ლემანის შემცვლელ ალმუნიას აუარეს გვერდი და, ჩემდა გასაკვირად, ბევრი ირწმუნება, მაგრად იდგა, გოლები მაგის ბრალი არ ყოფილაო. ესპანელი პირველ გოლამდე მართლაც გადასარევად მუშაობდა, მაგრამ როდესაც ყველა დაიღალა და ნაღდი ყომარი წავიდა ფსიქოლოგიური წნეხის თანხლებით, ალმუნიას ნერვებმა უმტყუნა. მან გაუშვა ორჯერ, ახლო კუთხეში და „დირკაში". მეორე კიდევ ჰო, მაგრამ ეტოოს შემთხვევაში კუთხე აუცილებლად უნდა დაეკეტა. ბარემ აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჟულიანო ბელეტიმ 17 მაისს „ბარსას" შემადგელობაში პირველი გოლი გაიტანა.

ყოველივეს მიუხედავად, არ მგონია, ფინალით ვინმე უკმაყოფილო დარჩენილიყო. თუნდაც იმიტომ, რომ პარიზში სეზონის აშკარად ორი საუკეთესო გუნდი შეხვდა ერთმანეთს. ეს კი იშვიათობაა. მოიგო ღირსეულმა, ულამაზესმა „ბარსელონამ", მაგრამ ამ შემთხვევაში მინდა გულახდილი აპლოდისმენტები მივუძღვნა ლონდონის „არსენალს", რომელმაც საკვირველი ჯიგრით იომა. მადლობა არსენ ვენგერს შესანიშნავი გუნდის შექმნისთვის და მადლობა ანრის იმ გულწრფელი კოცნისთვის, რომელიც ლუდოვიკ ჟიულის კისერზე მოკალათებულ უმცროს ჟიულის მიუძღვნა. ფეხბურთი მხოლოდ 90 წუთით არ შემოიფარგლება...

მომავალ სამშაბათამდე

# „ბორჯომი 2006" „ბორჯომი 2014"-ის მხარდასაჭერად

შაბათ-კვირას ბორჯომში დიდი ჟრიამული იყო. 20-21 მაისს ბორჯომი ახალგაზრდული კლუბების ოლიმპიადას „ბორჯომი 2006-ბორჯომი 2014" მასპინძლობდა.

ოლიმპიადაში მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სკოლების ბაზაზე დაარსებული 20 ახალგაზრდული კლუბი იღებდა მონაწილეობას. მათ საკუთარი გუნდები წარმოადგინეს ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

ფეხბურთში პირველი ადგილი რუსთავის ნაკრებმა დაიკავა, მეორე - ხაშურმა და მესამე - ბათუმმა. კალათბურთში ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი - ტყიბული, მეორე - ხაშური, მესამე - ქუთაისი. ფრენბურთი: პირველი ადგილი - მარნეული, მეორე - თბილისი და მესამე - ზესტაფონი. სპორტის დანარჩენ სახეობებში პრიზიორები გახდნენ:

შთამბეჭდავი და საინტერესო იყო ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალი, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა. გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალს წინ უსწრებდა ფეხბურთში ამხანაგური მატჩი კლუბის წევრებს, ჟურნალისტებს, ოლიმპიადის ორგანიზატორებსა და მოწვეულ სტუმრებს შორის. ოლიმპიადა საქართველოს გაეროს ასოციაციისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით, პროგრამის „ვაშენოთ მომავლის" ფარგლებში ჩატარადა.

პროგრამა დაფინანსებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოზარდებს ჩაერთონ ქვეყნის დემოკრატიის მშენებლობასა და სტაბილურ განვითარებაში.

ხუთწლიანი პროგრამის განხორციელება დაიწყო 2004 წლის ოქტომბერში და მოიცავს რეგიონებს: თბილისი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო, აჭარა და აფხაზეთი. პროგრამა საქართველოს გაეროს ასოციაციისა და სოხუმის მოზარდთა სახლის (აფხაზეთი) მიერ ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში შეუძლიათ ჩაერთონ 15-17 წლის სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის მოზარდები.

*24 საათი*



*პრიზიორები გიორგი ასანიძემ დააჯილდოვა.*

**მაგიდის ჩოგბურთი**

**ბიჭები**
I ადგილი - ლევან მელქუაშვილი, ბორჯომი
II ადგილი - ლექსო ოქრომელიძე, ბორჯომი
III ადგილი - ბადრი გამყრელიძე, ტყიბული

**გოგონები**
I ადგილი - ხატია გუნაშვილი, ბოლნისი
II ადგილი - ანა ღლონტი, ქობულეთი
III ადგილი - თინათინ არსენიძე, ტყიბული

**ჭადრაკი**

**ბიჭები**
I ადგილი - მალხაზ ჩხარტიშვილი, თბილისი
II ადგილი - ბექა ოდიშარია, სენაკი
III ადგილი - პეტრე ძინძიბაძე, ჭიათურა

**გოგონები**
I ადგილი - თათია კობახიძე, ჭიათურა
II ადგილი - თამუნა ტყებუჩავა, სენაკი
III ადგილი - მაკა ტყაბლაძე, ქუთაისი

# ბექჰემი ნევროზით იტანჯება

მარი ჯავახიშვილი

ინგლისის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს დევიდ ბექჰემს დიდი წარდგენა არ სჭირდება. ინგლისის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ნახევარმცველს მთელ პლანეტაზე იცნობენ, მათ შორის ისინიც, ვისაც ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებს - ქართველი იქნება ეს, იაპონელი, კორეელი, ჩინელი თუ აფრიკელი, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ერთი სიტყვით, ყველა.

ცოტა ხნის წინ ეს საყოველთაოდ ცნობილი და ბედნიერი ფეხბურთელი გამოტყდა, რომ ნევროზისგან იტანჯება. სკეპტიკოსებმა მისი ეს განცხადება მაშინვე ფეხბურთელის პიარ-კამპანიის შემადგენელ ნაწილად ჩათვალეს. მაგრამ თუ ბექზს ნერვები მართლაც არა აქვს წესრიგში, მაშინ მისი თანაგრძნობის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია - მსოფლიოს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ ნევროზი ყველაზე ძნელად განკურნებად დაავადებათა ათეულში შეიყვანა...

სანამ ბექჰემის ავადმყოფობის განხილვას შევუდგებით, მცირე ლირიკულ გადახვევას გთავაზობთ.

ბოლო წლების განმავლობაში ნისლიანი ალბიონის ყველაზე კოლორიტული ფეხბურთელი მარკეტინგის გენიოსთა ხელში ნამდვილ სათამაშოდ იქცა. ბექჰემის სახელი ფეხბურთის ფარგლებს გასცდა და უმსხვილესი კომპანიების სარეკლამო სახედ მოგვევლინა.

უკვე არაერთი წელია, ის პლანეტის თითქმის ყველა ქვეყნის ტაბლოიდური გამოცემების გარეკანიდან არ ჩამოდის. დევიდი და მისი ასევე ვარსკვლავი მეუღლე - ინგლისური პოპ-ჯგუფის „Spice Girls"-ის წევრი ვიქტორია ადამსი ჟურნალისტებისა და პაპარაცებისგან ფარულად ნაბიჯსაც ვერ დგამდნენ.

თუმცა, ბოლო დროს ვარსკვლავური წყვილის მიმართ ინტერესმა საზოგადოების მხრიდან საგრძნობლად იკლო. ჰოდა, როგორც სკეპტიკოსები ირწმუნებიან, ამჯერად დევიდმა გადაწყვიტა ახალი, არასაფეხბურთო ფინტით მიექცია ყურადღება. მით უმეტეს, რომ ფეხბურთის თამაში, რომლითაც ის უწინდებურადაა დაკავებული, ყოველთვის არ გამოსდის. ერთი სიტყვით, პოშის მეორე ნახევარი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ძველებურად ხშირად მოხვდეს ფოტორეპორტიორთა ობიექტივში.

ახლა რაც შეეხება ინგლისელი ფეხბურთელის მიერ გამომცხვარ ახალ ისტორიას. როგორც აღვნიშნეთ, დევიდ ბექჰემი გამოტყდა, რომ ფსიქიკური მდგომარეობა მთლად დალაგებული ვერა აქვს. უფრო კონკრეტულად, აკვიატებული აზრების სინდრომით იტანჯება. ამ სინდრომის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ავადმყოფი გამუდმებით ისწრაფის ზებუნებრივი სისუფთავისკენ და გარშემო არსებულ ყველა ნივთს მკაცრი სიმეტრიული წყობით ალაგებს თავ-თავის ადგილას. ასევე აუცილებელია, რომ ნივთების რაოდენობა წყვილი ციფრით განისაზღვროს.

როგორც თავად ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი ამბობს, მხოლოდ მას შემდეგ წყნარდება, რაც აღმოაჩენს, რომ სახლში ან სასტუმროს ნომერში ყველა ნივთი თავის ადგილზე წყვილად და სიმეტრიულად დევს:

„როცა სახლში მივდივარ, ნივთებს სწორ ხაზზე ვალაგებ. როცა სასტუმროში ვარ და ნომრის დალაგება იქაურ პერსონალს ევალება, ამას ჩემი მეთვალყურეობით ვაკეთებინებ. „პეპსის" ბოთლებს მაცივარში აუცილებლად სიმეტრიულად ვალაგებ. ერთი ბოთლიც რომ აღმოჩნდეს ზედმეტი, ის ნაგვის ურნაში აღმოჩნდება".

ზემოხსენებული უცნაურობის გარდა, ბექჰემმა საზოგადოებას თავისი ახირებულობის კიდევ ერთი მაგალითი მოუყვანა:

„სასტუმროში, სანამ საწოლზე წამოვწვები, ყველა წიგნსა და სარეკლამო ბუკლეტს თაროებსა და მაგიდაზე ვაწყობ. ისე ვერ დავწვები, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ყველაფერი თავის ადგილზე ლამაზად აწყვია".

„ოჯახში სამი მაცივარი გვაქვს: ერთი - სადილებისთვის, ერთი - სალათებისთვის და ერთიც - სასმელებისთვის. თუ შემთხვევით აღმოაჩინა, რომ სასმელების მაცივარში სამი ბოთლი წყალი დევს, ერთს მოისვრის, რადგან კენტ რაოდენობას ვერ იტანს", - საუბარში ჩაერთო ვიქტორიაც.

„სამეფო კლუბში" მოთამაშე ინგლისელმა ნახევარმცველმა ისიც დაამატა, რომ თანაგუნდელებმა არაფერი იციან მისი ამ ახირებულობის შესახებ. თუმცა, მანჩესტერში ყველაფერი სხვანაირად იყო.

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები, რომელთა გვერდითაც ინგლისის ნაკრების კაპიტანს არაერთი წელი უთამაშია, სპეციალურად ურევდნენ ნივთებს და მერე სიცილით კვდებოდნენ, როცა გაავებულ დევიდს ხედავდნენ.

ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბრისას ბექზი, უზადო სისუფთავისკენ სწრაფვის გარდა, მეორე „სისუსტეშიც" გამოტყდა. აღმოჩნდა, რომ ყველაფერთან ერთად მას დიდ სიამოვნებას ანიჭებს ტკივილი, რომელსაც სვირინგის კეთებისას განიცდის. ინგლისელ ფეხბურთელს სხეულზე უკვე აქვს 12(!) სვირინგი. მაგრამ რადგან მას არა მხოლოდ შედეგი, არამედ პროცესიც საოცრად სიამოვნებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს რიცხვი გაიზრდება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ფსიქიატრები ფიქრობენ, რომ დევიდ ბექჰემმა აუცილებლად უნდა ჩაიტაროს მკურნალობის კურსი. მით უმეტეს, რომ წინ ისეთი მნიშვნელოვანი ტურნირია, როგორიცაა მსოფლიო ჩემპიონატი.

სჭირდება თუ არა ინგლისის ნაკრების კაპიტანს მკურნალობის კურსი, ეს დანამდვილებით არავინ იცის. მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი „გულახდილობის" წყალობით, კიდევ უფრო ბევრი ადამიანი განიმსჭვალა ბექჰემისადმი სიმპათიითა და თანაგრძნობით. ეს ისტორია მორიგი პიარიც რომ აღმოჩნეს, მნიშვნელობა არა აქვს - ბექზმა მაინც შეძლო საყოველთაო ყურადღების მიპყრობა და, თან ისე, რომ ამისთვის საფეხბურთო მოედანზე სასწაულების მოხდენა არ დასჭირვებია. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო - ბექჰემი-ფეხბურთელი ხომ კარგა ხანია ყველამ მიივიწყა.




*დევიდ ბექჰემს სვირინგების კეთება სიამოვნებას ანიჭებს.*

## კვირის ფრაზები

**„არ ვიცოდი, თუ მსაჯი „ბარსელონას" ღირსებას იცავდა, რადგან მთელი თამაშის განმავლობაში ყოველი მხრიდან მირტყამდნენ. თუ „ბარსას" მხარეს იყო, ეთქვა და შეიძლება სხვანაირად გვეთამაშა",** - „არსენალის" ფრანგი თავდამსხმელი ტიერი ანრი ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონასთან" განცდილ მარცხში ნორვეგიელ მსაჯს ტერი ჰაუგეს ადანაშაულებს.

■ ■ ■

**„ძნელია ასეთი დონის მატჩი მხოლოდ იმიტომ წააგო, რომ ვიღაცამ შეცდომით მიიღო გადაწყვეტილება. ეტო`ო თამაშგარეში იყო და ეს ყველამ ნახა, ვინც ამ თამაშს ტელევიზორით უყურებდა. დიახ, გაბრაზებული ვარ და ამას ასე არ დავტოვებ",** - იმავე მატჩში ცუდი მსაჯობისთვის ტერი ჰაუგეს არსენ ვენგერი ემუქრება.

■ ■ ■

**„ამიერიდან უფრო დაკვირვებული და ფრთხილი გავხდები, მაგრამ არა მხოლოდ იმის გამო, რომ იორკშირელი ვარ",** - „უოტფორდის" თავკაცი ეიდი ბუსროუდი პრემიერლიგაში მოღვაწეობის სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

■ ■ ■

**„კარგა ხანს ვოცნებობდი, რომ კვირას გოლი გამეტანა. ღამით გამეღვიძებოდა ხოლმე და წარმოვიდგენდი, როგორ გამქონდა გოლი. მაგრამ ოცნება ოცნებადვე დამრჩა",** - „ლიდს იუნაიტედის" თავდამსხმელმა რობ ჰულსმა პლეი-ოფის ფინალურ მატჩში ის გოლი ვერ გაიტანა, რომელზეც ოცნებობდა.

■ ■ ■

**„რონალდინიომ შარშან 19,5 მილიონი ფუნტი იშოვა და რა გასაკვირია, სულ რომ იცინის?!"** - „ბი-ბი-სი"-ს კომენტატორი ქლაივ თესდლი რონალდინიოზე.

■ ■ ■

**„ინგლისში რომ ჩამოვედი, ჯიბეში 900 ფუნტი მედო და, საბედნიეროდ, მალე მივეჩვიე ლობიოს ჭამას",** - „უოტფორდის" ამერიკელი მცველ ჯეი დიმერიტს ახლა მხოლოდ ხიზილალის ჭამა მოუწევს, რადგან მისი გოლის წყალობით გუნდი პრემიერლიგაში აღზევდა.

■ ■ ■

**„სანახაობა დასრულდა",** - გამოაცხადა ერთ-ერთი ინგლისური არხის კომენტატორმა „ბარსელონა" - „არსენალის" შეხვედრისას. ზუსტად ერთ წუთში „ბარსამ" ანგარიში გაათანაბრა.

■ ■ ■

**„არ ვიცი, რამდენ ფულს დახარჯავენ სხვა კლუბები ახალი ფეხბურთელების შესაძენად და გაამართლებს თუ არა მათი შენაძენი. ფეხმოტეხილი მაგიდისთვის საუკეთესო ხის მასალისგან დამზადებული ფეხი კი არ უნდა იყიდო, არამედ ის ფეხი, რომელიც მაგიდას ზუსტად მოერგება",** - „ლივერპულის" თავკაცი რაფაელ ბენიტესი „ჩელსის" ძვირად ღირებულ ტრანსფერებს აფასებს.

■ ■ ■

**„პირადად ჩემთვის საკმაოდ კარგი სეზონი იყო, მაგრამ ჩვენ ტორტის მხოლოდ ბისკვიტი გამოვაცხვეთ, მარწყვით ჯერ არ მოგვირთავს",** - ისევ რაფა ბენიტესი.

■ ■ ■

**„ფეხბურთში არსებობენ პარაზიტები, რომელთაც მარტო ერთი სიტყვა იციან: ფული",** - იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ექსპრეზიდენტი ფრანკო კარარო.

■ ■ ■

**„ყოველთვის ვამბობდი, რომ კარგად გახედნილი ცხენი ვარ, მაგრამ უბედური ადამიანი",** - „იტალია ოუფენის" მოგების შემდეგ მარტინა ჰინგისმა თავისი ცხოველური ინსტინქტები გაამჟღავნა.

■ ■ ■

**„ბარსელონაში" რომ გადასულიყო, პრინცი იქნებოდა, ჩვენთან კი მეფეა!"** - ამ სიტყვებით ახსნა ტიერი ანრის „არსენალში" დარჩენა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა.

## ინფოთეკა

### როსიცკი "დორტმუნდს" დატოვებს

დორტმუნდის „ბორუსიას" გენერალურმა დირექტორმა ჰანს იოაკიმ ვაცკემ განაცხადა, რომ ჩეხი ნახევარმცველი ტომაშ როსიცკი ამ ზაფხულს აუცილებლად დატოვებს გუნდს, მაგრამ მადრიდის „ატლეტიკოში" არ გადავა.

„მადრიდის „ატლეტიკო" მხოლოდ 10 მილიონ ევროს იხდიდა. ეს თანხა კი საკმარისი არ არის. ამით საკითხი ამოიწურა. ტომაში „ატლეტიკოში" არ გადავა, თუმცა ზაფხულში აუცილებლად დატოვებს „ბორუსიას". ჩვენ არაერთი კლუბის შემოთავაზება გვაქვს", - აცხადებს ვაცკე.

### დიარას „რეალში" უნდა

„ლიონის" 25 წლის მალელი ნახევარმცველი მოჰამად დიარა მადრიდის „რეალში" თამაშზე ოცნებობს. ამ ფეხბურთელის შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს" სურდა, მაგრამ დიარამ კატეგორიულად იუარა ბრიტანულ გრანდში გადასვლა. ამ კვირაში მალელი ნახევარმცველის აგენტი სამეფო კლუბის მესვეურებს შეხვდება და შესაძლოა დიარას ოცნებამ რეალური კონტურები მიიღოს.

### კრუიფი: „ანრი შეცდა"

ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა იოჰან კრუიფმა ანრის „არსენალში" დარჩენას შეცდომა უწოდა. „თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ანრის „არსენალში" დარჩენა შეცდომაა. დარწმუნებული ვარ, გადაწყვეტილება ეიფორიაში მყოფმა მიიღო. ინგლისში წარმატებული კარიერის შემდეგ მისთვის ესპანეთში გადასვლა თვისებრივად სხვა დონეზე გასვლა იქნებოდა. დარწმუნებლი ვარ, ესპანეთში უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევდა. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ანრისთვის უმჯობესი იქნებოდა, თუ „ბარსელონასთან" გააფორმებდა კონტრაქტს", - აცხადებს კრუიფი.

### საუკეთესოები ბუნდესლიგაში

ბუნდესლიგაში მოთამაშე 233 ფეხბურთელის გამოკითხვის შედეგად მიროსლავ კლოზე 2005-06 წლების სეზონის ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 27 წლის ბომბარდირმა გამოკითხულთა ხმების 46.8 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზე „ჰამბურგის" ჰოლანდიელი პლეიმეიკერი რაფაელ ვან დერ ვაარტი გავიდა, მესამეზე კი - „ბაიერის" ბულგარელი ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვი. ბუნდესლიგის საუკთესო მწვრთნელად „ჰამბურგის" 39 წლის თავკაცი თომას დოლი დაასახელეს.

### შევჩენკო ჯგუფიდან გასვლას გეგმავს

უკრაინის ნაკრების ფორვარდმა ანდრეი შევჩენკომ განაცხადა, რომ მის გუნდს მსოფლიო ჩემპიონატზე თავისუფლად შეუძლია ჯგუფური ეტაპის ბარიერის გადალახვა. „ჩვენი მთავარი ამოცანა ჯგუფიდან გასვლაა. ვფიქრობ, ეს რეალურია. რაც შეეხება ჩემს ტრავმას, არა მგონია, ტურნირის დაწყებამდე ვერ მოვიშუშო", - აცხადებს ანდრეი.

### მილიონი ტრისტანში

შოტლანდიურ „ჰართსს" ესპანური „დეპორტივოს" ფორვარდის დიეგო ტრისტანის შეძენა სურს. გალისიური კლუბი ფეხბურთელის გაყიდვაზე ყაბულსაა, თანაც საოცრად ცოტა ფულს ითხოვს, სულ რაღაც მილიონ გირვანქა სტერლინგს. არადა, სულ ცოტა ხნის წინ ამავე ფეხბურთელში მეორე შოტლანდიური კლუბი „რეინჯერსი" 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიდა, მაგრამ გალისიელებმა ტრისტანი მაინც არ გაყიდეს.

### „ლივერპული" დანიელ ალვესს ყიდულობს

მერსისაიდულმა „ლივერპულმა" 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა ესპანურ „სევილიას" მცველ დანიელ ალვეშში. მისი შეძენა რაფა ბენიტსს სურს. ესპანელ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ალვეში მისი გუნდის დაცვას გააძლიერებს. ჯერჯერობით „სევილია" ფეხბურთელის გაყიდვას არ ჩქარობს.

# კლინსმანი ნანობს, რომ რონალდინიოს გერმანელი ბებია არ ჰყავს

მარი ჯავახიშვილი


იურგენ კლინსმანი ბუნდესნაკრებს კალიფორნიიდან მართავს.

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები რჩება. რაც უფრო ახლოვდება ეს დღე, მით უფრო საყოველთაო ყურადღების ქვეშ ექცევა მუნდიალის მასპინძელი ქვეყნის - გერმანიის ეროვნული ნაკრების თავკაცი იურგენ კლინსმანი.

თითქმის მთელი წლის განმავლობაში გერმანელი სპეციალისტი მუდმივად კრიტიკოსთა განსჯის საგანი იყო. გერმანიაში ბევრი ღიზიანდებოდა კლინსმანის კალიფორნიაში ცხოვრების გამო. ამის გამო მას, გულშემატკივრების გარდა, საფეხბურთო სამყაროს ისეთი წარმომადგენლებიც კი აკრიტიკებდნენ, როგორებიც არიან ფრანც ბეკენბაუერი და ლოთარ მათეუსი.

ტურნირის დაწყების წინ მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევას ბუნდესნაკრების თავკაცთან გერმანული „ბრავო სპორტის" ჟურნალისტები შეეცადნენ.

**- როგორ ფიქრობთ, გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისთვის სათანადოდ არის მზად?**

- ასე მსჯელობა გერმანული ხასიათისთვის ნიშანდობლივი არ არის. ჩვენ ბუნებით პესიმისტები ვართ და თავიდანვე მხოლოდ ცუდზე ფიქრს ვიწყებთ. რა თქმა უნდა, ჩვენს გარდა, კიდევ ორი-სამი ფავორიტია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატი ყველასთვის თანაბარი დონის ტურნირია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სახლში ვთამაშობთ. თუმცა, დამეთანხმეთ, რომ ეს ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს.

**- საბედნიეროდ, ასეა. თუ ახლო წარსულს გავითვალისწინებთ, ევროპის ჩემპიონატის წინ, მაგალითად, ბერძნებსა და პორტუგალიელებს არავინ მიიჩნევდა ფავორიტებად. ადვილი შესაძლებელია, მსგავსი შანსი წლეულს გერმანიასაც მიეცეს. მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი: საკმაოდ ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი გვყავს...**

- ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ყოველთვის მნიშვნელოვანია, რომ მწვრთნელმა ახალგაზრდებზე გააკეთოს აქცენტი. მსოფლიო პირველობისთვის აუცილებელია კარგი ბალანსი შენარჩუნდეს გამოცდილ და ახალგაზრდა ფეხბურთელებს შორის. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთი ხარისხზე აგებული თამაშია და დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ კარგი გუნდი მყავს.

**- იმ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს როგორ აფასებთ, რომ ნაკრებში ბალაკი და კიდევ დანარჩენი ათი ფეხბურთელი გყავთ...**

- ეს ნამდვილად არ არის ასე. თუმცა, ყველა ძალიან ვამაყობთ, რომ გუნდში გვყავს ისეთი დონის ფეხბურთელი, როგორიც მიხაელ ბალაკია. ის ექსტრაკლასის მოთამაშეა და შეუძლია მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ ერთ-ერთია სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის. მაგრამ ბუნდესნაკრები მარტო ბალაკი არ არის. სხვა ძლიერი და თავისი ასაკისთვის გამოცდილი, ახალგაზრდა ფეხბურთელებიც გვყავს. მაგალითად, ბასტიან შვაინშტაიგერი, ლუკაშ პოდოლსკი, მიროსლავ კლოზე და ორი უმაღლესი დონის მეკარე, რომელთაგან მუნდიალზე მხოლოდ ერთი ითამაშებს.

**- არასოდეს გდომებიათ, რომ თქვენს გუნდში ბრაზილიელ ვარსკვლავს რონალდინიოს ეთამაშა?**

- ჰო, ნამდვილად კარგი იქნებოდა, რონალდინიოს გერმანელი ბებია ჰყოლოდა... ეს ხუმრობით. ისე კი, რონალდინიო მართლაც შეუდარებელია და უამრავ საქებარ სიტყვას იმსახურებს. ყველას, ვისაც დღეს ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ უწევს თამაში, ათიდან შვიდს აგებს, ერთს ფრედ თამაშობს და მხოლოდ ორის მოგებას ახერხებს. დიდი იმედი მაქვს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე, თუ ბრაზილიელებთან მოგვიწევს შეხვედრა, იმ ორ მატჩს ვაჩვენებთ, რომელსაც ბრაზილიის მეტოქე იგებს.

**- რატომ განიცდიან გერმანელები ასე მწვავედ თქვენს კალიფორნიაში ცხოვრებას?**

- საკმარისია, რომელიმე მატჩი წააგო და მაშინვე კრიტიკისოთა რისხვა დაგატყდება თავს. არადა, ეს ნებისმიერი რანგის სპეციალისტისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მუდმივად დაუმარცხებელი ქვეყანაზე არავინაა. ის, რომ გერმანიასა და კალიფორნიაში ვცხოვრობ, ბევრისთვის შურის საბაბია. ჩემს ოპონენტებს რატომღაც უნდათ, რომ 24 საათი გერმანიაზე ვიყო კონცენტრირებული. მაგრამ მე ფეხბურთს სხვანაირად აღვიქვამ და პირველი ვარ, ვინც ამ პოსტზე ისე მოღვაწეობს, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრებს. პირადად მე ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ, რადგან ჩემს საქმეს ხუთიანზე ვაკეთებ და ამას მუნდიალზე დავამტკიცებ. კრიტიკის მიუხედავად, ბუნდესნაკრების დატოვებას არც მსოფლიო ჩემპიონატის მერე ვაპირებ.

**- როცა ფრანც ბეკენბაუერმა სახალხოდ გაგაკრიტიკათ, არ იფიქრეთ, რომ დაგაღალატათ?**

- ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია. გერმანიაში 80 მილიონი გერმანელი ცხოვრობს და, შესაბამისად, 80 მილიონი აზრია. შეუძლებელია ყველა მათგანის სურვილებს მოერგო, მით უმეტეს, კაიზერ ფრანცისას.

# უკრაინელთა ოდესელი ვარსკვლავი



ვორონინს ჩემპიონობა ესიზმრება.

უკრაინის ნაკრების ფეხბურთელთა უდიდესი ნაწილისთვის გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე შესაძლოა ადაპტაციის პრობლემამ იჩინოს თავი. აი, ანდრეი ვორონინს კი ასეთი პრობლემა საერთოდ არ ექნება. უკვე 11 წელია უკრაინელთა ფორვარდი გერმანიაში ცხოვრობს, გერმანულიც კარგად იცის და იქაური ტრადიციებიც შეისწავლა, ასე რომ, ბლოხინის გუნდს მუნდიალზე საკუთარი გიდიც კი ეყოლება.

**- ანდრეი, ლოგიკური იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ გერმანიაში გატარებული 11 წლის შედეგად უკვე გერმანული ხასიათი ჩამოგიყალიბდათ და კლასიკურ გერმანელ ბიურგერსაც დაემსგავსეთ?**

- არა, რას ამბობთ. თუ ოდესაში ხარ დაბადებული, ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლის ბოლომდე ოდესელი ხარ. ვფიქრობ, ბავშვობიდან გერმანიაში რომ გავზრდილიყავი, სისხლი მაინც თავისას იზამდა. გერმანიას შევეჩვიე და აქაურ ცხოვრების რიტმსაც ავუწყე ფეხი. სულ ესაა. ამ ქვეყანას მიჯაჭვული კი არ ვარ. ყოველ შვებულებას ოდესაში ვატარებ. მონოტონური ცხოვრება ჩემთვის არაა. იახტა, თევზაობა, ბუნებაში მწვადი მეგობრებთან ერთად - განა ამაზე უარის თქმა შეიძლება? აი, ქალიშვილი მეზრდება, აუცილებლად ჩავიყვან ოდესაში. მოკლედ, მე ბიურგერი ვერასოდეს გავხდები.

**- ბუნებით ოპტიმისტი ხართ?**

- აბა რა. სიცილი საუკეთესო წამალია. რა თქმა უნდა, წაგებული მატჩების შემდეგ ავტობუსში ბოლო ხმაზე არ ვხარხარებ, თუმცა ოპტიმიზს არასდროს ვკარგავ. კარგმა ხუმრობამ შეიძლება საფეხბურთო მატჩის ბედიც კი შემოატრიალოს. ეს გამოცდილი მაქვს როგორც გერმანიაში, ისე უკრაინაშიც. წინა კითხვას თუ დავუბრუნდებით, იმასაც გეტყვით, რომ გერმანელი ვერასოდეს გავხდები. ჩემს გულში მხოლოდ ერთი ქალაქია - ოდესა. დანარჩენები კი - მხოლოდ ადგილი, სადაც ფულს ვშოულობ. დიდ პატივს ვცემ კიოლნისა და ლევერკუზენის მცხოვრებთ და, იმედია, ამ სიტყვებს არ მიწყენენ.

**- გამოდის, რომ თქვენი აგენტის სიტყვები, თითქოს „ბაიერნის" დატოვებას აპირებთ, საფუძველს მოკლებული არ არის.**

- ჯერჯერობით გარკვეული არაფერია. თუმცა, ჩემს აგენტს ამის თქმის საფუძველი მართლაც ჰქონდა. უკვე გავიარე ეტაპი, როდესაც ავტორიტეტი უნდა მომეპოვებინა. მიუხედავად ამისა, გერმანელი ჟურნალისტები მუდმივად ცდილობენ რაღაცაზე გამომედაონ. დიახ, ამ სეზონში ჩავარდნები მართლაც მქონდა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ თავად გუნდი ვერ თამაშობდა კარგად. მე კი გუნდის მხსნელი გმირის ფუნქციას ვერ ვიტვირთებ. რომელ კლუბშიც არ უნდა მივსულიყავი, თავიდან სათადარიგოთა სკამზე მიმიჩენდნენ ადგილს, მერე კი ყველას უკვირდა, რომ ძირითადში ვთამაშობდი. კარიერის განმავლობაში არც ერთი ტიტული არ მომიგია. ამიტომაც დავფიქრდი კლუბის შეცვლაზე.

**- როცა ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე ხვდება, ამას ძირითადად მწვრთნელს აბრალებს. თქვენსა და სკიბეს შორის დაძაბული ურთიერთობაა?**

- სკიბე გამოცდილი სპეციალისტია. უბრალოდ, სეზონის დასაწყისში არ გაგვიმართლა და ყველაფერი ამის ბრალია.

**- მსოფლიო ჩემპიონატი უბრალოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი არ არის. ეს დიდი ბაზარია. თუ ფეხბურთელი მუნდიალზე თავს გამოიჩენს, კარგ კონტრაქტსაც გამოჰკრავს ხელს. ალბათ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი თქვენი შანსია...**

- რა სისულელეა. რა გგონიათ, გავალ მინდორზე და ტრიბუნებზე გავიხედავ, ესწრებიან თუ არა მატჩს „ბარსელონას" ან „იუვენტუსის" წარმომადგენლები? მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა ჩემი ოცნება იყო და, მერწმუნეთ, ტურნირის დროს კლუბზე საერთოდ არ ვიფიქრებ. ახლა ხშირად ვიხსენებ ბავშვობას, როცა მე და მამაჩემი ტელევიზორს მივუსხდებოდით ხოლმე და მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს ვუყურებდით. თითქოს სულ სხვა გალაქტიკა იყო. ამიტომ ახლა უკრაინის ნაკრების გარდა არაფერზე არ ვფიქრობ. მეტიც, ფიქრებით უკვე გერმანიაში ვარ. ხშირად მესიზმრება ოდესის მთავარი მოედანი და მე ოდესელებს მსოფლიო თასს ვაჩვენებ.

**- ნუთუ სიზმარში თასით ხელში ჩამოხვედით ოდესაში? გამოდის, რომ ჯგუფური ეტაპი უპრობლემოდ გაიარეთ. რეალურად როგორ შეაფასებდით უკრაინის ნაკრების შანსებს?**

- ისტორიულად რაც უფრო ძლიერ მეტოქეს ვუპირისპირდებით, უკეთ ვთამაშობთ. ესპანეთის ნაკრების არ მეშინია. ამ გუნდს კარგად ვიცნობთ, მთავარ სიურპრიზებს კი ტუნისელებისგან ველი.

**- ამბობენ, რომ უკრაინის ნაკრების ფეხბურთელები, განსაკუთრებით ისინი, ვინც ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობენ, ოპტიმალურ ფორმაში არ არიან. ეგ კი არა, ბლოხინი ამბობდა, ნეტა 20 ფეხბურთელი მაინც მომაძებნინა, რომლებიც მუნდიალისთვის მზად იქნებიანო.**

- თითოეული შემთხვევა კონკრეტულად უნდა განვიხილოთ. ზოგმა ტრავმა მიიღო, ზოგსაც ფსიქოლოგიური პრობლემა აქვს. მინდორზე 11 ფეხბურთელი გადის და თუ ერთს პრობლემა ექნება, დანარჩენი ათი უნდა დაეხმაროს.

**- ცნობილია, რომ ბლოხინი ძირითადში თამაშის გარანტიას არავის აძლევს. მზადაა თუ არა ფეხბურთელი ვორონინი, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდეს?**

- მწვრთნელი რასაც დამავალებს, იმას გავაკეთებ. ნაკრებში ყველა თანასწორია და რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს ბლოხინი, ისე იქნება.

**- თქვენ თქვით, რომ ხალისიანი და სიცოცხლისმოყვარული ადამიანი ხართ. საფეხბურთო მინდორზე კი ხშირად ჩხუბობთ.**

- ემოციები... მოედანზე მთლიანად თამაშში ვარ ჩართული და ხშირად ემოციებს ვერ ვთოკავ. მატჩის შემდეგ კი არც მახსოვს, რის გამო გავბრაზდი.

**- რამდენად რეალურია, რომ ანდრეი ვორონინმა რომელიმე რუსულ ან უკრაინულ კლუბში ითამაშოს?**

- რატომაც არა. არ გამოვრიცხავ, რომ კარიერის მიწურულს მართლაც რომელიმე უკრაინულ კლუბში აღმოვჩნდე.

### კონსტანტინე კუპატაძე სხვა ქვეყნის სახელით იჩხუბებს

კრივში ორგზის ევროპის პრიზიორის, 23 წლის კოტე კუპატაძის განცხადებით, მას საქართველოში შექმნილი პირობები არ აკმაყოფილებს, უახლოეს ხანებში სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას აპირებს და, შესაბამისად, იმ ქვეყნის ღირსებას დაიცავს.

„ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ასე აჯობებს. ახლახან ბაკურიანში ვიყავი შეკრებაზე, მაგრამ იქ გარკვეულ პრობლემებს წავაწყდი და მეორე დღესვე უკან გამოვბრუნდი. ადრევე უნდა მივმხდარიყავი, რომ აქ არავის ვჭირდებოდი", - აცხადებს მოკრივე.

კუპატაძის ამ გადაწყვეტილებას კრივის ფედერაციის ახლად დანიშნული პრეზიდენტი, კახეთში პრეზიდენტის რწმუნებული პეტრე ცისკარიშვილი ეხმაურება.

„ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ თუ ვინმეს წასვლა უნდა, წავიდეს, ჩვენ არავის ვაკავებთ", - განაცხადა ცისკარიშვილმა.

კუპატაძის ქვეყნიდან წასვლას დიდ დანაკარგად მიიჩნევს კრივის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი.

„მისი წასვლის შესახებ არაფერი მსმენია, მაგრამ კუპატაძე ნიჭიერი სპორტსმენია და თუ მართლა წავა სხვა ქვეყანაში, დიდ ძალას დავკარგავთ", - განაცხადა კანდელაკმა.

კოტე კუპატაძეს გერმანელებმა, ავსტრიელებმა და ესტონელებმა სარფიანი კონტრაქტი უკვე შესთავაზეს.

### გორავსკი დაიწუნეს

რუსული პრემიერლიგის კლუბ „მოსკვას" ფეხბურთელი დამიან გორავსკი პოლონეთის ნაკრების შემადგენლობიდან ამოაგდეს. სააგენტო „როიტერის" ცნობით, ნახევარმცველს ჯაანმრთელობა გაუუარესდა. „სამედიცინო შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ფეხბურთელს რესპირატორული ორგანოების პრობლემები აქვს, ამიტომ იგი მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს," - განაცხადა პოლონეთის ნაკრების ექიმმა.

### აკრძალვა ტოგოურად

ტოგოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოტო პფისტერმა თავისი გუნდის ფეხბურთელებს სამხრეთკორეული მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობა აუკრძალა. „მწვრთნელმა გვითხრა, რომ მინდორზე არ გაგვიშვებს, თუ ჩვენ კორეელი ჟურნალისტების კითხვებზე ვუპასუხებთ," - ამბობს ტოგოს ნაკრების ნახევარმცველი ჟუნიორ სენაია.

ამავე დროს გაირკვა, რომ ტოგოელთა გერმანელმა თავკაცმა თავის ფეხბურთელებს იაპონელ და ჩინელ ჟურნალისტებთანაც აუკრძალა საუბარი. მსოფლიო ჩემპიონატზე ტოგოს ნაკრები სამხრეთ კორეის, საფრანგეთისა და შვეიცარიის ნაკრებ გუნდებთან ერთად იასპარეზებს.

### ილოცეთ ჩვენთვის!

ირანის ნაკრების ფეხბურთელებს სჯერათ, რომ შეძლებენ ჯგუფური ეტაპის ბარიერის გადალახვას.

„ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს. პირველად ჩვენი ნაკრების არსებობის ისტორიაში გვეძლევა შანსი, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ბარიერი გადავლახოთ. ამისთვის ძალებს არ დავიშურებთ. თანაც გულშემატკივრები ჩვენთვის ილოცებენ და ესეც დაგვეხმარება", - ირანის ნაკრების ვეტერანი ლიდერი ალი დაეი.

### იტალიელებმა ლიპი დაიცვეს

ორშაბათს იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ ფედერაცია სრულ მხარდაჭერას უცხადებს სკუადრა აძურას მთავარ მწვრთნელ მარჩელო ლიპის. „ლიპის ვენდობით. ახლა აბსურდია იმაზე საუბარი, რომ მარჩელო ლიპიმ თანამდებობა უნდა დატოვოს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ლიპიზე უკეთეს მწვრთნელს ვერსად ვიპოვით", - განაცხადა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა გვიდო როსიმ.

### რა არის საჭირო ჩემპიონობისთვის

ლეგენდარულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ბობი ჩარლტონმა განაცხადა, რომ გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ის გუნდი მოიგებს, რომელიც შეძლებს ბრაზილიის ნაკრების დამარცხებას. „ჩემი აზრით, ჩემპიონი ის გუნდი გახდება, რომელიც ბრაზილიელებს დაამარცხებს. რაც შეეხება ინგლისის ნაკრებს, ურიგო შანსი არ გვაქვს. გუნდი მშვენივრად არის დაკომპლექტებული და მუნდიალზეც ანგარიშგასაწევი ძალა იქნება", - აცხადებს ჩარლტონი.

### უვარგისი ბურთი

გერმანიის ნაკრების მეკარე იენს ლემანს მიაჩნია, რომ ფირმა „ადიდასის" ბურთი, რომლითაც მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა ითამაშონ, მეკარეებისთვის მეტად მოუხერხებელია. „ბურთი მხოლოდ მინდვრის მოთამაშებზეა გათვლილი, მეკარესთვის კი ასეთი ბურთით თამაში ძალიან ძნელი იქნება. ისეთი შთაბეჭდილება მექმნებამ თითქოს ბურთი პლასტიკისგან არის გაკეთებული. წვიმაში მისი დაჭერა თითქმის შეუძლებელია", - აცხადებს ლემანი.

### ძანეტიმ „იუვენტუსი" არჩია

მილანის „ინტერის" ნახევარმცველმა კრისტიანო ძანეტიმ დაადასტურა ინფორმაცია, რომელიც მის ტრანსფერს შეეხება. „გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ზამთარში მივიღე. კაპელოს ფაქტორი გადამწყვეტი აღმოჩნდა. მართალია, „ინტერმა" ახალი კონტრაქტი შემომთავაზა, მაგრამ უარი ვთქვი და „იუვენტუსში" გადავედი", - აცხადებს ფეხბურთელი.

### კრანჩარი პლეტიკოშას ენდობა

ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზლატკო კრანჩარმა განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მისი გუნდის ძირითადი მეკარე სტიპე პლეტიკოშა იქნება.

„ჩვენს გუნდში პირველი ნომერი პლეტიკოშა იქნება. ყველაფერი ლოგიკურია: ბუტინას საკმარისი სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია, ის მთლიანად ტრანსფერზე იყო კონცენტრირებული. ამიტომ სტიპეს მთავარი კონკურენტი დიდულიცაა", - აცხადებს კრანჩარი.

### ტოპმიოლერის სია

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა დასახელა იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ნაკრების ორ უახლოეს ამხანაგურ მატჩში ახალი ზელანდიისა და პარაგვაის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ. ნაკრებში ბრუნდება მალხაზ ასათიანი, რომელმაც უკვე მოიშუშა ტრავმა, ხოლო ცქიტიშვილი, სალუქვაძე და ელიავა ტოპმიოლერმა ტრავმების მიუხედავად გამოიძახა ნაკრებში. მთლიანობაში საქართველოს ნაკრების სია ასე გამოიყურება.

**მეკარეები:** გიორგი ლომაია (ლუჩი), ნუკრი რევიშვილი (რუბინი)

**მცველები:** კახა კალაძე (მილანი), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი), კახაბერ მჟავანაძე (ჩერნომორეცი), ლევან კობიაშვილი (შალკე), ლაშა სალუქვაძე (რუბინი), ილია კანდელაკი (ჩერნომორეცი), ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი), ლევან მაღრაძე (ქსანტი), ზაალ ელიავა (სკონტო)

**ნახევარმცველები:** ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი), გოგიტა გოგუა (სპარტაკი, ნალჩიკი), ლევან ცქიტიშვილი (ვოლფსბურგი), ჯაბა კანკავა (არსენალი, კიევი), დავით კვირკველია (მეტალურგი), კახაბერ ალადაშვილი (დინამო), დავით მუჯირი (კრილია), გოგა გახოკიძე (ტვენტე)

**თავდამსხმელები:** გიორგი დემეტრაძე (მაქაბი), შოთა არველაძე (ალკმაარი), ვასილ გიგიაძე (კრივბასი), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), ოთარ მარცვალაძე (დინამო)

### „არსენალმა“ 80 მილიონზე უარი თქვა

ლონდონის „არსენალის“ ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დინმა ბი ბი სის კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ესპანური კლუბები ტიერი ანრიში 80 მილიონ ევროს იხდიდნენ. „ჩვენ უარვყავით ორი რეკორდული შემოთავაზება ესპანური კლუბებიდან. არც კი მინდა საუბარი იმ თანხაზე, რომელსაც გვთავაზობენ, ანრი არ იყიდება“, - აცხადებს დინი.

### რუმენიგე განაწყენდა

მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ კლუბმა შესაძლოა უარი თქვას ლუკაშ პოდოლსკის შეძენაზე. „ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი. თუ მოლაპარაკება არ შედგა და საქმეს სწორედ ასეთი პირი უჩანს, პოდოლსკის საერთოდ დავივიწყებთ და სხვა ფეხბურთელს მოვძებნით“, - აცხადებს რუმენიგე.

### ლაუდრუპმა „ბრონდბიუ“ დატოვა

დანიური ფეხბურთის ლეგენდა მიხაელ ლაუდრუპი უმუშევრად დარჩა. ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში მიხაელი „ბრონდბიუს“ თავკაცობდა, გუშინ კი მან თანამდებობა დატოვა. სააგენტო როიტერის ცნობით, ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ლაუდრუპს მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობენ.

### ბრიგელმა ბაჰრეინის ნაკრები ჩაიბარა

გერმანელმა სპეციალისტმა ჰანს პეტერ ბრიგელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბაჰრეინის ფეხბურთის ფედერაციასთან. ამიერიდან ის ამ მდიდარი ქვეყნის ნაკრებს უხელმძღვანელებს. შეგახსენებთ, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბრიგელი ალბანეთის ნაკრებს წვრთნიდა და ამ გუნდთან ერთად საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია.

### გვიდოლინი „პალერმოში“ ბრუნდება

„პალერმოს“ პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი თავისი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ფრანჩესკო გვიდოლინის დაბრუნებას აპირებს. იტალიური მედიის ინფორმაციით, „მონაკოს“ ამჟამინდელი მწვრთნელი გვიდოლინი უკვე შეხვდა სიცილიური კლუბის პრეზიდენტს და კონტრაქტის დეტალებზე ესაუბრა.

### რონალდინიო დარწმუნებულია

ბრაზილიის ნაკრების ლიდერი რონალდინიო დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი შეძლებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებას. „ვფიქრობ, ყველა მატჩი რთული იქნება. ჩვენს წინააღმდეგ ყველა გაორმაგებული მოტივაციით ითამაშებს. პირადად ჩემთვის მეტოქეს საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია ბრაზილია ფინალში გავიდეს და გაიმარჯვოს. ესაა ჩვენი მიზანი. ვფიქრობ, ჩემპიონობას შევძლებთ“, - ამბობს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი.

### „ბარსელონას“ ფორლანი მოუნდა

მას შემდეგ, რაც ტიერი ანრიმ გააგრძელა კონტრაქტი „არსენალთან“ და „ბარსელონაში“ გადასვლაზე უარი თქვა, კატალონიური გუნდის ხელმძღვანელობა სხვა ფორვარდით დაინტერესდა.

გაზეთ „მარკას“ ინფორმაციით, „ბარსას“ „ვილიარეალის“ ურუგვაელი თავდამსხმელის დიეგო ფორლანის გადაბირება სურს. ფეხბურთელის აგენტი უკვე ჩავიდა ბარსელონაში და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული კლუბის მესვეურებთან მოლაპარაკების პირველი რაუნდიც გამართა.

„ვილიარეალი“ ურუგვაელ მეგოლეში 23 მილიონ ევროს ითხოვს, თუმცა, როგორც ამბობენ, თანხა შესაძლოა 15 მილიონ ევრომდე შემცირდეს.

### გერმანელებს არ სჯერათ

გერმანიის ქალაქ ალენბახეში მდებარე კვლევითმა ინსტიტუტმა ჩაატარა გამოკვლევა, რათა გაერკვია სჯერათ თუ არა გერმანელ გულშემატკივრებს გერმანიის ნაკრების ჩემპიონობის. გამოკითხულთა მხოლოდ ექვს პროცენტს მიაჩნია, რომ იურგენ კლინსმანის გუნდს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგება შეუძლია. გამოკითხულთა მესამედი კი დარწმუნებულია, რომ ბუნდესნაკრები ნახევარფინალამდეც კი ვერ მიაღწევს.

# მესამე და სამართალი

ევროპული რაგბის „ექვსი ერის“ საკლუბო, „ჰაინეკენის თასი“ მესამე ცდით შემართა სამხრეთ ირლანდიის „მანსთერმა“ და მთელი მსოფლიოს კელტობა სიხარულით ჭკუიდან გადაიყვანა.

რაგბია ერთადერთი გლობალური სპორტი, რომელშიც კელტებს ძალუმი სიტყვა ეთქმით და ჰაინეკენია ის ერთადერთი ევროპული ასპარეზი, სადაც ირლანდიის პროფ-კლუბს პირველობა ხელეწიფება. „მანსთერი“ აქამდე ორჯერ იყო გასული ფინალში, მაგრამ ორჯერვე ხელი მოეცარა:

2000 წელს რონან ოგარამ თამაშის ბოლოს გასატანი ჯარიმა დაახაია და ფინალი ნორსჰემპთონმა 9:8 მოიგო. 2002 წელს კი ლესთერელმა ნილ ბექმა 5-მეტრა შერკინებაში შესაგორებლად გამზადებული ბურთი პიტერ სთრინგერს ხელიდან ლაჩრულად მოჰპარა, მაგრამ მსაჯმა ვერაფერი შენიშნა და პომებმა 15:9 გაიმარჯვეს.

ოგარა და სთრინგერი ახლაც გუნდში არიან, ხოლო კაპიტანია ბებერი 8 ნომერი ენთონი ფოლი, ვისაც „მანსთერის“ მიერ 11 ჰაინეკენზე გამართული 77 მატჩიდან ერთადერთი აქვს გამოტოვებული. ფანობამაც დიდად უერთგულა გუნდს - კარდიფში 50 ათასი (!) კაცი მოგროვდა და გადახურულ მილენიუმში ისეთი გნიასი დააყენა, ბასკეთის ბიარიცს თავი ჯოჯოხეთში ეგონებოდა.

„მანსთერმა“ ღონით, თავდადებითა და ზერაციონალური რაგბით მოიგო. თავი დაედგა საშვილიშვილო საქმეს. ოგარამ ხუთი ცდით ხუთი გოლი შეაგდო, სთრინგერმა კი პირველი ტაიმის ბოლოს გაიტანა ლელო, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი. ერთი სიტყვით, სამართალმა მესამე ჯერზეღა ჭამა პური.

ბიარიცი ფინალში პირველად თამაშობდა და თავიდანვე შეიტანა ლელო: ხაზი ჯონ ქელის არხში გაიჭრა და ფიჯელმა სირელი მბომბომ კიდესთან საეჭვოდ ახლოს გაირბინა. „მანსთერმა“ თავზე ხელი აილო და ორი დასარტყამი ჯარიმა კიდეზე გადაიტანა. კელტებს გულადობა დაუფასდათ: ფაზური შტურმი სამხრეთაფრიკელი ტრევორ ჰელსტედის ლელოთი დაგვირგვინდა.



10:10-ზე საზრიანმა სთრინგერმა შენიშნა, რომ მბომბო დაცვაში ღრმად იდგა. ჰავბეკმა შერკინებიდან მოკლე ფრთაზე გაუტია, ზანგი სერჟ ბეცენი უკან მოიტოვა და გადახტა. მეორე ტაიმში ლელო მეტად აღარ გასულა. დიმიტრი იაშვილმა ჯარიმებით სხვაობა ერთამდე შეამცირა, მაგრამ არც ოგარა დარჩა ვალში. „მანსთერმა“ ბოლო წუთებზე გაძლო და სთრინგერმა კიდეზე მოიგერია ოვალი.

**ჰაინეკენის თასი. ფინალი**

**მანსთერი 23:19 ბიარიცი**

**მანსთერ რაგბი (ლიმრიქი და ქორქი) ირლანდია:** პეინი, ე.ჰორგანი, ქელი, ჰელსტედი, დაულინგი; (10-9) ოგარა, სთრინგერი / ჰორანი (პუჩარელო 63), ფლენერი, ჰეისი; ოკალაჰენი, ოკონელი (ქვინლენი 76); ლიმი, ვოლესი, ფოლი კაპ (მ.ოდრისკოლი 71) - 2 ლელო: ჰელსტედი, სთრინგერი; 2 გარდასახვა, 3 საჯარიმო: ოგარა

**ბიარიც პეი ბასკი საფრანგეთი:** ბრიუსკი, გობლე, ბიდაბე, ტრაი (არამბურუ 53), მბომბო; (10-9) პეირელონგი, იაშვილი / ბელანი (ჯონსონი 74), ოგიუ (ნუარო 67), ჯონსონი (ლეკული 63); ტიონი, კუზინე (ოლიბო 45); ბეცენი, არენორდოკი, ლივრმონი კაპ (დიუზოტუარი 52) - ლელო: მბომბო; გარდასახვა, 4 საჯარიმო: იაშვილი

**რეფერი** ვაითი (ინგლისი)
კარდიფი, მილენიუმი (74 452)

0:7(3) 3:7(7) 10:7(18) 10:10(22) 17:10(32) / 20:10(42) 20:13(48) 20:16(51) 20:19(70) 23:19(73)

**ყველა მფლობელი**

| | |
|---|---|
| **ტულუზი სფრ** | **1996, 2003, 2005** |
| **ბრივი სფრ** | **1997** |
| **ბასი ინგ** | **1998** |
| **ალსთერი ირლ** | **1999** |
| **ნორსჰემპთონი ინგ** | **2000** |
| **ლესთერი ინგ** | **2001, 2002** |
| **ვოსფსი ინგ** | **2004** |
| **მანსთერი ირლ** | **2006** |

# მარტო ლებრონი საკმარისი არ არის

NBA-ში გაირკვა აღმოსავლეთ კონფერენციის კიდევ ერთი ფინალისტი. „დეტროიტისა“ და „კლივლენდის“ დაპირისპირებაში გამარჯვებულის გამოსავლენად შვიდივე მატჩის გამართვა გახდა საჭირო. სერიის გადამწყვეტ მეშვიდე შეხვედრას „დეტროიტმა“ უმასპინძლა და გაიმარჯვა კიდეც - 79:61.

ამრიგად, აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში „მაიამი“ და „დეტროიტი“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

„კლივლენდს“, როგორც ჩანს, ძალები არ ეყო. ამ გუნდის მთავარმა იმედმა ლებრონ ჯეიმსმა მარტომ ველარ შეძლო მეოთხე გადამწყვეტი შეხვედრის მოგება. აღსანიშნავია, რომ კლივლენდელთა მიერ მოგებული სამი მატჩი მთლიანად ლებრონის დამსახურებაა.

ჯეიმსმა ამჯერადაც კარგად ითამაშა. მის ანგარიშზე 27 ქულა, 8 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემაა. მაგრამ მისმა დანარჩენმა თანაგუნდელებმა ვერაფერი გააკეთეს. ლებრონის გარდა „კლივლენდში“ 10 ქულაზე მეტი არავის დაუგროვებია.



„დეტროიტს“ ფინალში „მაიამი“ ელის.

„დეტროიტმა“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ლიგაში ყველაზე კარგად თამაშობს დაცვაში. მატჩის ანგარიში თავად მეტყველებს, თუ რაოდენ კარგად ითამაშეს დეტროიტელებმა დაცვაში.

მასპინძლებმა მეტოქეს პირწმინდად მოუგეს ფარქვეშ ბრძოლა და ამის წყალობით მიაღწიეს გამარჯვებას. „დეტროიტის“ კალათბურთელებმა 48-ჯერ მოხსნეს ფარიდან ბურთი, სტუმრებმა კი - სულ 36-ჯერ.

მასპინძელთა შორის საუკეთესო იყო ტაიშონ პრინცი. მან თავის გუნდს 20 ქულა შესძინა, 7-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და 3 შედეგიანი გადაცემაც მიითვალა.

მატჩის ბედი კი მეორე ტაიმში გადაწყდა. თუ პირველ ორ მეოთხედში „კლივლენდი“ მეტოქეს წინააღმდეგობას მაინც უწევდა, მესამე და მეოთხე მეოთხედი მთლიანად დეტროიტელთა უპირატესობით წარიმართა და მატჩის მიწურულს თამაშს ინტრიგაც კი არ ჰქონია.

# ჯონსონისთვის რეკორდი სტიმულია

მსოფლიო სპორტის ლეგენდა, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი 200 და 400 მეტრზე სირბილში მაიკლ ჯონსონი უკვე რამდენიმე წელია აქტიური სპორტიდან წავიდა. მიუხედავად ამისა, მისი რეკორდების დამხობა ჯერაც ვერავინ მოახერხა. ესპანურ გაზეთ „მარკას“ ჟურნალისტი ამერიკელ მძლეოსანს შეხვდა. საუბარი გეტლინისა და პაუელის ახლანდელ დაპირისპირებს შეეხო. ამავე დროს ჯონსონმა წარსულიც გაიხსენა და თანამედროვე მძლეოსნობის პრობლემებზეც თქვა რამდენიმე სიტყვა.

**- ყველაზე მეტად რა გენატრებათ პროფესიული კარიერის დასრულების შემდეგ?**

- ალბათ მაინც შეჯიბრებები, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს გრძნობა ძალიან მძაფრია. კარიერის დასრულების შემდეგ ბედნიერი ვარ. 12 წელი პროფესიულ სპორტს შევალიე და ახლა ვისვენებ. სამაგიეროდ დამრჩა უამრავი სასიამოვნო მოგონება, რომელთაგან ერთს ნამდვილად ვერ გამოვყოფ.

**- ელოდით თუ არა, რომ თქვენი რეკორდები 200 და 400 მეტრზე სირბილში დღემდე ძალაში იქნებოდა?**

- არასდროს არ იცი რამდენ ხანს გაძლებს რეკორდი. შესაძლოა 20 წლის განმავლობაში ვერავინ დაამხოს და არც ისაა გამორიცხული, რომ მეორე დღესვე დაემხოს.



მაიკლ ჯონსონის რეკორდები ხელუხლებელია.

**- როგორ შეაფასებთ მძლეოსნობის ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან გეტლინი და პაუელი?**

- ორივე კარი სპორტსმენია. ორივე სწრაფად დარბის.

**- რა რეაქცია გქონდათ, როდესაც გეტლინის რეკორდი არ ჩათვალეს?**

- მეწყინა, რადგან ახალი რეკორდი ახალი სტიმულია. ეს სტიმული კი თავად სპორტს წაადგებოდა.

**- გეტლინისა და პაუელის დაპირისპირება თუ არის კარგი მძლეოსნობისთვის?**

- რა თქმა უნდა. ახლა ორივე რეკორდის მფლობელია და მათი დაპირისპირება ტურნირებს მეტ ინტრიგას შესძენს.

**- შეძლებს თუ არა რომელიმე მათგანი თქვენი რეკორდის გაუმჯობესებას?**

- ვერა. ისინი წმინდა სპრინტერები არიან. 200 და 400-მეტრიანი დისტანცია მათთვის არ არის.

**- ამბობენ, რომ ახალ ჩემპიონებს ქარიზმა აკლიათ.**

- არა მგონია. უბრალოდ, უმჯობესია საკუთარი ინდივიდუალობა შეინარჩუნონ. არ არის საჭირო, კარლ ლუისს ან მაიკლ ჯონსონს ჰგავდნენ. იყვნენ ისინი, ვინც არიან.

**- თქვენი აზრით, სად გადის ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი, როგორია 100 მეტრზე სირბილში მაქსიმალური შედეგი?**

- არ ვიცი. ამის განსაზღვრა შეუძლებელია.

**- მძლეოსნობაში ისევ დგას დოპინგის გამოყენების პრობლემა..**

- გეთანხმებით. მაგრამ ეს მხოლოდ მძლეოსნობის პრობლემა არ არის. დოპინგი მთლიანად პროფესიული სპორტის პრობლემაა.

## ინფოთეკა

### ბუფონი „მილანში“ გადადის

იტალიური მედიის მტკიცებით, ჯანლუიჯი ბუფონი ამ ზაფხულს „იუვენტუსიდან“ „მილანში“ გადავა. ჭორები ამ ტრანსფერის თაობაზე დაახლოებით ორი თვის წინ გავრცელდა, მაგრამ მაშინ სერიოზულად ეს არავინ აღიქვა. ახლა კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა. თავი დავანებოთ იმას, რომ იტალიაში ატეხილი საფეხბურთო სკანდალის გამო ტურინულ კლუბში ვითარება დაიძაბა. გუნდიდან წასვლის მთავარი მიზეზი ეს არ გახლავთ. როგორც ამბობენ, ბუფონსა და კაპელოს შორის ურთიერთობა დაიძაბა და საუკეთესო იტალიელი მეკარე ამის გამო აპირებს გუნდიდან წასვლას.

### ლონდონური გაცვლა

ამ ზაფხულს შესაძლოა ორმა ლონდონურმა გრანდმა ფეხბურთელები გაცვალოს. ცნობილია, რომ ჟოზე მოურინიოს უკვე დიდი ხანია სურს „არსენალის“ მცველის ეშლი კოულის შეძენა, თავად კოულსაც უნდა კლუბის შეცვლა, მაგრამ „მეთოფეები“ ფეხბურთელის გაყიდვაზე კატეგორიულ უარს ამბობდნენ. ახლა კი შეიძლება ეშლი კოული შონ რაითფილიპსში გაიცვალოს. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი გასულ სეზონში გადავიდა „ჩელსიში“, თუმცა იქ ფეხი ვერ მოიკიდა. თანაც შონისთვის „არსენალი“ თითქმის მშობლიური კლუბია - მამამისი იან რაითი ხომ ამ გუნდის ცოცხალი ლეგენდაა.

### შუმახერმა კლინსმანის ბიჭები ინახულა

ფორმულა 1-ის შვიდგზის ჩემპიონმა და ფეხბურთის დიდმა გულშემატკივარმა მიხაელ შუმახერმა გუშინ გერმანიის ნაკრების საწვრნელ ბაზაზე ბუნდესნაკრების ფეხბურთელები მოინახულა. „დიდი სიამოვნებით ვისადილე ჩემს თანამემამულეებთან ერთად. იმედია, ისინი მუნდიალზე წარმატებით ითამაშებენ. მე კი ჩემს ვალს მოვიხდი და დიდი ენთუზიაზმით ვუქომაგებ“, - განაცხადა შუმიმ.

### კორია „როლან გაროსს“ გამოტოვებს

არგენტინელი ჩოგბურთელი გილიერმო კორია დიდი სლემის ორ უახლოეს ტურნირს გამოტოვებს. კორია ვერ ითამაშებს ვერც საფრანგეის ღია პირველობაზე და ვერც უიმბლდონის ტურნირზე. არგენტინელმა 2004 წელს „როლან გაროსის“ ტურნირი მოიგო. ახლა კი ტრავმა აწუხებს და ამის გამო ვერ შეძლებს კორტზე გასვლას.

### ფედერერი პირველობას ინარჩუნებს

გუშინ ჩვეულებისამებრ ახალი საჩოგბურთო რეიტინგები გამოქვეყნდა. მამაკაცებს შორის პირველობას არავის უთმობს როჯერ ფედერერი, ქალებში კი ისევ ამელი მორესმო ლიდერობს.

**ATP რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1.როჯერ ფედერერი | 7010 |
| 2.რაფაელ ნადალი | 4545 |
| 3.დავიდ ნალბანდიანი | 3065 |
| 4.ივან ლუბიჩიჩი | 2635 |
| 5.ენდი როდიკი | 2585 |
| 6.ნიკოლაი დავიდენკო | 2295 |
| 7.ტომი რობრედო | 2020 |
| 8.ჯეიმს ბლეიკი | 1925 |
| 9.ფერნანდო გონსალესი | 1780 |
| 10.გასტონ გაუდიო | 1745 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1.როჯერ ფედერერი | 632 |
| 2.რაფაელ ნადალი | 384 |
| 3.ივან ლუბიჩიჩი | 258 |
| 4.დავიდ ნალბანდიანი | 250 |
| 5.ტომი რობრედო | 219 |
| 6.რადეკ შტეპანეკი | 203 |
| 7.ჯეიმს ბლეიკი | 201 |
| 8.მარკოს ბაგდატისი | 197 |
| 9.ნიკოლაი დავიდენკო | 193 |
| 10.მარიო ანჩიჩი | 184 |

**WTA რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1.ამელი მორესმო | 3272 |
| 2.კიმ კლაისტერსი | 3048 |
| 3.ნადეჟდა პეტროვა | 2620 |
| 4.მარია შარაპოვა | 2543 |
| 5.ჟუსტინ ენინ-არდენი | 2408 |
| 6.მერი პირსი | 2302 |
| 7.ლინდსეი დევენპორტი | 2254 |
| 8.ელენა დემენტიევა | 1990 |
| 9.პატი შნაიდერი | 1753 |
| 10.სვეტლანა კუზნეცოვა | 1711 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1.ამელი მორესმო | 1575 |
| 2.ნადეჟდა პეტროვა | 1481 |
| 3.ჟუსტინ ენინ-არდენი | 1399 |
| 4.სვეტლანა კუზნეცოვა | 1192 |
| 5.მარია შარაპოვა | 1174 |
| 6.მარტინა ჰინგისი | 1160 |
| 7.ელენა დემენტიევა | 920 |
| 8.პატი შნაიდერი | 767 |
| 9.კიმ კლაისტერსი | 738 |
| 10.დინარა საფინა | 683 |

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს აუქციონს 8-91 ციფრების სამნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ შპს "მაგთიკომმა" კომისიას მიმართა განცხადებით ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ. აღნიშნული კომპანია ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიას და მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისათვის ესაჭიროება მობილურ ქსელში დაშვების სამნიშნა კოდი.

კომისია აგრეთვე აღნიშნავს, რომ შპს "მაგთიკომს" გავლილი აქვს ავტორიზაცია მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებაზე (ავტორიზაციის მოწმობა N7/1).

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 და მე-18 მუხლების შესაბამისად, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის საფუძველზე.

კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის N13 დადგენილების "რადიოსიხშირულის სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ციფრების სამნიშნა კომბინაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობა შეადგენს 15000 ლარს.

კომისია აღნიშნავს, რომ არსებობს ციფრების სამნიშნა კომბინაციის თავისუფალი ნუმერაციის რესურსი და შესაძლებლად მიაჩნია გამოცხადდეს აუქციონი.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 და მე-18 მუხლების, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის N13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს აუქციონი 8-91 (რვა-ცხრა-ერთი) ციფრების სამნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად;
2. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2006 წლის 15 ივნისის 17:00 საათამდე;
3. რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა განისაზღვროს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით;
4. აუქციონის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2006 წლის 30 ივნისის 13:00 საათი;
5. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი განცხადებით მიმართავს კომისიას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი სარგებლობის ლიცენზიის სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;
6. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.

ბ) რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის (ბე) გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ეს თანხა ირიცხება კომისიის ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი "თი-ბი-სი'';
-ა/ანგარიში: 609326;
-კოდი: 220101830;
-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

თუ ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს აცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10 %, გადახდილი ბეს სახით, ექვემდებარება დაბრუნებას;

გ) სალიცენზიო მოსაკრებლის (3000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია პრაქტიკული საქმიანობა დაიწყოს ლიცენზიის მიღებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;
8. აუქციონი ჩატარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის N13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირულის სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით" განსაზღვრული წესით;
9. დაევალოს კომისიის პრეს-მდივანს (თ. ტყეშელაშვილი) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
10. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
11. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახურს (ე.ასანიძე).

კომისიის თავმჯდომარე დ. ქიტოშვილი
კომისიის წევრები დ. პატარაია
გ. ფრუიძე
ზ. ნონიკაშვილი

# სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია" აცხადებს კომერციულ კონკურსს მის საკუთრებაში არსებული საწარმოო ლაბორატორიული კორპუსისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის რეალიზების თაობაზე

***ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:***

- გამყიდველი - სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია".
- მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი - ქ.თბილისი, 300 არაგველის ქ.24, ტელ. 77 90 02.
- კომერციული კონკურსის ჩატარების თარიღია - 2006 წლის 26 ივნისი, 12 საათი.
- ქ. თბილისში, დელისის მე-3 შესახვევ N22-ში მდებარე ლაბორატორიული კორპუსი მასზე დამაგრებულ მიწის ფართობთან ერთად. გასაყიდი ფასი განსაზღვრულია 2000000 (ორი მილიონი) ლარით (დღგ-ს ჩათვლით).
- შენობა არის 6 სართულიანი, შენობის მთლიანი ფართობი შეადგენს 8104 მ2-ს, მასზე დამაგრებული მიწის ფართობი - 7644 მ2, კორპუსის მშენებლობა დაწყებულია 1982 წელს. ამასთან ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს წინასწარ ადგილზე გაეცნოს სარეალიზაციო ქონებას.
- კომერციულ კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება წარმოებს 2006 წლის 23 მაისიდან, სამუშაო დღეებში, დღის 17 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც მე-30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადის მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.
- "ბეს" სიდიდე განისაზღვრება გასაყიდი ქონების საწყისი გასაყიდი ღირებულების არანაკლებ 20%-ის ოდენობით. თანხა ჩარიცხული უნდა იქნეს ანგარიშზე:

***სს "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი.***
***საიდენტ. კოდი 204900919;***
***ა.ანგარიში 007609318***

***საკონკურსო პირობები:***

- კომერციულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე ნოტარიუსით დამოწმებული მინდობილობით განსაზღვრულ პირს, თუ იგი მოქმედებს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის სახელით;
- კომერციულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 300 არაგველის ქ.24, მე-4 სართული, ოთახი N2.
- კონკურსის შედეგების შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში "მყიდველმა" უნდა დაფაროს საბოლოო ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები უქმდება და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება.
- კომერციულ კონკურსში გამარჯვებულს შეტანილი "ბე" ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებაში;
- კომერციულ კონკურსში დამარცხებულ "მონაწილეს" კონკურსის შედეგის გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში "მონაწილის" მოთხოვნით "ბე" უბრუნდება.

***საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:***

- განაცხადი, დამტკიცებული ფორმის მიხედვით (კონკურსის მონაწილეობის მსურველს გადაეცემა ადგილზე);
- "ბეს" შეტანის ქვითარი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, თუ ფიზიკური პირია, იურიდიული პირის შემთხვევაში ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით.

***სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია".***

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს ვაგონ-რესტორნის ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის სერვისის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლების გადაცემის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

ვაგონ-რესტორნის მომსახურება ითვალისწინებს:

სამგზავრო მატარებლის მგზავრთა საკვები პორდუქტებითა და სასმელებით მომსახურების სერვისი ვაგონ-რესტორანში და ადგილებზე მიტანით;

კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია დაიწყოს მომსახურება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან და სამგზავრო შემადგენლობის რეისში გაშვებიდან.

ვაგონ-რესტორნის ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის სერვისის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლების მინიჭების საფასურის მინიმალური ოდენობა შეადგენს კონკურსში გამარჯვებული პირის მიერ სამგზავრო შემადგენლობაში გაწეული მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლის 17 %-ს, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარისა. აღნიშნულ პროცენტს გამარჯვებული პირი უხდის შპს "საქართველოს რკინიგზას". პროცენტის გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად. შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს მის მიერვე არჩეული დამოუკიდებელი აუდიტორის მეშვეობით გადაამოწმოს უფლების მფლობელის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა.

ვაგონ-რესტორნის ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის სერვისის განხორცილებასთან დაკავშირებული უფლების მინიჭების მაქსიმალური ვადაა 1 წელი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი "ბე"-ს თანხა შეადგენს 500 ლარს.

კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა განახორციელოს შესაბამისი კანონმდებლობის, საბაჟო კანონმდებლობისა და საქართველოს ნორმატიული აქტების მოთხოვნათა სრული დაცვით.

კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია ისე განახორციელოს სერვისი, რომ შეფერხება არ შეუქმნას რკინიგზის ნორმალურ ფუნქციონირებას. სერვისი განხორციელებისას კანონდარღვევებზე პასუხისმგებლობა ეკისრება კონკურსში გამარჯვებულ პირს.

ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს იხდის კონკურსში გამარჯვებული პირი.

II. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შპს "საქართველოს რკინიგზას" უნდა წარმოედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსში მონაწილე პირის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადება შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" ყოველთვიურად გადასახდელი თანხის შესახებ, რომელიც არ შეიძლება იყოს სერვისი განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავლის 17 %-ზე და 10 000 ლარზე ნაკლები. შემოთავაზებული პროცენტი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე პირობაზე. დაუშვებელია აპელირება სხვა კონკურსანტის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).
- "ბე"-ს გადახდის ქვითარი ("ბე" გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე: "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/ა N3407003205, ბანკის კოდი N220101757, საიდენთიფიკაციო კოდი N202886010.
- კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
- კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.
- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.
- განმცხადებელმა განაცხადში უნდა მიუთითოს, თუ რა ვადით სურს უფლების მოპოვება.
- კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს შპს "საქართველოს რკინიგზა" იხილავს მათი დასწრების გარეშე.
- გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება კონვერტების გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- კონკურსის შედეგების ოქმი მტკიცდება კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში.
- ოქმის დამტკიცებიდან 20 დღის ვადაში გამარჯვებული ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები უქმნდება და "ბე" გამარჯვებულს არ დაუბრუნდება.
- კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

III. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმებია შპს "საქართველოს რკინიგზისათვის" სერვისის განხორცილების შედეგად მიღებული შემოსავლების მაქსიმალური პროცენტის და საუკეთესო სერვისის შემოთავაზება.

IV. სხვა პირობები

**- განაცხადების მიღების ადგილი -** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, პირველი სართული, ტელ.: 56-33-70, 56-33-48.

**- განაცხადების მიღების ვადა -** 2006 წლის 23 მაისიდან 2006 წლის 12.00 საათიდან 17.00 საათამდე --1 ივნისის (დღის 12 სთ-მდე) ჩათვლით.

**კონკურსი ჩატარდება -** 2006 წლის 1 ივნისს დღის 12 სთ-ზე, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობა.

**კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს "საქართველოს რკინიგზის" ქონების მართვის სააგენტოში. ტელ.: 56-33-70, 56-33-48.**

*შპს "საქართველოს რკინიგზა"*

TV5MONDE

23 მაისი

. **06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ინდოეთი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.30** გადაცემა: გურმანი. **12.15** ინდოეთი. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** მიჩქმალული დანაშაული. მხ ფილმი. რეჟისორი მიშელ დევილი. 1992. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** ან გალილეი ან ღმერთის სიყვარული. მხ ფილმი. რეჟისორი ჟან-დანიელ ვერეჰი. 2005. **23.00** გადაცემა: თალასა. **04.40** გადაცემა: თვალსაზრისი.



**www.interes.ge**
**სიახლე ინტერნეტის მომხმარებლებისათვის!!!**

**გაიხსნა ახალი ქართულენოვანი საძიებო სისტემა. გვესტუმრეთ და მიიღეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია**

ვებ კატალოგი, ახალი ამბები, ინტერნეტ რადიო, ინტერნეტ **TV**, გურმანი, **sms**-ების უფასო გაგზავნა, ონლაინ თამაშები, **Chat**, უფასო პროგრამები, მისალოცი ბარათების გაგზავნა და სხვ.

**ცენტრ პოინტ ჯგუფი**

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში. განვადება უპროცენტოა.**
მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.

N2-720

# განჩინება

17 მაისი 2006 წელი ქ.ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძემ ერთპიროვნულად განვიხილე შპს "წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტის" განცხადება გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის შესახებ,

**გამოარკვია:**

შპს "წყალგაყვანილობისა და ტრესტის" დირექტორმა ბ. ცინცქილაძემ 2006 წლის 27 მარტის განცხადებით მომართა სასამართლოს და მოითხოვა გაკოტრების საქმისწარმოების გახსნა, განცხადება 2006 წლის 03 აპრილის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული და ამ განჩინებით შეჩერებული იქნა შპს "წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის" წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება, ამასთან განჩინებით არ იქნა დაშვებული იძულებითი აღსრულების სხვა ღონისძიებების განხორციელება.

გაკოტრების საქმის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებიდან 45 დღის ვადის გასვლამდე სასამართლოს მიერ შემოწმებული იქნა გაკოტრების საქმის წარმოებისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, რაც გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონით არის გათვალისწინებული.

დადგინდა, რომ შ.პ.ს "წყალგაყვანილობისა და ტრესტში" არსებობს გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის ორივე საფუძველი, კერძოდ: ვალაუვალი მოვალის მიერ წარმოდგენილი ბალანსიდან ჩანს, რომ საწარმოს გააჩნია 5 039 160 ლარი კრედიტორული დავალიანება, მათ შორის 170 557 ლარი საბიუჯეტო დავალიანებაა და ის ვერ უზრუნველყოფს დავალიანებების დადგენილ ვადებში დახურვას, აქედან გამომდინარე კი ის შეიძლება ჩაითვალოს გადახდისუუნაროდ.

აღნიშნული გარემოება დადგენილი იქნა აგრეთვე სასამართლოს მიერ დანიშნული აუდიტის 2006 წლის 16 მაისის საექსპერტო დასკვნით (იხ. საქმეში).

სასამართლომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ბალანსის შემოწმების შედეგად დაადგინა, რომ მოვალის ქონება "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული წარმოების ხარჯების დასაფარავად საკმარისია.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლოს საქართველოს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ'' კანონის მე-11 მუხლის თანახმად მიაჩნია,რომ უნდა გაიხსნას გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება, რომლის შესაბამისად ვალაუვალ მოვალეს უნდა აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვა; დაინიშნოს გაკოტრების მმართველი, რომელიც მოაწესრიგებს ვალაუვალი მოვალის ქონების მართვის საკითხებს; სასამართლომ უნდა დაავალოს შ.პ.ს " წყალგაყვანილობისა და ტრესტის" ყველა კრედიტორს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარმოადგინოს თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში, თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ვადის გასვლის შემდეგ განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად. ამასთანავე, ყველა იმ პირს, რომელსაც ვალაუვალი მოვალის ქონების მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, უნდა დაევალოს მოთხოვნათა წაყენების ვადაში განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ. პირს, რომელიც ფლობს შ.პ.ს " წყალგაყვანილობისა და ტრესტის" საკუთრებაში არსებულ რაიმე ნივთს ან აქვს ვალდებულება მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, გაკოტრების საქმის გახსნის შედეგად უნდა აეკრძალოს ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება ვალაუვალ მოვალეზე, მას მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ უნდა დაევალოს ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება.

გაკოტრების საქმის გახსნის შემდეგ სასამართლომ უნდა განსაზღვროს კრედიტორთა პირველი კრების დრო და ადგილი ,რის შესახებაც უნდა აცნობოს კრედიტორებს. თუ ვალაუვალ მოვალეს აქვს საქმიანი ურთიერთობა რომელიმე ბანკთან სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

სასამართლომ" გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად შეამოწმა გაკოტრების მმართველად დასანიშნი პირის კანდიდატურა. კერძოდ აღნიშნული პირი არის ნუკრი ვაჟას ძე ტაკიძე დაბადებული 1982 წლის 10 იანვარს, მცხოვრები ქ. ბათუმი, ერას ქ. N63 ბ.11 /პირადობის მოწმობის N 61004008265/, რომელიც ვალაუვალი მოვალისა და კრედიტორებისაგან დამოუკიდებელი პირია, ის არ ეწევა იგივე ან მსგავს საქმიანობას როგორსაც მოვალე. ნ. ტაკიძე არის შესაბამისი გამოცდილების მქონე პირი, მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება / ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კვალიფიკაცია სამართალმცოდნე, დიპლომის N000084/. ნ. ტაკიძე 2005 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა შ.პ.ს "საქართველოს რკინიგზის'' ბათუმის სავაგონო დეპოში მთავარი იურისტის თანამდებობაზე, 2006 წლის 3 აპრილიდან 2006 წლის 1 მაისამდე შ.პ.ს. "სანთასუფთავების სპეცავტომეურნეობის'' ადმინისტრატორის ნაწილის ინსპექტორად, 2006 წლის 1 მაისიდან შ.პ.ს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის'' გაკოტრების მმართველის თანაშემწედ.

სასამართლო თვლის, რომ ნუკრი ტაკიძე "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-15 მუხლის ყველა მოთხოვნებს აკმაყოფილებს და იგი უნდა სარგებლობდეს ამავე მუხლით გათვალისწინებული უფლება- მოვალეობებით.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების შემოწმების შედეგად სასამართლოს მიაჩნია, რომ შ.პ.ს " წყალგაყვანილობისა და ტრესტში" არსებობს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის კანონით გათვალისწინებული ყველა საფუძველი.

სასამართლომ იხელმძღვანელა " გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3, მე-11 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით

**დაადგინა**

1. გაიხსნას შ.პ.ს "წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტის" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება.
2. აეკრძალოს შ.პ.ს "წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტს" თავისი ქონების განკარგვა;
3. დაინიშნოს შ.პ.ს "წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტის'' გაკოტრების მმართველად ნუკრი ვაჟას ძე ტაკიძე, დაბადებული 1982 წლის 10 იანვარს, მცხოვრები ქ. ბათუმში, ერას ქ. N63 ბინა 11 /პრადობის მოწმობის N 61004008265/, რომელიც ვალაუვალი მოვალისა და კრედიტორებისაგან დამოუკიდებელი პირია და არ ეწევა იგივე ან მსგავს საქმიანობას, როგორსაც მოვალე. არის შესაბამისი გამოცდილების მქონე პირი, მას აქვს სამართალმცოდნის სპეციალობა/;
4. გაკოტრების მმართველს განესაზღვროს გაკოტრების მასის ღირებულების 4% გასამრჯელოს სახით;
5. გაკოტრების მმართველს ნ. ტაკიძეს გადაეცეს დანიშვნის დოკუმენტი მითითებული უფლებამოსილებით და თავისი უფლებამოსილების დასრულების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტი დაუბრუნოს სასამართლოს;
6. დაევალოს გაკოტრების მმართველს დაუყოვნებლივ მიიღოს თავის მმართველობაში გაკოტრების მასა და კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი და შეასრულოს" გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები;
7. გაკოტრების მმართველი ნ. ტაკიძე თავისი მოვალეობების შესრულებაზე გაკოტრების საქმის წარმოების ყველა მონაწილის წინაშე პასუხისმგებელი იქნეს. ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ გაკოტრების მმართველი ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალით არ იყო გამოწვეული, დაეკისროს მისი სრული ოდენობითYანაზღაურება;
8. გაკოტრების მმართველის საქმიანობას ზედამხედველობა გაუწიოს გაკოტრების სასამართლომ. სასამართლო მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობისას განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლებს გაკოტრების მმართველს და დანიშნავს სხვა მმართველს.
9. დაევალოს შ.პ.ს "წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტის" ყველა კრედიტორს აღნიშნული განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში თანხის და ვალის საფუძვლის ჩვენებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ვადის გასვლის შემდეგ განაწილება მოხდება მათი მოთხოვნის გაუთვალისწინებლად;
10. დაევალოს ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ყველა იმ პირს, რომელსაც ვალაუვალი მოვალის ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ:
11. ჩატარდეს შ.პ.ს " წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტის" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოებისათვის კრედიტორთა პირველი კრება 2006 წლის 20 ივნისს 11 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მე-3 სართულის სხდომის დარბაზში, რის შესახებაც პრესის საშუალებით ეცნობოს კრედიტორებს;

12. აეკრძალოს პირს, რომელიც ფლობს შ.პ.ს "წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტის" საკუთრებაში არსებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება დაევალოს მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ:

13 დაუყოვნებლივ ეცნობოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ვალაუვალ მოვალესთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ ბანკებს;

14. სასამართლოს განჩინება გამოქვეყნდეს ".გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნათა დაცვით;

15. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოქვეყნებიდან 12 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლოში.

**მოსამართლე: /ჯ. ბეჟანიძე/**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში შავშეთის ქუჩის სანიაღვრე კანალიზაციის კოლექტორის რეაბილიტაცია რეკონტსრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 **თვის პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 13 ივნისიდან 2006 წლის 14 ივნისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან), ხოლო ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდინარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

